



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities



აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 95 წლის
იუბილესადმი მიძღვნილი XI საფაკულტეტო სამეცნიერო
კონფერენცია

The 11th Annual Faculty Academic Conference
In Honour of the 95th Anniversary of the Birth of Academician Mariam
Lordkipanidze

თეზისები
Book of Abstracts

ივნისი 13-14 June
თბილისი 2017 Tbilisi

საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

პროფესორი თედო დუნდუა

პროფესორი თეიმურაზ პაპასკირი

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

დოქტორი თამარ გოგუაძე

Organizing Committee:

Professor Nana Gaprindashvili

Professor Tedo Dundua

Professor Teimuraz Papaskiri

Assoc. Professor Ekaterine Navrozashvili

Dr. Tamar Gogvadze

რეგლამენტი:

მოხსენება პლენარულ სხდომაზე – 20 წუთი

მოხსენება სექციის სხდომაზე – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა – ქართული

Time Limit:

Presentation at the plenary session – 20 minutes

Presentation in sections – 15 minutes

Participation in discussions – 5 minutes

Working language – Georgian

სარჩევი

Table of Contents

ქეთევან ნადირაძე, მარიამ ლორთქიფანიძე და ისტორიული მეცნიერება	10
Ketevan Nadiradze, Mariam Lordkipanidze and Historical Scholarship	11
მარიკა მშვილდაძე, პილატე პონტოელი.....	12
Marika Mshvildadze, Pontius Pilate.....	13
მარიამ ჩხარტიშვილი, ქართლის მეფე ვარაზ-ბაკური საისტორიო წყაროთა ახლებური ინტერპრეტაციის შუქზე	14
Mariam Chkhartishvili, King of Kartli Varaz-Bakur in the Light of a New Interpretation of Historical Sources	15
გოჩა ჯაფარიძე, ხალიფა ‘უმარ I-ის ხელშეკრულება და ქართველები	16
Gocha Japaridze, The Pact Between Caliph ‘Umar I and Georgians.....	16
თედო დუნდუა, ლერი თავაძე, ქართული მონეტები ბიზანტიური იკონოგრაფიით და ქართველ მეფეთა საიმპერიო ტიტულატურა.....	17
Tedo Dundua, Leri Tavadze, Georgian Coins with Byzantine Iconography and Imperial Titulature of the Georgian Kings	17
მარიამ გურგენიძე, ქალთა უფლებრივი მდგომარეობა ქართულ და ვიკინგთა საზოგადოებაში.18	
Mariam Gurgenidze, Women's Rights in Georgian and Viking Societies	19
მამუკა წურწუშია, დავით IV იერუსალიმის მეფის პანეგირიკში.....	19
Mamuka Tsurtsunia, David IV in the <i>Panegyric of Baldwin I</i> of Jerusalem	20
მიხეილ ბახტაძე, „ქართლის ცხოვრების“ ორი ცნობა XII-XIII საუკუნეების ქართული მხედრობის შესახებ.....	21
Mikheil Bakhtadze, Two Letters of <i>The Georgian Chronicles (Kartlis Tskhovreba)</i> About the Georgian Forces of the 12th-13th cc.....	22
ნანა გელაშვილი, მონღოლთა ლაშქრობები აღმოსავლეთში და მათი შედეგები.....	22
Nana Gelashvili, Mongol Invasions and their Results	23
აპოლონ თაბუაშვილი, ხორბლის ფასი ფეოდალური ეპოქის საქართველოში	24
Apolon Tabuashvili, Prices of Wheat in Feudal Georgia.....	25
ნიკო ჯავახიშვილი, ბალტიისპირეთის ასახვა ქართველ მოღვაწეთა ნააზრევში (XVIII ს. პირველი ნახევარი)	26

Niko Javakhishvili, The Reflection of Lithuania and Other Countries of Baltic Area in the Thought of Georgians (18th Century).....	26
მურმან პაპაშვილი, ვახტანგ VI-ის დიპლომატიის ავსტრიული ასპექტი	27
Murman Papashvili, An Austrian Aspect of the Diplomacy of Vakhtang VI.....	28
ლელა ხაჩიძე, რომანოზ მელიოდოსის რამდენიმე საგალობლის ქართული თარგმანების შესახებ	29
Lela Khachidze, Towards the Georgian Translations of Several Hymns of Romanos the Melodist	30
ნესტან სულავა, წმ. იოვანე მთაწმინდელისა და იოვანე-თორნიკეს ჰაგიოგრაფიული ხატ-სახე (წმ. გიორგი მთაწმინდელის თხზულების მიხედვით)	31
Nestan Sulava, The Hagiographical Iconic Images of St John of Mtatsminda and Ioane(John)-Tornike (According to the Narrative by St George of Mtatsminda).....	32
ელგუჯა ხინთიბიძე, ვეფხისტყაოსანი და ქართული ეკლესია	33
Elguja Khintibidze, <i>The Knight in the Panther's Skin</i> and the Georgian Church	33
ნანა ფურცელაძე, დამის მზე.....	34
Nana Purtseladze, The Sun of the Night	34
ეკა ვარდოშვილი, პარადიგმულ სახეთა სისტემა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში	34
Eka Vardoshvili, System of Paradigmatic Images in the Works of Ilia Chavchavadze.....	35
ხვთისო მამისიმედიშვილი, ინიციაციის ელემენტები და მათი დანიშნულება „ვეფხისტყაოსანში“	36
Khvtiso Mamisimedishvili, Elements of Initiation and their Role in <i>The Knight in the Panther's Skin</i>	37
ელენე გოგიანი, დარეჯან გარდავაძე, ფოლკლორული გადმოცემები არაბულ კულტურაში. თანამედროვე კვლევები.....	38
Elene Gogiashvili, Darejan Gardavadze, The Folk Narrative Tradition in Arabic Culture: Contemporary Issues	38
შოვნა კვანტალიანი, „კაპუნიას“ დღესასწაული მეგრულ ხალხურ ტრადიციაში	39
Shovna Kvantaliani, The Celebration of “Kapunia” in the Megrelian Folk Tradition.....	40
ვახტანგ ლიჩელი, წონის ერთეულები ძვ.წ XI-IX საუკუნეებში	41
Vakhtang Licheli, The Weight Units in Kartli (Eastern Georgia) in the 11th -9th centuries BC	42
ზვიად კვიციანი, სასიმაგრო ნაგებობათა სისტემა ენგურის ხეობაში (ბარჯაშის ნაკომკარი)	43
Zviad Kvitsiani, The Fortification System within the Inguri Ravine (Remains of Barjash Tower)	44
ქეთევან ხუციშვილი, სოციალური სოლიდარობა იძულებით გადაადგილებულთა ყოფაში თანამედროვე საქართველოში	45

Ketevan Khutsishvili, Social Solidarity in the Everyday Life of IDPs in Contemporary Georgia	45
როზეტა გუჯეჯიანი, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების ტრადიციები საქართველოში	46
Rozeta Gujejiani, Legal Regulation Traditions in Georgia – Institute of Meditation	47
მარიამ ჭინჭარაული, ტრადიციული საკულტო ძეგლები ერწო-თიანეთში: „ლაშარის ჯვარი“ და „ჭმალას ხატი“	48
Mariam Chincharauli, Traditional Open-Air Sanctuaries in Ertso-Tianeti: „Lashari Shrine“ and „Khmala Icon“	49
ნათია ფიფია, ქეთევან ციმინტია, „ხვამა“: „ოხვამერი“ და „დუნაპირი“ სამეგრელოში	50
Natia Phiphia, Ketevan Tsimintia, 'Khvama': 'Okhvameri' and 'Dunapiri' in Samegrelo	50
მარიამ ჩაჩიბაია, არამეული თარგუმები და პეშიტა	50
Mariam Chachibaia, Aramaic Targums and Peshitta	51
ლელა ციხელაშვილი, სუბიექტის საკითხი მყოფადის გამოხატვის პერიფრასტულ მოდელებში ძველ ქართულში	52
Lela Tsikhelashvili, The Issue of the Subject in the Periphrastic Models of Future Tense in Old Georgian ...	53
ქეთევან ქუთათელაძე, გზებისა და გადასასვლელების, გამაგრებული ადგილების აღმნიშვნელი ტოპონიმები „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით.....	55
Ketevan Kutateladze, The Toponyms Denoting Roads, Passes and Fortifications According to “Kartlis Tskhovreba”	56
დარეჯან თვალთვაძე, „ბერძულსა შეაწამა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა“ - რას მოგვითხრობს გიორგი მცირე სახარების ტექსტზე გიორგი მთაწმინდელის მუშაობის შესახებ..	57
Darejan Tvaltvaძე, “[He] compared it with Greek and cleared it from every imperfection” – what does Giorgi the Lesser say about Giorgi of Mtsatsminda’s way of working on the Gospel text?.....	58
რუსუდან ზექალაშვილი, მიმღეობები ქართულ ენასა და დიალექტებში - ფორმა, სემანტიკა და გამოყენება.....	59
Rusudan Zekalashvili, The Participles in Georgian and in Dialects - Forms, Usages and Semantics	60
ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი, ზმნის ფორმაში ზოგიერთი მორფემის მნიშვნელობის შესახებ ქართულში	61
Nino Bagration-davitashvili, For the Meaning of Some Morphemes in the Form of the Verb in Georgian	61
რამაზ ქურდაძე, ქეთევან მარგიანი, მაია ლომია, ევიდენციალურ მწკრივთა ფუნქციებისა და მათი აღმნიშვნელი ტერმინების ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში.....	62
Ramaz Kurdadze, Ketevan Margiani, Maia Lomia, On the Relationship Between the Functions of Evidential Tenses and the Terms Denoting Them in the Kartvelian Languages.....	64

სალომე ომიადე, ერთი ზმნისართის უმართებულო ხმარებისათვის თანამედროვე ქართულ მედიადისკურსში	66
Salome Omiadze, For The Improper Use of One Particular Adverb in Modern Georgian Media Discourse...	66
თამარ კამკამიძე, ექიმ-პაციენტის ავთენტური დიალოგები: ემპირიული მასალის მოპოვება და ტრანსკრიბირება.....	67
Tamar Kamkamidze, Authentic Doctor-Patient Dialogues – Obtaining and Transcribing Empirical Material	68
ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია, გიორგი ყუფარაძე კალამბურები ფრანგულ და ინგლისურ სარეკლამო ტექსტებში	69
Tsiuri Akhvlediani, Ketevan Gabunia, Giorgi Kuparadze Puns in French and English Advertising Texts.....	69
მარინა ანდრაზაშვილი, რიჰარდ მეკელაინის ნაშრომის Einführung in die deutsche Sprache für Georgier ლინგვისტურ-დიდაქტიკური ანალიზი	70
Marina Andrazashvili, Richard Meckelein and the Linguistic-Didactic Analysis of His Einführung in die deutsche Sprache für Georgier	71
ნატალია ბასილაია, ქართული ხატი XX საუკუნის რუსულ სიტყვიერ კულტურაში.....	72
Natalia Basilaia, Georgian Images in Russian Verbal Culture of the 20th Century	73
ნანა გაფრინდაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ არასრული ბელორუსული თარგმანები.....	74
Nana Gaprindashvili, Incomplete Belorussian Translations of <i>The Knight in the Panther's Skin</i>	75
ივანე მჭედელაძე, აგათანგელ კრიმსკის ქართველოლოგიური არქივის ზოგიერთი უცნობი ასპექტი	76
Ivane Mchedeladze, Some of the unknown aspects of Agathangel Krymski's Kartvelological Archive.....	76
სოფიო ჩხატარაშვილი, ალა ჰორსკა - ალტერნატიული კულტურა უკრაინის ისტორიაში.....	77
Sophio chkhatarashvili, Alla Horska - Alternative Culture in the History of Ukraine	78
ნინო წერეთელი, ქართული პოეზიის თარგმნის ისტორიისთვის, (მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლები)	78
Nino Tsereteli, From the History of the Translation of Georgian Poetry, (1960s and 1970s).....	79
ეკატერინე ნავროზაშვილი, პოსტმოდერნიზმის ეპოქის მთარგმნელობითი ტენდენციები (მილორად პავიჩის „ხაზარული სიტყვის კონის“ ქართული თარგმანის მაგალითზე).....	80
Ekaterine Navrozashvili, The Translating Tendencies of Postmodernism (According to the Georgian Translation of "Dictionary of the Khazars" by Milorad Pavić).....	81
დავით მაზიაშვილი, თათია სიბაშვილი „შექსპირის ტექსტის ადაპტაციის პრობლემა: შექსპირის ანტიტირანების სტურუასეული ინტეპრეტაცია“	82

David Maziashvili, Tatia Sibashvili The Problem of Adaptation of the Shakespearean Text: Robert Sturua's Interpretation of Shakespearean Anti-Tyrants	82
მანანა გელაშვილი, ხატია გაგნიძე, შექსპირის ტირანები, (ტექსტიდან სცენურ ხორცშესხმამდე)83	
Manana Gelashvili, Khatia Gagnidze Shakespeare's Tyrants (From Text to Stage).....	83
თამარ გელაშვილი ალუზიები სკანდინავიურ მითოლოგიაზე ჯეიმზ ჯოისის რომანში „ღამისთევა ფინეგანისათვის“	84
Tamar Gelashvili, Allusions on Norse Mythology in James Joyce's <i>Finnegans Wake</i>	85
ნინო ქავთარაძე, ფაქტუალური და ფიქციონალური თხრობა მოდიანოს რომანში – „დორა ბრუდერი“	85
Nino Kavtaradze, Factual and Fictional Narrative in Modiano's Novel <i>Dora Bruder</i>	86
მაია თუხარელი, სატირიულობისა და პოლიფონიზმის ურთიერთკავშირი ფ.დოსტოევსკის ნაწარმოებში.....	86
Maya Tukhareli, Interrelation of Satirism and Polyphony in the Works of F. Dostoevsky	87
ხატია ხატიაშვილი, გვანცა ჭანტურია კომუნიკაციური პარადიგმის მნიშვნელობა უცხოური ენის სწავლებისას	89
Khatia Khatiaashvili, Gvantsa Tchanturia The Importance of Communicative Paradigm in Teaching a Foreign Language	90
ნინო პოპიაშვილი, ქართული ლიტერატურის სწავლება არაქართველთათვის: პერსპექტივები და სირთულეები.....	91
Nino Popiashvili, Teaching Georgian Literature to non-Georgians: Difficulties and Perspectives.....	91
მაია გურგენიძე, ენა, როგორც თანამედროვე სოციალური მედიის ინსტრუმენტი.....	92
Maia Gurgenidze, Language as an Instrument of Modern Social Media.....	93
თენგიზ სიმაშვილი, ისტორია,„სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი „ჯგუფისტები“ თელავში	93
Tengiz Simashvili, "The Group" of Social-Democrat Bolsheviks in Telavi	94
თამარ ანთაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი პალმერსტონის შესახებ.....	95
Tamar Antadze, Varlam Cherkezishvili on Palmerston	95
მერაბ კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე ისტორიაში პიროვნების როლზე	95
Merab Kalandadze, Dimitri Uznadze on the Role of a Person in History	95
გიორგი წიკლაური, პრეზიდენტ უილსონის პარიზში გამგზავრების საკითხი.....	96
Giorgi Tsiklauri, The issues of President Wilson's Tirp to Paris	97
ტრისტან მახაური, მიხა ხელაშვილის მკვლევლობის თარიღის დადგენისათვის	97

Tristan Makhuri, For Establishing the Date of Mikha Khelashvili’s Assassination	98
ფატი შეყლაშვილი, საბერძნეთი, ბალკანეთის გაერთიანების იდეის ინიციატორი 1930-1934 წწ.	99
Pati Sheklashvili, Greece, initiated by the idea of a unification of the Balkans 1930-1934	100
ბონდო კუპატაძე, საბჭოთა საქართველოს სოციალური ჯგუფის ისტორიიდან („ცეხოვიკები“)	101
Bondo Kupatadze, From the History of a Social Group of Soviet Georgia ("Tsekhoviks").....	102
თეიმურაზ პაპასკირი, ყირიმის ანექსია და სუდეტის კრიზისი: ისტორიული პარალელები.....	103
Teimuraz Papaskiri, Annexation of Crimea and the Sudeten Crisis: the Historical Parallels.....	104
მიხეილ ბარნოვი, CDC-ის პირველი მისია საქართველოში და ეპიდემიოლოგთა პირველი კოჰორტის მომზადება.....	104
Mikheil Barnovi, The First Mission of CDC/Atlanta in Georgia and Training of the First Cohort of Georgian Epidemiologists.....	105
ვაჟა ქორიძე, ტერიტორიული კონფლიქტები სამხრეთ ჩინეთის ზღვაში	106
Vaja Koridze, Territorial Disputes in the South China Sea.....	106
ივანე წერეთელი, ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის წინაშე მდგარი გამოწვევები საქართველოში: თანამედროვე ქართული სამოქალაქო კალენდარის მიხედვით	107
Ivane Tsereteli, Challenges of Liberalization and Democratization in Georgia: The Case of the Modern Civic Calendar of the Country	109
გიორგი ყიფიანი, იდეოლოგიური მიდგომა ქართული სუფრის ანთროპოლოგიურ ანალიზში	109
Giorgi Kipiani, Ideological Approach in Anthropological Analysis of Georgian Feast	110
მარიამ კობახიძე, აჭარის მუსლიმი მოსახლეობის ინტეგრაციისა და იდენტობის ფორმირების პროცესები (მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში).....	111
Mariam Kobakhidze, Integration and Identity Formation Processes in Adjarian Muslim Population	112
(at the Beginning of the 20th century)	112
ანასტასია ზაქარიაძე, ამერიკული ექსისტენციონალური ეთიკის მახასიათებლები	113
Anastasia Zakariadze, The Highlights of American Existential Ethics	114
დემურ ჯალაღონია, „Vita Activa” და პოლიტიკურის ფენომენი ახალ დისკურსში (ჰანა არენდტი)	115
Demur Jalaghonia, <i>Vita Activa</i> and Political Phenomenon in a New Discourse.....	117
(Hannah Arendt).....	117
მამუკა დოლიძე, უილიამ ფოლკნერი როგორც ქრისტიანული განწყობის მწერალი	118
Mamuka Dolidze, William Faulkner as a Writer with Christian Sensibility	119

ივნისი 13 June

პლენარული სხდომა/ Plenary Session

ქეთევან ნადირაძე

მარიამ ლორთქიფანიძე და ისტორიული მეცნიერება

მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი სფეროა ქართული შუასაუკუნეები. თავის კვლევებში იგი ეხება შუასაუკუნეების საქართველოს თითქმის ყველა დარგს: პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურის ისტორიას, საქართველოს ურთიერთობას კავკასიის ხალხებთან, ბიზანტიასთან, არაბთა სახელმწიფოსთან და ა.შ..

მან მონოგრაფიულად შეისწავლა თბილისის საამიროს ისტორია, განსაზღვრა საამიროს შექმნის პირობები, საზღვრები, მმართველობის ხასიათი, სამოხელეო აპარატი, თბილისის ამირას ურთიერთობა სახალიფოსთან, დანარჩენ ქართულ სამთავროებთან და სხვ. საგანგებო წერილები მიუძღვნა ამიერკავკასიის ხალხების ბრძოლას არაბთა ბატონობის წინააღმდეგ და არაბთა ბატონობის ხასიათის გარკვევას საქართველოში.

განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი მის კვლევებში ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისა და ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის საკითხს. სწორედ ამ პროცესების დადგენისათვის იგი იკვლევს ეკლესიას როგორც ინსტიტუციას, მიწის მფლობელობის ფორმებს, სოციალური ფენების კატეგორიებს და სხვ.

მან მონოგრაფიულად შეისწავლა ისეთი დიდი პოლიტიკური ფიგურების მოღვაწეობა, როგორებიც არიან: ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი და გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III. საგანგებო წერილები მიუძღვნა ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობებს, დავით აღმაშენებლის ეპოქას.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ურბანისტიკის განვითარებაში. კერძოდ, თბილისისა და ქუთაისის ისტორიის შესწავლაში.

მრავალი ნაშრომი აქვს შესრულებული ისტორიოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობაში.

დაწერილი აქვს როგორც სასკოლო, ასევე საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები.

იგი არის მრავალი კრებულისა და წიგნის რედაქტორი, მნიშვნელოვანი საზოგადო მოღვაწე, გამორჩეული მეცნიერ-ხელმძღვანელი.

აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს თავის სამეცნიერო, საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობით, რომელსაც იგი ნახევარ საუკუნეზე მეტია ეწევა, გამორჩეული ადგილი უკავია იმ მეცნიერთა შორის, რომლებმაც მკვიდრ ნადაგზე დააყენეს ზოგადად ქართული მეცნიერება.

Ketevan Nadiradze

Mariam Lordkipanidze and Historical Scholarship

The main sphere of Mariam Lordkipanidze’s scholarly activities embraces almost all sectors in the medieval period in Georgia: political, social, economic and cultural history, Georgia’s relations with the peoples of Caucasus, Byzantium, Arab state etc.

She has provided a monographic study of Tbilisi Emirate, explored the conditions of creation of the Emirate, its borders, the nature of its government, administrative bodies, relations of the Tbilisi Emir with the Caliphate, with other provinces of Georgia etc. She dedicated special articles to the struggle of Trans-Caucasian peoples against the Arab rule and clarification of the nature of the Arabs’ reign in Georgia.

In her researches special emphasis is made on unification of feudal Georgia and the issue of creation of the centralized state. In the process of observing these processes she has studied the church as an institution, the forms of land ownership, categories of social strata etc.

She has developed a comprehensive study of the activities of such great political figures as Vakhtang Gorgasali, king of Georgia and first king of unified feudal Georgia, Bagrat III. She dedicated special articles to the relations between Georgia and Byzantium, as well as the epoch of David the Builder.

She has significantly contributed to the development of Georgian urban studies, in particular, to studying the histories of Tbilisi and Kutaisi.

She has written numerous works in the historiography and source studies,

She has written the textbooks for both, the schools and the universities.

She is an editor of numerous collections of works and books, significant public figure and a scientific advisor.

Academician Mariam Lortkipanidze, with her half-century academic, public and pedagogical activities, is indeed distinguished among the scholars who have provided sound foundation for the Georgian academia in general.

ივნისი 13 June

**სექცია – ისტორია
Section – History**

**მარიკა მშვილდაძე
პილატე პონტოელი**

რომის პრეფექტი იუდეაში პილატე პონტოელი ახალ აღთქმაში მოხსენიებულია მაცხოვრის ჯვარცმასთან დაკავშირებით როგორც ოთხივე სახარებაში, ისე – მოციქულთა საქმეებში. იოსებ ფლავიუსისა და ტაციტუსის მიხედვით, პილატე პონტოელი იყო რომის პროკურატორი. არტეფაქტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პილატე პონტოელი ახ.წ. 26-36 წწ.-ში იყო იუდეის მეხუთე პრეფექტი და არა პროკურატორი. ტიტული პროკურატორი მხოლოდ პილატეს მემკვიდრეებს ენიჭებათ ახ.წ. 44 წლის შემდეგ.

ნაშრომში გაანალიზებულია სამეცნიერო ლიტერატურაში პილატეს წარმომავლობის შესახებ არსებული სხვადასხვა თვალსაზრისი, რომლებშიც აქცენტი, სავსებით სამართლიანად მის ოჯახის სახელზე (nomen) კეთდება, რადგან რომაული ონომასტიკა მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის საკვლევი საკითხის შესწავლისათვის. პილატეს პირადი სახელი (praenomen) უცნობია. მეტსახელი (cognomen) Pilatus, მკვლევართა ნაწილის აზრით, პილოსიდან (ბერძნ. πῖλος – pilos) (ქუდი) უნდა მოდიოდეს. პილოსს ძველ რომში გააზატებული მონები ატარებდნენ. ჩვენი აზრით, თუ ამ ჰიპოთეზას გავყვებით, იქიდან გამომდინარე, რომ რომში გათავისუფლებული მონები თავიანთი ძველი პატრონის კერძო და საგვარეული სახელს იღებდნენ, ხოლო თავის სახელს როგორც მეტსახელს ისე ატარებდნენ, გამოდის რომ პილატეს ოჯახის სახელიც Pontius თავისი ყოფილი პატრონის ოჯახის სახელიდან უნდა მომდინარეობდეს. მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს, რომ Pilatus ლათინური pilum-იდან (შუბი) მომდინარეობს და არ გამორიცხავენ, რომ პილატემ მეტსახელი შესაძლოა რომის არმიაში სამსახურის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის მიიღო. ზოგადად პილატეს ოჯახის სახელი Pontius რომის ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრებ საბინების ტომს უკავშირდება. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ პილატეს ოჯახის სახელი Pontius აპოკრიფულ ლიტერატურაში მცირეაზიის ოლქს – პონტოს უკავშირდება და რომ პილატე რიგ ენებზე თარგმანში (ქართული, საეკლესიოსლავური...) მოიხსენიება პონტოელად და არა პონტიუსად. მათეს სახარებაში მოხსენიებულია პილატეს მეუღლე კლავდია პროკულა (სახარებაში სახელი არ ფიგურირებს). იქიდან გამომდინარე, რომ რომში ქალების სახელი მათი ოჯახის სახელიდან მომდინარეობდა, კლავდია პროკულა იულიუს-კლავდიუსების გვართან შეგვიძლია დავაკავშიროთ. იგი ბერძნული, კოპტური და ეთიოპური ქრისტიანული ეკლესიების მიერ წმინდანად არის შერაცხული.

Marika Mshvildadze Pontius Pilate

Roman prefect in Judea is mentioned in The New Testament in connection with the crucifixion of the Saviour, in all the Four Gospels as well as the Acts of the Apostles. According to Flavius Josephus and Tacitus, Pontius Pilate was the Roman procurator. The study of artefacts proves that Pontius Pilate, A. D. was not a procurator but the fifth prefect of Judea between 26-36 cc. The title of the procurator was given only to the successors of Pilate after 44 A.D. The work deals with different views in which the emphasis is duly made on his family name (nomen), as the Roman onomastics offers important materials for the study of the given issue.

Personal name of Pilate (praenomen) is unknown. In the view of certain scholars, cognomen Pilatius, had to derive from pileus (Greek *πίλος* – pilos) (hat). Pilos used to be worn by emancipated, freed slaves. In our opinion, if we follow the theory and consider that the liberated slaves used to adopt the personal or family names of their former masters and used their own names as cognomen, it becomes clear that Pilate’s family name Pontius has to derive from the family name of the former master. A Certain number of scholars believe that Pilate originates from pilum (spear) and does not rule out the fact that Pilate could have been given a cognomen for his bravery and outstanding military achievements during his service in the Roman army. Generally, the family name of Pilate is connected with the Italic tribe of Sabines, residing in the Northeast of Rome. The fact that in accordance with apocryphal literature, the family name of Pilate, Pontius, is connected with the Ponto district in Asia Minor, is also interesting along with the fact that in translations to certain languages (Georgian, Church Slavonic...), Pilate is referred to as Pontus (Πόντος) not Pontius. The wife of Pilate, Claudia Procula mentioned in the Gospel of Matthew (the name is not mentioned in the Testament). Due to the fact that in Rome, the female names originated from the family name the name of Claudia Procula could be linked to the Julius - Claudius family name. She has been canonized by the Greek, Coptic and Ethiopian Churches.

მარიამ ჩხარტიშვილი

ქართლის მეფე ვარაზ-ბაკური საისტორიო წყაროთა ახლებური ინტერპრეტაციის შუქზე

ქართლის მეფის ვარაზ-ბაკურის (IV-V სს) შესახებ ცნობები რამდენიმე საისტორიო წყარომ შემოგვინახა. თუ გავითვალისწინებთ წინამოდერნის ეპოქის საქართველოს ისტორიის წყაროების სიმწირის ფაქტს საზოგადოდ, ეს მასალა სულაც არ არის მცირე. მიუხედავად ამისა, ქართულ ისტორიოგრაფიაში ვარაზ-ბაკურის მეფობის რეპრეზენტაცია შედარებით მკრთალია. ამის მიზეზი ისაა, რომ წყაროთა ინფორმაცია ზოგჯერ ძალიან განსხვავებულია და ამის გამო მონაცემთა შეკრება რთული ხდება. მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ვარაზ-ბაკური ურწმუნო მმართველი იყო, პეტრე იბერის „ცხოვრების“ ქართული რედაქციის მიხედვით კი – ღვთისმოსავი. მკვლევართა ერთი ნაწილი ამ პრობლემას ჭრის შემდეგნაირად: რეპრეზენტაციისათვის იყენებს მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებს, დანარჩენ წყაროებს კი ფაქტობრივად უგულებელყოფს. ამგვარი მიდგომით ირღვევა ისტორიის პროფესიის ფუნდამენტური მოთხოვნა წყაროთა გამოყენების წესებთან დაკავშირებით. გამოკვლევაში, რომლის შედეგებსაც ეს მოხსენება წარმოადგენს, აღნიშნული ხარვეზის შევსების ცდაა მოცემული. ვარაზ-ბაკურზე არსებული ყველა წყარო ერთიანობაშია გაანალიზებული და შედეგად აღდგენილია ვარაზ-ბაკურის ბიოგრაფია ქართული ისტორიოგრაფიისათვის აქამდე უცნობი დეტალებით. ახლებური რეპრეზენტაციის საშუალებას ავტორს აძლევს საკვლევი წყაროებისადმი ახლებური მიდგომა, პირველ რიგში, ეს ეხება „ქართლის ცხოვრებას“. მკვლევრები, მიუხედავად იმისა, რომ ყველასათვის ცნობილი იყო, ეს არის გვიანდელი ტექსტი, მას ანიჭებდნენ პირველწყაროს მნიშვნელობას და მასში დაცულ ინფორმაციას ნდობას უცხადებდნენ სრულად. ცხადია, გვიანდელმა ტექსტმაც შეიძლება უცვლელად შემოინახოს თავისი წყაროების ჩვენება და ამის მაგალითებს „ქართლის ცხოვრების“ დასაწყის ნაწილშიც ხშირად ვხვდებით, მაგრამ ვარაზ-ბაკურის შემთხვევა ასეთი არ არის. „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი მონაკვეთის ავტორი ანუ ლეონტი მროველი მოაზროვნე ისტორიკოსია, ის ხშირად წყაროებს უბრალოდ კი არ იმეორებს, არამედ წარმოადგენს საკუთარ ინტერპრეტაციებს. ამის გამოა, რომ ნარატივი, რომელსაც ის გვთავაზობს კონკრეტულად ვარაზ-ბაკურის შესახებ, უკვე არის რეპრეზენტაცია. და თუმცა, ლეონტი აშკარად კარგად ინფორმირებულ წყაროებს იყენებს, მას შეცდომა მოსდის სწორედ რეპრეზენტაციის დროს. ამის მიზეზი კი იმ ვითარების არაორდინალურობაა, რომელთანაც ლეონტის შეხება აქვს ამ შემთხვევაში. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ვარაზ-ბაკურის შესახებ წარმოდგენილი ცალკეული მონაცემები სწორია, მთლიანობაში ვარაზ-ბაკურის ლეონტი მროველისეული სურათი ძალიან დაშორებულია სინამდვილეს. თუ აღნიშნულის გათვალისწინებით მივუდგებით საკითხს და „ქართლის ცხოვრებას“ გამოვიყენებთ არა როგორც საფუძველს თანამედროვე ნარატივისათვის, არამედ

როგორც მისი ცალკეული დეტალების შევსების საშუალებას. მაშინ შევძლებთ საანალიზო ეპოქის ადეკვატურ რეპრეზენტაციას.

Mariam Chkhartishvili
King of Kartli Varaz-Bakur in the Light of a New Interpretation of Historical Sources

The information on King of Kartli Varaz-Bakur (IV-V cc) is preserved in several sources, however, representation of his reign in historiography lacks clarity. The reason of this is that the available evidences are very different, sometimes even contradictory. For example, according to *Kartlis Tskhovreba* Varaz-Bakur was a non-believer, while the Georgian version of *The Life of Peter the Iberian* presents him as a pious ruler. Some scholars have found a solution to this kind of dilemma in giving preference to one of the sources and ignoring the rest. But, actually it is not a solution as long as it contradicts the fundamental requirements of the field of history regarding the regulations over the use of sources.

The aim of the research is to fill up this gap. It uses all the available data and represents Varaz-Bakur's biography in a completely new light.

The new approach to the sources allows the author of this paper to reveal the features of Varaz-Bakur's portrait, which were unknown beforehand and also uncover the hidden details of the king's private life. The focus of our analysis is *Kartlis Tskhovreba*. Usually, the scholars used it as a primary source, while for the period under the question it only reflects the views of medieval author, i.e. Leonti Mroveli (XI c). Even though Leonti bases his narrative on well-informed sources, he fails to interpret them correctly: the political situation he was concerned with was too complicated and unusual and for this reason Leonti was unable to comprehend it.

Hence, the whole picture represented by Leonti is very far from the actual past; at the same time his account might help to make hypotheses. Thus, it would be not reasonable to use information on Varaz-Bakur provided by Leonti Mroveli as a guide for the modern narrative on him; however particular evidences might be used as additional material for the enhancing the picture depicted on a basis of other sources. Only through this way it is possible to represent portrait of the king Varaz-Bakur adequately.

გოჩა ჯაფარიძე ხალიფა ‘უმარ I-ის ხელშეკრულება და ქართველები

არაბული ტრადიციით 680 წელს, იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ, ხალიფა ‘უმარ I-მა ქალაქის ქრისტიანულ მოსახლეობას და მის წარმომადგენელს – პატრიარქ სოფრონიუსს დაუდო ხელშეკრულება (არაბულად: შურუტ ‘უმარ, ‘აჰდ ‘უმარ, ‘აკდ ‘უმარ), რაც წარმოადგენდა მათი უსაფრთხოების გარანტიას. არსებობს ამ ხელშეკრულების რამდენიმე ვერსია, რომლებიც სტრუქტურულად და პირობებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ადრეულ ვერსიებში ქართველები არ იხსენიებიან. გვიანდელში, სელჩუკთა ბატონობის პერიოდში ან უფრო გვიან შედგენილ ვერსიაში, რომელიც გამოსცა ნ. მედნიკოვმა, ქართველები და სხვა ქრისტიანები უკვე იხსენიებიან. ასევეა ‘უმარის ხელშეკრულების უახლეს ვერსიაში, რომელიც არის ლიტერატურული თარგმანი (1953 წ.) სტამბულის ფანარის უბნის ბერძნულ მართლმადიდებლურ ბიბლიოთეკაში დაცული ბერძნული ტექსტისა. მოხსენებაში განხილული და შეფასებულია ამ დოკუმენტებში ქართველების მოხსენიების მნიშვნელობა.

Gocha Japaridze

The Pact Between Caliph ‘Umar I and Georgians

According to Arabic tradition, after conquering Jerusalem in 680, Caliph ‘Umar I signed a pact (Arabic – Shurut ‘Umar, ‘Ahd ‘Umar, ‘Aqd ‘Umar) to provide safety assurance for Jerusalem’s Christian population and its representative - Patriarch Sophronius. There are several versions of this pact differing both in structure and stipulation. Earlier versions do not mention Georgian Christians. A later one, which was composed during the Seljuk reign or later, published by N.A. Mednikov, refers to the Georgians and other Christians. The same applies to a more new version of ‘Umar’s Assurance, which is a literal translation of the original Greek text (in 1953) kept at the Greek Orthodox Library in the Phanar quarter of Istanbul. The citations mentioning the Georgians throughout these documents are discussed and evaluated.

თედო დუნდუა, ლერი თავაძე

ქართული მონეტები ბიზანტიური იკონოგრაფიით და ქართველ მეფეთა საიმპერიო ტიტულატურა

მოხსენება X-XV საუკუნეების საქართველოში განხორციელებულ სამონეტო ემისიებს ეხება. კვლევის მიზანი ნუმისმატიკური მასალიდან მომდინარე შესაბამისი საისტორიო ინფორმაციის გააზრებაა. აღნიშნული პერიოდი საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია. მართლმადიდებელი სამყაროს ფორმალური ერთიანობის იდეის გამოხატვაა ქართველ მეფეთა ბიზანტიური ტიტულატურა და მათი მონეტების ბიზანტიური იკონოგრაფია. სასურველია, მთელი ეს პერიოდი დაიყოს ორ ეტაპად: 1) X საუკუნე – XIII საუკუნის დასაწყისი ძლიერი საიმპერიო ამბიციების ხანა; 2) XIII-XV საუკუნეები კი მათი რემინისცენციაა.

ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა მტკიცედ იყო დამკვიდრებული, საკარისკაცო ტიტულები მუდმივად გაიცემოდა ქართველ მეფე-მთავრებზე. ბიზანტიური ტიტულები ენიჭებოდა ადგილობრივ დიდებულებსაც. XI საუკუნის ბოლომდე საქართველოში ყველა ბიზანტიური ტიტული გაიცემოდა ბიზანტიის იმპერატორის მიერ. აღნიშნული ვითარება შეიცვალა დავით IV აღმაშენებლის დროს. აქედან მოყოლებული საკარისკაცო ტიტულები გაქრა, ხოლო ქართველი მეფეები იწოდებიან ისევე, როგორც ბიზანტიის იმპერატორები (ბერძ. „ბასილევსი“, ქართ. „თვითმპყრობელი“). ეს ტიტულატურა უკვე მემკვიდრეობითია.

ქართული მონეტები ბიზანტიურ ყაიდაზე იჭრებოდა. მათზე ქართველი მეფეები ბიზანტიური ტიტულებით და, ხანდახან, საიმპერატორო სამოსით ფიქსირდებიან. შესაბამისად, ნუმისმატიკური მასალა კონკრეტული კვლევის მნიშვნელოვანი წყაროა.

Tedo Dundua, Leri Tavadze **Georgian Coins with Byzantine Iconography and** **Imperial Titulature of the Georgian Kings**

The paper deals with the monetary issues of Georgia in the 10th-15th cc. The aim of the research was a precise attribution of numismatic data and consideration of the corresponding historical information.

The period under discussion is very important in view of the Byzantine-Georgian relationship. The numismatic expression of this conjuncture forms a special interest – particularly, as Georgian money was struck in Byzantine style and Georgian kings claimed their Imperial titles stressing this way a

formal integrity of the Orthodox World – Byzantium and Georgia were regarded to form unique Orthodox space.

It is appropriate to split the whole period into two stages: I. the 10th c.-the beginning of the 13th c. is a time of very strong imperial feelings; II. and the 13th-15th cc. – of their reminiscence.

Byzantine Imperial titulature was long established in the Georgian political reality. Court titles were bestowed upon kings and princes, as well as the Georgian nobles. All Byzantine titles in Georgia up to the end of the 11th century were granted by the Byzantine Emperors.

The situation changed during the reign of David IV (1089-1125). Court titles had disappeared and the Georgian rulers are styled like the Byzantine Emperors.

Georgian coins present all the items to prove themselves to be useful source for research. They have Byzantine iconography, effigies of the Georgian kings dressed like the Emperors and their Imperial titles.

მარიამ გურგენიძე ქალთა უფლებრივი მდგომარეობა ქართულ და ვიკინგთა საზოგადოებაში

ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს სწორი გენდერული პოლიტიკის წარმართვა წარმოადგენს. ქართული სახელმწიფო აქტიურად, მიზანმიმართულად ისწრაფვის გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისა და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ქართული კანონმდებლობის ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ეკონომიკურად, პოლიტიკურად და სოციალურად სტაბილური და წარმატებული სკანდინავიის ქვეყნებისათვის. აღნიშნულ საკითხში წარმატების მიღწევა ხანგრძლივი პროცესია, თანასწორუფლებიანობასა და გენდერულ პრობლემატიკას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საუკუნეების განმავლობაში საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები და ტრადიციები. ნაშრომის მიზანია ქალთა უფლებრივი მდგომარეობის განხილვა ქართულ და ვიკინგთა საზოგადოებაში შედარებითი ანალიზის საფუძველზე. საკითხი განხილულია სხვადასხვა ასპექტში, ქალი როგორც სოციალური სუბიექტი საზოგადოებაში, ოჯახში. საკითხი განხილულია ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ მასალასა და საკანდინავიურ საგებზე დაყრდნობით.

Mariam Gurgenidze **Women's Rights in Georgian and Viking Societies**

Correct gender policy is one of the most important issues of country's democratic development. Georgian state actively and deliberately seeks to establish gender equality and improve women's rights and conditions. Intensive work goes to the compliance of the Georgian legislation with national standards in this regard.

For economically, politically and socially stable and successful Nordic countries, one of the main priorities is the promotion of gender equality. This is a lengthy process to succeed. Stereotypes and traditions established in society for centuries influence equality and gender issues significantly. This research aims to review the legal status of a woman in Georgian and Viking societies, based on their comparative analysis.

Items are discussed in different aspects, woman as a social entity in society and in the family. The issue is discussed in ethnographic and archeological materials and based on Scandinavian sagas.

მამუკა წურჭუმია **დავით IV იერუსალიმის მეფის პანეგირიკში**

ქართულ-ჯვაროსნული ურთიერთობების სამეცნიერო დონეზე შესწავლა ზურაბ ავალიშვილის ნაშრომით იწყება. თავის უაღრესად საყურადღებო კვლევაში ზ. ავალიშვილმა მოიყვანა ცნობა ლათინური წყაროდან, საიდანაც ვიგებთ, რომ დავით აღმაშენებელი ბალდუინ I-ს ხშირად უგზავნიდა საჩუქრებს. ამ ცნობას მრავალი ქართველი ისტორიკოსი იყენებდა, თუმცა, მხოლოდ იმეორებდა მას, ფაქტის სიღრმისეული გაანალიზება კი არავის უცდია. წინამდებარე კვლევა მსჯელობს ცნობის ავტორსა და მის შინაარსზე; განხილულია დასავლეთევროპული ქრონიკები და დადგენილია ლათინური წყარო (ბალდუინ I-ის პანეგირიკი), რომელშიც გვხვდება დავით აღმაშენებლის სახელი. ბალდუინის პანეგირიკში განსაკუთრებით ღირებულია დავით აღმაშენებლის მოხსენიების გარემოებანი. ტექსტში მხოლოდ ორი მონარქია პერსონალურად დასახელებული: ბიზანტიის იმპერატორი ალექსი I კომნენოსი და დავით IV აღმაშენებელი. თავისთავად მრავლისთქმელია ის ფაქტი, რომ საქართველოს მეფე ბიზანტიის იმპერატორის გვერდით მოიხსენიება და ისინი თანასწორად აღიქმებიან. ასევე, მნიშვნელოვანია ამ მონარქების მოხსენიების კონტექსტიც: მათი სახელი, მათთან ურთიერთობა

ბალდუინისტვის ქების შესასხმელადაა გამოყენებული. ქართველთა მეფის მოხსენიება ბალდუინის განსადიდებლად დავით აღმაშენებლის პრესტიჟზე მეტყველებს, რომლითაც ის მაშინდელი მსოფლიოსა და ჯვაროსნულ სახელმწიფოებში სარგებლობდა.

კვლევაში განხილულია დავით აღმაშენებლის საჩუქრის რაობაც და გამოთქმულია მოსაზრება, რომ საჩუქარში (ინსიგნიაში) უნდა იგულისხმებოდეს დროშები. ნავარაუდებია, რომ დავით IV ბალდუინს რეგულარულად უგზავნიდა ნადავლ ისლამურ დროშებს, საკუთარი ძალმოსილების დასტურად და ჯვაროსანთა გასამხნეველად. საერთო მოწინააღმდეგისათვის წართმეული დროშების საჩუქრად გაგზავნა თავისთავად მრავლისმთქმელია და საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის გარკვეულ ალიანსზე და, შესაძლოა, სამხედრო თანამშრომლობაზეც მეტყველებდეს. დავით აღმაშენებელსა და ბალდუინ I-ს შორის ასეთი ურთიერთობა შორს სცილდება ჩვეულებრივი დიპლომატიური ეტიკეტის ფარგლებს და კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ კავშირებზე, რომლებიც ქართველებსა და ჯვაროსნებს შორის არსებობდა დავით IV-ის მეფობის წლებში.

Mamuka Tsurtsumia
David IV in the *Panegyric of Baldwin I of Jerusalem*

The study of the Georgian-Crusader relations at the scholarly level started with the work of Zurab Avalishvili. In his important study, Avalishvili brings information from unnamed Latin source, from which we learn that David the Builder often sent gifts (insignia) to Baldwin I of Jerusalem. This account is used in many works of Georgian historians, however, it was just repeated over and over again and nobody has ever tried to analyse the issue.

The present study discusses the nature and the author of this account; Western European chronicles are also reviewed and the Latin source (*panegyric of Baldwin I*) with the name of David the Builder is established.

In the *Panegyric of Baldwin I* the circumstances under which David the Builder is mentioned are particularly valuable. In the document only two monarchs are named personally: The Byzantine emperor Alexios I Komnenos and David IV Builder. It is noteworthy that the king of Georgia is mentioned together with the Byzantine emperor and they are looked at as equals. The context of mentioning these monarchs is also important: their name and their relationship with Baldwin are

used to give praise to latter. Correspondingly, this speaks of the authority enjoyed by David IV in the Crusader states.

The study also reviews the nature of David the builder’s gift and assumes that the *insignia* should represent standards. It is suggested that David IV used to send captured Moslem flags to Baldwin regularly as a testimony of his power and as a means to encourage the Crusades. Sending the captured Islamic flags as a gift is worthy of attention and to some extent speaks in favour of the alliance and even military cooperation between Georgia and the Crusaders. The relationship between David the Builder and Baldwin I goes far beyond the ordinary diplomatic etiquette and once again points to the links between the Georgians and the Crusaders during the reign of David IV.

ივნისი 13 June

სექცია – ისტორია Section – History

მიხეილ ბახტაძე

„ქართლის ცხოვრების“ ორი ცნობა XII-XIII საუკუნეების ქართული მხედრობის შესახებ

შუა საუკუნეებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ რა სისწრაფით შეიკრიბებოდა ჯარი. ქართულ მატიანეებში დაცულია ორი ცნობა მობილიზაციისათვის საჭირო დროის შესახებ XII-XIII საუკუნეების საქართველოში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს, რომ სამ დღეში შეიკრიბა 60.000 კაცი. ბასილი ეზოსმოდღვარი კი აღნიშნავს, რომ შამქორის ბრძოლის წინ საქართველოს ყველა კუთხიდან მეომრების შეკრებას 10 დღე დასჭირდა.

ჯარის შეკრებისათვის საჭირო დროის განსაზღვრისათვის ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი: შეკრების ადგილი, წელიწადის დრო და ა.შ. თუმცა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია მალემსრბოლთა მოძრაობის სიჩქარე, ანუ რამდენ ხანში ჩაიტანენ ბრძანებას ადგილზე, მეომრის მომზადებისათვის საჭირო დრო და მეომართა შეკრების ადგილისკენ სვლის დრო.

ცხენის მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრა მეტად პირობითია, მაგრამ გამოთვლილია, რომ დღე-ღამეში ცხენი საშუალოდ 55-60 კმ.-ს გადიოდა. მალემსრბოლს შეეძლო 100-120 კმ-ის გავლა. ელემენტარული არითმეტიკულ ოპერაციებს თუ ჩავატარებთ (მაგ. მანძილის გაყოფა სიჩქარეზე და სხვ.) გაირკვევა, რომ სამ დღეში 60.000

კაცის შეკრება შეუძლებელი იყო. რაც შეეხება მთელი საქართველოდან ლაშქრის შეკრებას, ამას 15-20 დღე დასჭირდებოდა.

Mikheil Bakhtadze

Two Letters of *The Georgian Chronicles (Kartlis Tskhovreba)* About the Georgian Forces of the 12th-13th cc.

In the Middle Ages the speed of gathering the army was vital. Two reports are kept In Georgian chronicles regarding the time required to mobilize the army in the 12th-13th centuries in Georgia. David the Builder's historian informs us that the king had gathered 60000 warriors in just three days. Basili Ezosmodzghvari (historian of King Tamar) has figured that it took 10 days to gather warriors from every corner of Georgia before the war in Shamkor.

Many factors have to be considered for defyning the time required for the Army to gather: meeting place, time of year etc. However, one of the most important moments is the speed of the messengers or how long would it take them to deliver the order to the place, also, time for preparing the warrior and the warrior's time he needed for arriving to the meeting place.

The speed of the horse's movement is more conditional. However, it is estimated that an average speed the horses could run with was 55-60 km per day. The runners could walk 100-120 km; performing some basic arithmetic operations (for example, dividing the distance by speed, etc.) will show that collecting 60000 people in three days was impossible. To gather the warriors from the whole of Georgia would take about 15-20 days.

ნანა გელაშვილი

მონღოლთა ლაშქრობები აღმოსავლეთში და მათი შედეგები

მონღოლთა სახელმწიფოს დაარსებისთანავე (1206 წელს) ჩინგიზ-ხანი აგესიული საგარეო პოლიტიკის განხორციელებას შეუდგა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მიმართულებით. აღმოსავლეთ აზიაში მისი პირველი სამიზნე ჩინეთი გახდა. მონღოლთა ლაშქრობების შედეგად ჩრდილოეთ ჩინეთი ქ. უკინის ჩათვლით, მათ ხელში აღმოჩნდა. მთელი ჩინეთის დაპყრობა კი წარმატებით დაავიკრვინა ჩინგიზ-ხანის შვილიშვილმა ხუბილაი-ხანმა, რომელმაც ჩინეთში მონღოლთა იუანის დინასტიას (1278-1368) ჩაუყარა საფუძველი. იმავდროულად მონღოლები თავიანთი

იმპერიის საზღვრების გაფართოებას ცდილობდნენ კორეის მიმართულებით, სადაც მათ თავიანთი მმართველობა დაამყარეს 1258 წელს. ხაზგასასმელია, რომ როგორც კორეაში, ისე ჩინეთში მონღოლებმა მკაცრი პოლიტიკური, ეკონომიკური და ეროვნული ჩაგვრის რეჟიმი დაამყარეს. განსხვავებული შედეგებით დასრულდა მონღოლთა თავდასხმები იაპონიაზე 1274 და 1281 წლებში. მიუხედავად იმისა, რომ მონღოლთა მრავალრიცხოვანი არმიის შემადგენლობაში კორეელი და ჩინელი მეომრებიც იყვნენ, იაპონელებმა უცხო დამპყრობელთა დამარცხება შეძლეს. შედეგად, იაპონიამ, ჩინეთისა და კორეისგან განსხვავებით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია მონღოლთა დაპყრობითი ომები აღმოსავლეთ აზიაში და გაანალიზებულია მათი წარმატებებისა თუ მარცხის მიზეზები.

Nana Gelashvili

Mongol Invasions and their Results

With the establishment of the Mongol state (in 1206) Genghis Khan started aggressive foreign policy towards the West and the East. In the East Asia, China has become its first target. As a result of the Mongol invasions, northern China including Beijing became in their hands. China had been successfully conquered by Kublai Khan who was the grandson of Genghis Khan and the founder of the Mongol Yuan dynasty in China (1278 – 1368). At the same period the Mongols were trying to expand their coasts towards Korea and in 1258 they had established their administration over there. It should be stressed, that in Korea as well as in China the Mongols established very strict political, economic and national regime.

Results of the Mongol invasions in Japan in 1274 and in 1281 have finished with diverse outcomes. Despite the numerous Mongol armies, which included Korean and Chinese soldiers, the Japanese have managed to defeat them. As a result, unlike China and Korea, Japan kept its Independence. The presented paper deals with the Mongol conquest of the East Asia and analyses the reasons and results of their success or failure.

აპოლონ თაბუაშვილი ხორბლის ფასი ფეოდალური ეპოქის საქართველოში

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. გრანტი № YS-2016-92, „ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში“

ფეოდალურ ეპოქაში ხორბლის მოსავალს და მის ფასს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. „ქართლის ცხოვრებაში“ ქვეყნის კეთილდღეობის განსაზღვრისათვის მითითებულია: „და იყო ქართლს პური და ღვინო ფრიადი“. ხოლო ღვთის სასჯელად „პურისა მოკლება“ ითვლებოდა. ფეოდალური ეპოქის საქართველოში სხვადასხვა პროდუქციის ფასების შესახებ არც თუ ბევრი ინფორმაციაა შემონახული. გამონაკლისს არც ხორბლის ფასი წარმოადგენს. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული ცნობებიდან მაინც შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება.

ყველაზე ძველი არაპირდაპირი ცნობა ხორბლის ფასის შესახებ მოიპოვება „ნიკორწმინდელის დაწერილში“, რომელიც თარიღდება XI საუკუნის II ნახევრით. ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ხორბლის ფასის მიახლოებითი გაანგარიშება.

„ნიკორწმინდელის დაწერილში“ მოხსენებულ სხვადასხვა პროდუქციის ფასებს თავდაპირველად ყურადღება მიაქცია აკად. ივანე ჯავახიშვილმა და თავის ერთ-ერთ ადრეულ ნაშრომში – „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ (ტფ. 1907), სადაც მუხლებად არის მოცემული ფასებთან დაკავშირებული ცნობები. ყანის და ზოგიერთი პროდუქციის (გუთანის, წიგნის და სხვ.) ფასი კი დაანგარიშებულია მის თანადროულ (1907 წ.) ფულთან მიმართებაშიც, თუმცა ავტორი საგანგებოდ ხორბლის ფასს არ ეხება.

ივ. ჯავახიშვილი მოგვიანებით კვლავ დაუბრუნდა აღნიშნულ თემატიკას და ფასების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეკრიბა. სამწუხაროდ, აღნიშნული მასალა გამოქვეყნებული არ არის, თუმცა ხელნაწერი მოიპოვება მის პირად არქივში და დაცულია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. უკანასკნელ პერიოდში „ნიკორწმინდელის დაწერილში“ მოხსენებულ ფასებზე ყურადღება გაამახვილა მკვლევარმა მ. წურწუმიამ. შემდგომი ოთხი საუკუნის მანძილზე ხორბლის ფასთან დაკავშირებით არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი ცნობები აღარ გავაჩნია.

XVI საუკუნიდან ხორბლის ფასების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ოსმალური დავთრები. ჩვენ ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ სამ მათგანზე: 1. „1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარზე“, 2. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარზე (1595 წ.)“, 3. „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარზე“. ამ სამ დავთარში მოცემული ცნობები ზოგად წარმოდგენას შეგვიქმნის XVI, XVII და XVIII საუკუნის I მესამედში არსებულ ხორბლის ფასზე საქართველოში. რაც შეეხება XVIII საუკუნის შუა ხანებსა და ამავე საუკუნის II ნახევარს, წყაროებში (უცხოელ მოგზაურთა

ჩანაწერებში, ისტორიულ დოკუმენტებსა და საისტორიო თხზულებებში) ბევრი ინფორმაციაა თავმოყრილი სხვადასხვა სასაქონლო პროდუქციის და, მათ შორის, ხორბლის ფასის შესახებ. ჩემს მოხსენებაში სწორედ ზემოთ დასახელებულ წყაროებში დაცული ინფორმაციის ანალიზი არის წარმოდგენილი.

Apolon Tabuashvili
Prices of Wheat in Feudal Georgia

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF). Grant № YS-2016-92.

“Prices in Feudal Georgia”

The harvest of wheat and its price was very important during the Feudal Age. *Kartlis Tskhovreba* (Life of Kartli/History of Georgia) while mentioning the prosperity of the state narrates: “and there was plenty of bread and wine in Kartli”. According to the same text “shortage of bread” was considered as punishment of God.

Accounts are not informative for the prices on commodity in feudal Georgia. The price of wheat is not an exception. But from the historical sources that we possess some conclusion could be drawn. The oldest indirect account about the price of wheat is preserved in “Nikortsmindeli’s Charter” which is dated to the 2nd half of the 11th century. Based on the information of this document it is possible approximately to calculate the price of wheat.

Ivane Javakhishvili was the first who paid attention to the prices on commodity based on “Nikortsmindeli’s Charter” and his one of the earliest works – “Economic History of Georgia” (Tbilisi, 1907) – contains the accounts concerning prices. The whole information is arranged by clauses. Prices on arable land and plough are calculated in equivalent to the currency of his time. But the author does not mention the price of wheat.

Ivane Javakhishvili again started collecting information concerning the prices in Medieval Georgia but this material has not been published so far. A manuscript is preserved in his personal archive and is kept in Korneli Kekelidze National Center of Manuscripts. Mamuka Tsurtsunia recently has paid attention to the prices that “Nikortsmindeli’s Charter” contains.

It is disappointing that during the following four centuries since “Nikortsmindeli’s Charter” there are no direct or indirect accounts about wheat prices. The *Ottoman Census Books (defters)* provide important information about wheat prices from the 16th century onwards. In this case we pay attention to three of them, which are: 1. “The Great Defter of Gurcistan Vilayet of 1574”; 2. “The

Great Defter of Gurcistan Vilayet of 1595”; 3. “The Great Defter of Tbilisi Vilayet of 1728”. Accounts preserved in those three Ottoman Census Books could shed some light on the wheat prices in Georgia from the 16th to the first third of the 18th century.

The rich information is accumulated about prices on commodity in the historical sources of the midst and the second half of the 18th century (stories by foreign travelers in Georgia, historical documents and historical texts). I present the analysis of the above-mentioned materials in my presentation.

ნიკო ჯავახიშვილი
ბალტიისპირეთის ასახვა ქართველ მოღვაწეთა ნააზრევში
(XVIII ს. პირველი ნახევარი)

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ წერილობით წყაროებში საყურადღებო ცნობები გვხვდება ბალტიისპირეთის რეგიონების, ძირითადი დასახლებული პუნქტების, მათი მართვა-გამგეობის სისტემის შესახებ. ასეთი ინფორმაცია დაცულია თხზულებებში, რომელთა მთარგმნელები ან შემდგენლები არიან:

1. ქართლის მეფე ვახტანგ VI (1675-1737);
2. უფლისწული ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1756), გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი, ვახტანგ VI-ის ვაჟი;
3. უფლისწული ლეონ (ლევან) ბაქარისძე ბაგრატიონი (1728-1763) – ვახტანგ VI-ის შვილიშვილი;
4. დიპლომატი, მეცნიერი და მწერალი სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725);
5. მწერალი გაბრიელ გელოვანი – რუსეთში გადასახლებული ვახტანგ VI-ის სამეფო ამალისწევრი.

Niko Javakhishvili
Niko Javakhishvili, The Reflection of Lithuania and Other Countries of Baltic Area in the Thought of Georgians (18th Century)

The Georgian written sources of the first half of the 18th century have preserved certain information about the Baltic area regions, major populated places of the time, as well as their administrative-managerial systems. Such sources are the writings translated and edited by:

1. The King of Kartalinia/Kartli (the central part of Georgia) Vakhtang VI (1675-1737);

2. The Georgian prince Vakhushti Bagrationi (1696-1756), geographer, historian and a cartographer – the son of King Vakhtang VI;
3. Georgian prince Leon (Levan) Bagrationi (1728-1763) – the son of Prince Bakar Bagrationi (1700-1750) and the grandson of King Vakhtang VI;
4. A Diplomat, scholar and a writer, Prince Sul Khan-Saba Orbeliani (1658-1725);
5. Writer, Prince Gabriel Gelovani.

მურმან პაპაშვილი **ვახტანგ VI-ის დიპლომატიის ავსტრიული ასპექტი**

1722 წლის სექტემბრის დასაწყისში პეტრე I-ის კასპიისპირეთის ლაშქრობიდან უკან დაბრუნებით ჩაიშალა ირანის წინააღმდეგ ქართლის მეფე ვახტანგ VI მიერ რუსეთთან სიტყვიერად მიღწეული სამხედრო-პოლიტიკური შეთანხმება. მომდევნო წლისათვის რუსეთის ჯარის საორბოფო ლაშქრობის მოლოდინში მყოფ ვახტანგ VI დილემის წინაშე აღმოჩნდა: ახლა მას არც ძალაწართმეული ირანის შაჰი ენდობოდა და არც ოსმალეთის სულთანი. ამასთანავე, მას ერთდროულად უნდა მოეხდინა კახეთის რენეგატი მეფის კონსტანტინე II-ის პოზიციის პარალიზება, სულთანის დაჟინებული მფარველობის უარყოფა და შაჰსა და პეტრე I-ს შორის შუამავლობის გაწევა. ეს, რა თქმა უნდა, ვახტანგის ძალებს აღემატებოდა. ასეთ ვითარებაში 1722 წლის 29 ნოემბერს ვახტანგმა წერილობით მიმართა რომის პაპ ინოკენტი XIII-ს (1721-1724) და რომის საღვთო იმპერიის იმპერატორს კარლ VI-ს (1711-1740), რათა თურქეთიდან მოსალოდნელი საშიშროების წინააღმდეგ დახმარება მიეღო.

ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალებზე დაყრდნობით, რომელიც პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში, კვლევამ დაადასტურა: ვახტანგ VI დაკვირვებით ადევნებდა თვალს, ერთი მხრივ, თურქეთ-ავსტრიის ურთიერთობების, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთ-ავსტრიის კავშირების განვითარებას. დიდი ალბათობით ამაში მას ეხმარებოდნენ საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერები, რომელთა მეშვეობით, ალბათ, დაამყარა მან კავშირი ავსტრიის საელჩოსთან კონსტანტინოპოლში. უფრო სწორად რომელიმე კათოლიკე მისიონერმა წაიღო ვახტანგის წერილები კონსტანტინოპოლში და გადასცა ავსტრიის ელჩს იოზეფ ფონ დირლინგს ადრესატებისათვის გასაგზავნად. ვახტანგი, ჩანს, სათანადოდ გაერკვა და მიიჩნია, რომ თურქეთს რუსეთის წინააღმდეგ ომის გადაწყვეტისას ანგარიში უნდა გაეწია ავსტრიის სამეფო კარისაგან მოსალოდნელი საშიშროებისათვის. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ვახტანგ VI-ის მიერ იმპერატორ კარლ VI-სადმი მიმართვა დახმარებაზე უკავშირდება რუსეთ-ავსტრიის დაახლოების აღნიშნულ ტენდენციას და ასევე თურქეთის მიერ ანგარიშის გაწევის პოლიტიკას ავსტრიისადმი, რასაც შედეგი არ

მოჰყოლია. ამ რთულ დიპლომატიურ ანგარიშობასა და კომბინაციებში საქართველო, როგორც იმდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობების ობიექტი, რუსეთთან კავშირს შეეწირა და ინგლის-საფრანგეთისაგან ზურგმომადგრებელი თურქეთი უშიშრად შეუდგა საქართველოს დაპყრობას. ამან კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ იმდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობების ხუთი სუბიექტიდან (საფრანგეთი, ინგლისი, ავსტრია, რუსეთი, პრუსია) სამმა-საფრანგეთმა, რუსეთმა და ავსტრიამ, რომლებთანაც დააკავშირა ქართლის მეფე ვახტანგ VI-მ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების ინტერესები, მათ თავიან მიზნებს დაუქვემდებარეს და, აქედან გამომდინარე, ტრაგიკულმა შედეგებმა ბევრად განაპირობა საუკუნის ბოლოს ჩვენი ქვეყნის დაცემა.

Murman Papashvili **An Austrian Aspect of the Diplomacy of Vakhtang VI**

At the beginning of September 1722 Peter the Great's return from the Caspian Sea campaign disrupted the military-political agreement, which had been verbally reached with Russia by the king of Kartli Vakhtang VI against Iran. The following year Vakhtang VI who waited for the dubious campaign of the Russian army faced the following dilemma: now neither the Iranian Shah, devoid of power, nor Sultan of the Ottoman Empire trusted him. At the same time, he simultaneously had to paralyze the position of the renegade of Kakheti King Constantine II, to deny Sultan's insistent patronage, and to mediate between the Shah and Peter I. This certainly exceeded Vakhtang's strength. In such circumstances on November 29, 1722 Vakhtang VI wrote to the Pope Innocent XIII (1721-1724) and to the Emperor of the Roman Holy Empire Carl VI asking their help against a possible threat from Turkey.

The research based on the archive materials of the Ministry of Foreign Affairs of Austria, which for the first time appear in an academic context, confirmed that Vakhtang VI attentively observed the development of Turkish-Austrian relations, on the one hand, and of Russian-Austrian ties, on the other. Most likely in this matter he was assisted by the Catholic missionaries working in Georgia, through whom he established his union with the Austrian Embassy in Constantinople. More precisely, some Catholic missionary took Vakhtang's letters to Constantinople and handed them over to the Austrian Ambassador Joseph von Dirling for being passed on to their addressees. Vakhtang VI apparently understood that when declaring the war against Russia, Turkey had to take into account a possible danger on the part of the Austrian royal court. This circumstance makes us think

that Vakhtang VI's appeal for help to the Emperor Karl VI was connected with the tendency towards the Russian-Austrian *rapprochement* as well as with Turkey's policy that took into consideration the Austria's interests, though Vakhtang VI's efforts were of no effect. In this difficult diplomatic stratagem and combinations, Georgia, as the object of international relations, became the victim of its union with Russia, and Turkey backed by England and France fearlessly began to conquer Georgia. This, once again showed that from the five international relations subjects of the first quarter of the XVIII century (France, England, Austria, Russia, Prussia) the King of Kartli Vakhtang VI applied the interest of Georgia's independence with the three countries - France, Russia and Austria – which on their part subordinated the interests of Georgia to their own goals. Thus, these tragic results determined the fall of our country at the end of the century.

ივნისი 13 June

**სექცია – ლიტერატურათმცოდნეობა
Section – Literary Criticism**

ლელა ხაჩიძე

რომანოზ მელოდოსის რამდენიმე საგალობლის ქართული თარგმანების შესახებ

რომანოზ მელოდოსი ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მამამთავარი და გამორჩეული ავტორია. მისი შემოქმედება, დიდი ხანია, მეცნიერთა თაობების კვლევის საგანია. რომანოზის საგალობლების ქართული თარგმანები კი თითქმის სრულიად შეუსწავლელია.

რომანოზის ”კონტაკიონების” ერთი ნაწილი შესული აღმოჩნდა გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ”მარხვანში” - Georgica 5, რომელიც პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული. ეს უმნიშვნელოვანესი ლიტურგიკულ - ჰიმნოგრაფიულ კრებული შეიცავს VI - XI საუკუნეების ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მრავალრიცხოვან თარგმანებს. როგორც ირკვევა, გიორგი მთაწმიდელს დიდი სამუშაო აქვს ჩატარებული ამ საგალობლების ბერძენი ავტორების და თვით საგალობელთა ტექსტების დასადგენად.

Georgica 5 ხელნაწერში რომანოზის სახელით წარწერილია მცირე ფორმის საგალობელთა ერთი ჯგუფი. მათი უმეტესობა ”იზაკონის” სახელითაა წარმოდგენილი. საინტერესოა ის გარემოება, რომ ყველა მათგანთან მითითებულია ძლისპირები - საგალობელთა რიტმულ - მელოდიური საზომები. ეს გარემოება ყურადღებას იქცევს, რადგან, როგორც ცნობილია, რომანოზის კონტაკიონები სულ სხვა რიტმითაა შექმნილი მაშინ, როცა

ძლისპირები ჯერ არ არსებობდა. როგორც ჩანს, შემდგომში რომანოზ მელოდოსის

საგალობლები უკვე ახალ – ძლისპირ-დასდებლის შესატყვისობაზე დამყარებულ წესს მიუსადაგეს.

გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ”მარხვანში” შესული რომანოზის საგალობლების თარგმანები ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ამ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორის საგალობლები ადეკვატური თარგმანებითაა წარმოდგენილი ქართულ ტრადიციაში და გიორგი მთაწმიდელის მუშაობის პრინციპებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით საყურადღებოა მათი ბერძნული ორიგინალების კვლევისათვის. თანამედროვე ბერძნულ და სლავურ ”მარხვანებში” ამ საგალობლების მხოლოდ მცირე ნაწილია შესული.

Lela Khachidze

Towards the Georgian Translations of Several Hymns of Romanos the Melodist

Romanos the Melodist is a founder of Byzantine hymnography and a great hymn-writer. His creative work has long been the subject of scholarly research for many generations of scholars. However, the Georgian translations of Romanos’ hymns remain almost completely unexplored. One part of the Romanos’ *kontakia* appears to have been included in *The Lenten Triodion* – the Georgica 5 manuscript with the George the Athonite’s edition, which is preserved at the National Library of France in Paris. This most important liturgical and hymnographic collection contains numerous translations of Byzantine hymnography of the 6th-11th centuries. As it turns out, George the Athonite has done a great deal of work to identify the Greek authors of these hymns and to shape the hymn texts themselves.

In Georg. 5 manuscript, a group of short hymns has an inscription with the name of Romanos. Most of them are represented with the name of "Ibakon". It is worth noting that each of them have indication to *hirmoi*, rhythmic and melodious metres of the hymns. This circumstance attracts attention, because, as it is known, Romanos’ *kontakia* were created with quite different rhythm when *hirmoi* had not yet existed. Later on, Romanos the Melodist’s hymns seem to have been matched to already new rule based on correspondence of *hirmos* and *troparion*.

The translations of Romanos’ hymns included in *The Lenten Triodion* of the George the Athonite’s edition represent the best samples of the Georgian art of translation. It can be said that the hymns of

St. Romanos - one of the greatest authors of Byzantine hymnography - are presented in adequate translations in the Georgian tradition and in accordance with the principles of George the Athonite's work, they are of particular importance for the study of their Greek originals. Only a small part of these hymns are included in the contemporary Greek and Slavic *Triodions*.

ნესტან სულავა

წმ. იოვანე მთაწმინდელისა და იოვანე-თორნიკეს ჰაგიოგრაფიული ხატ-სახე (წმ. გიორგი მთაწმინდელის თხზულების მიხედვით)

ათონის საღვთისმეტყველო ცენტრისა და ლიტერატურული სკოლის დაარსების სათავეებთან ბერად აღკვეცილი ორი ქართველი მხედართმთავარი დგას, წმ. იოვანე მთაწმინდელი და იოვანე-თორნიკე. ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები მათ შესახებ დაცულია ქართულ და ბიზანტიურ წყაროებში, ივირონის აქტებში, რომელთა მეშვეობით ივსება თითოეულის სახე და უფრო სრულყოფილად წარმოგვიდგება მათი პოლიტიკური და საეკლესიო-სასულიერო მოღვაწეობა. წმ. იოვანე მთაწმინდელისა და იოვანე-თორნიკეს ჰაგიოგრაფიული ხატ-სახე წარმოჩენილია წმ. გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში “ცხოვრებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვემესი და უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ, აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა”.

ჰაგიოგრაფის მიზანია წმ. იოვანე მთაწმინდელისა და იოვანე-თორნიკეს ვინაობისა და საქმიანობის, მათი ჰაგიოგრაფიული ხატ-სახის სრულყოფილების წარმოჩენა. წმ. იოვანე მთაწმინდელი ღვთივბოძებული სამშობლოს სულიერად აღორძინებაზე ზრუნავდა და ყოველმხრივ ხელს უწყობდა თავის შვილს, წმ. ეფთვიმეს მთარგმნელობით საქმიანობაში, მან თავისი არსებობის აზრი ეროვნული იდეალების სამსახურში პოვა, ქართული მწერლობის გამდიდრებაზე, ქართული კულტურის აღორძინებაზე ფიქრობდა.

ძალიან დიდი იყო იოვანე-თორნიკეს ღვაწლი ივირონის ისტორიაში, რადგან 980-983 წლებში მის მიერ 979 წელს ბიზანტიის იმპერიისათვის გაწეული დახმარების წილად მიღებული საგანძურით აშენდა კარის ღვთისმშობლის ტაძრის სახელით ცნობილი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი. მისი, როგორც ქართული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მოამაგის, ინიციატივით, ათონურ ხელნაწერთა კოლოფონების მიხედვით, მომზადდა ბიბლიის პირველი სრული ხელნაწერი, ოშკის მონასტერში გადაწერილი, ოშკური “სამოთხე”, “განძი”, რომლებიც შემდეგ ათონზე გადაიტანა; იგი მუდმივად ზრუნავდა ივირონის მონასტრის ბიბლიოთეკის გამდიდრებაზე.

წმ. იოვანე მთაწმინდელისა და იოვანე-თორნიკეს მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიული ხატ-სახეები სამონასტრო ცხოვრების, კულტურულ-საგანმანათლებლო

საქმიანობის, ეპოქის ვითარების, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ინტერესების ფონზეა წარმოდგენილი. ამას ჰაგიოგრაფიული პერსონაჟის სრულყოფილად ასახვის პრინციპი და მეთოდი მოითხოვდა.

Nestan Sulava
The Hagiographical Iconic Images of St John of Mtatsminda and Ioane(John)-Tornike
(According to the Narrative by St George of Mtatsminda)

Foundation of the literary school and the theological center of Mount Athos is connected to the names of two military leaders: St John of Mtatsminda and John-Tornike. The historical accounts about them are kept in ancient Georgian and Byzantine sources, the acts of Iviron, where the images of each are refined and their political and ecclesiastical activities are presented in detail; those sources are fiction regarding their face and gave us full information about their political and theological activities. The images of St father John and Euphymius and the facts about their citizenship are described in St George of Mtatsminda's story named *The Life of our Venerable Fathers Ioane and Ekvtime and the Account of their Worthy Citizenship Described by the Wretched Hieromonk, Giorgi*.

The aim of the author is to fully demonstrate the life and activities of St John of Mtatsminda and John-Tornike in order to present their perfect image. John of Mtatsminda was committed to enhancing the spiritual life of his country as it was the country granted by God. He supported his son, St Euphymius in translation works, he found the meaning of his existence in his work focused around national ideas, he took up a responsibility of enriching Georgian Literature and thought endlessly about the promotion of Georgian cultural values.

He played great role in the history of Iviron, since he built the church named after *Theotokos* in 980-983 with its treasury given to him as a response to his active support for Byzantium in 979. His initiative was to prepare the full version of *The Holy Bible*, rewritten at the Monastery of Oshki named as "Oshkian paradise", "treasure", which was later transferred to Athos. He committed himself to the enrichment of the Iviron monastery library.

The method of presentation in hagiography that uses the cultural-educational context of the epoch, its social life and interests, deliberately presented the image of the Saint as perfect. The same method was applied to the description of the images of St John of Mtatsminda and John-Tornike.

ელგუჯა ხინტიბიძე „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული ეკლესია

რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში უმთავრესად იმგვარი აზრია დამკვიდრებული, რომ ძველად, შუა საუკუნეებში რუსთველის პოემას საერო საზოგადოება აფასებდა, ხოლო სასულიერო წოდება მას ებრძოდა. მე ვფიქრობ, რომ ეს აზრი ცალსახად ჭეშმარიტი არაა. რუსთველის სიბრძნე რომ ქართველი კაცის წინამძღოლი ჭირშიც და ლხინშიც იყო, ეს სწორედ ქართული საეკლესიო ხელნაწერების უძველესი მინაწერებით ჩანს.

იმის დასტურად, რომ ქართული ეკლესია „ვეფხისტყაოსანს“ ებრძოდა, მიუთითებენ ე.წ. ფსევდო-რუსთველურ სტროფზე („პირველთავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად...“). ჩემი აზრით, ეს სტროფი შექმნილია უმთავრესად იმ დანიშნულებით, რომ პოემა გაიმიჯნოს სასულიერო მწერლობისგან და გამოცხადდეს სპარსულიდან გადმოტანილ საერო თხზულებად. ამიტომაც შეიძინა ამ სტროფმა „ვეფხისტყაოსნის“, როგორც საერო პოემის, შემდგომი გავრცელების პრეამბულის ფუნქცია. ვფიქრობ, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში, შუასაუკუნეების ქართულ ქრისტიანულ მსოფლხედვასთან მისადაგების მიზნით, არაა გამორიცხული, რომ პოემის გადამწერთა მიერ ზოგიერთი კორექტივიც შეტანილიყო.

Elguja Khintibidze *The Knight in the Panther's Skin and the Georgian Church*

The major opinion, established in Rustaveli's literature is the fact that Rustaveli's epic poem in the Medieval centuries was on the one hand valued by secular circles and confronted by that of the ecclesiastical on the other. In my opinion, this view is not fully true as the fact that Rustaveli's wisdom accompanied the Georgians, both in good and bad times, was reflected in the subscriptions of Georgian ecclesiastical manuscripts proper. One pseudo Rustavelian stanza, inserted as an addition at the beginning of every old manuscript of the MPS epic, is referred with the intent to confirm the Church's negative attitude to Rustaveli's epic *The Knight in the Panther's Skin*. In my opinion, the main aim of the stanza is to seclude the epic from an ecclesiastic writing and to declare it as a secular story taken from Persia. That is the reason why the stanza has acquired the function of a document attributing *The Knight in the Panther's Skin* to the secular rather than ecclesiastical sphere of literature. In my view, we should not exclude the fact that some changes had been made by the scribes of the epic of Rustaveli with the intention to correspond the text to the norms of Christian thinking of the medieval times.

ნანა ფურცელაძე ღამის მზე

არაბულ ენაში დაფიქსირებული და სახელდებულია მზის სამი მდგომარეობა (ფაზა): შამსუ-დ-დუჰა - „დილის მზე“, შამსუ-ნ-ნაჰარი – „დღის მზე“ და შამსუ-ლ-ლაილი - „ღამის მზე“. ღამის მზე შუა საუკუნეების არაბულ პოეზიაში გხვდება როგორც მეტაფორა ლამაზი ქალისა (მაგ. მე-9 ს. გამოჩენილ პოეტ იბნ ალ-მუ'თაზთან).

Nana Purtseladze The Sun of the Night

There are three phases of the sun in Arabic Language. They are called according to its state: "Shamsu-d-duha" - the Sun of the Morning, "Shamsu-n-nahar" - the Sun of the Day, "Shamsu-l-layl" - the Sun of the Night. "The Sun of the Night" is used as a metaphor of a beautiful woman (for example in the poetry of the 9th century famous author Ibn al-Mu'taz).

ეკა ვარდლოშვილი პარადიგმულ სახეთა სისტემა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

მსოფლიო ტენდენციათა და ლიტერატურულ მიმდინარეობათა ასახვა დამახასიათებელია როგორც ძველი, ასევე ახალი ქართული ლიტერატურისთვის. ამის საფუძველია ქრისტიანული რელიგია და სახისმეტყველებითი პარადიგმები. ქრისტიანული სიმბოლოების პირველსახეები, ანუ კოდირებული პარადიგმები ძველი აღთქმის წიგნებსა და, კერძოდ, დავით მეფის ფსალმუნებშია საძიებელი. ცნება ევროპეიზმი ილია ჭავჭავაძემ დაამკვიდრა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, ამასთანავე, ევროპეიზმის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი იყო ქრისტიანული აზროვნების შერწყმა ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობებთან. ილია ცდილობდა შეექმნა ეროვნული ნიშნის მატარებელი ზოგადსაკაცობრიო ტიპები. აღნიშნულ საკითხზე ილია ჭავჭავაძე მსჯელობს 1887 წელს გამოქვეყნებულ წერილში „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“. თავის მხატვრულ და პუბლიცისტურ ნააზრევში ილია ტრადიციულ მართლმადიდებლურ მოძღვრებას მიჰყვება.

ქრისტიანულ პარადიგმულ სახეთა სისტემა ილიას შემოქმედებაში ყალიბდება შემდეგნაირად, ილიას ლირიკის რელიგიური პერსონალია ასეთია: მასში ჩანს მამის, ძისა და სულიწმინდის სახეები. ვერ ვხვდებით წმინდა გიორგის, ღვთისმშობელსა და წმინდა ნინოს. ღვთისმშობლის სახე ჩანს ილიას პოემებში „განდეგილი“ და „აჩრდილი“. სახისმეტყველების პარადიგმებს ვხვდებით „მგზავრის წერილებში“, „ოთარანთ ქვრივსა“ და „კაცია ადამიანში?!“ ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ამ კუთხით

საგულვებელია სამი წყარო: ბიბლიურ-ქრისტიანული საფუძვლები, ეროვნულ-სალიტერატურო ტრადიცია და იმ დროისათვის ცნობილი ფილოსოფიური მოძღვრებანი. მხატვრულ შემოქმედებაში შემოტანილი ყველა პარადიგმა განმარტებულია ილიას პუბლიცისტურ და სალიტერატურო წერილებში.

Eka Vardoshvili
System of Paradigmatic Images in the Works of Ilia Chavchavadze

Description of the universal tendencies and literature trends is characteristic for the old as well as modern Georgian Literature. The foundation hereof is a Christian religion and imagology paradigms. The first prototypes of Christian symbolism, that is that the coded paradigms are to be searched in the Old Testament and, in particular, in the *Psalms* of King David. Ilia Chavchavadze introduced the notion “Europeanism” into Georgian literary studies, in addition, one of the main signs of *Europeanism* was merging of Christian thinking with new literary trends. Ilia tried to create universal types of his characters with national features. Ilia Chavchavadze discusses the mentioned issue in his article “Akaki Tsereteli and *The Knight in the Panther’s Skin*” published in 1887. In his artistic and publicistic thinking Ilia follows the traditional Orthodox doctrine. The system of Christian paradigmatic faces in Ilia’s creative works is developed in the following way, the religious persons of Ilia’s lyric poetry are as follows: the faces of the Father, Son and the Holy Spirit is visible in it. We do not meet here Saint George, Mother of God and Saint Nino. The face of the Mother of God is seen in Ilia’s Poems “The Hermit” and “The Ghost”. We meet facial paradigms in the works such as *Letters of a Traveler*, *Otaraant Widow* and *Is a Man a Human?!* In this respect three sources are expected in I. Chavchavadze’s literary works: Biblical-Christian basics, national-literary traditions and the philosophical doctrines known at that time. All paradigms in the artistic creations are explained in Ilia’s publicistic and literary letters.

ივნისი 13 June

სექცია – ლიტერატურათმცოდნეობა
Section – Literary Studies

ხვთისო მამისიმედიშვილი
ინიციაციის ელემენტები და მათი დანიშნულება „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარ გმირთა თავგადასავალში გარდამტეხ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ნადირობა, უდაბნოში ხეტიალი, ბნელში ყოფნა, განმარტოებულ კომპლას და გამოქვაბულში ცხოვრება, რომლებსაც ტრადიციულ ეპოსებში რიტუალური გადასვლის მნიშვნელობა ჰქონდა.

არქაულ საზოგადოებაში მოზარდს ასაკობრივი ცვლილების ზღვარზე უნდა გაეგო ინიციაცია, რომელსაც ხშირად თან ახლდა უკიდურესად ასკეტური ფორმები, კერძოდ, კოლექტივისგან გარკვეული დროის მანძილზე ინდივიდის განცალკევება, გამოქვაბულში ან საინიციაციო ქოხში განმარტოება და ბნელში ჯდომა. ინიციაციის გავლის შემდეგ მოზარდი ხდებოდა საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი, მას ეძლეოდა ნადირობის, ომში მონაწილეობისა და დაქორწინების უფლება.

„ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ ეპიზოდებში იკვეთება ზოგიერთი ისეთი რიტუალური ელემენტი, რომლებსაც ტრადიციულ საზოგადოებაში ექვემდებარებოდნენ ადამიანები.

ბნელში ყოფნა ინიციაციის ერთ-ერთი სახეა. მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ მას დაკარგული აქვს თავდაპირველი მნიშვნელობა, მაგრამ პოემაში იგი გვხვდება ზუსტად ტარიელის ასაკობრივი ცვლილების ზღვარზე. სიბნელეში ტარიელის ერთწლიანი ჯდომა სარიდანის გლოვის მიზნით არის მოტივირებული. სიბნელიდან გამოსვლის შემდეგ იწყება ტარიელის ეპიკური თავგადასავალი, მანამდე გმირის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი თითქმის არაფერი ხდებოდა. ახლა კი ის ერთბაშად იცვლის თავის სტატუსს. ტარიელი ხდება ინდოეთის ამირბარი, მიჯნურდება მეფის ასულზე და იბრძვის ხატაელების დასამორჩილებლად.

„ვეფხისტყაოსანში“ უდაბნოს ლანდშაფტს, უდაბნოში ხეტიალს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. მისი ნიშნებია: უკიდურესობა, სიჩუმე, უსახობა. უდაბნოში გმირი უძლებს განსაცდელს, გადის გამოცდასა და სულიერ წრთობას, რომელიც მიზნის მიღწევისა და დემონურ ძალებზე საბოლოო გამარჯვების საწინდარია.

გადასვლის რიტუალს ასახავს, აგრეთვე, ნესტანის განმარტოებულ კოშკში აღზრდა, საიდანაც მეფის ასული მოწიფული და სიბრძნეში განსწავლული უნდა გამოვიდეს. ასაკობრივი ცვლილების ზღვარზე ის კოშკში თავის გამომხსნელს ელოდება.

პოემაში გამოქვაბული, თავისი იდუმალებით, მასში დამალული საიდუმლო საგანძურით, საინიციაციო ადგილია, რომლის პარალელიზმიც ფარნავაზის თავგადასავალთან, ბიბლიურ ისტორიებსა და ქართულ მითებთან თვალსაჩინოა.

გამოქვაბული და კოშკი, სიბნელე და უდაბნო პოემაში რეალობისგან განსხვავებული დრო-სივრცული განზომილებით წარმოდგება. ისინი ძველ ეპოსებში განასახიერებენ „დედის საშოს“, საიდანაც სრულყოფილ ადამიანად ხელმეორედ უნდა დაიბადოს მოზარდი. პოემის ავტორი ტრადიციული საკრალური ცოდნით სარგებლობს, როცა პერსონაჟის ინიციაციასთან დაკავშირებულ ეპიზოდებს წარმოგვიდგენს.

Khvtiso Mamisimedishvili **Elements of Initiation and their Role in *The Knight in the Panther's Skin***

Hunting, wandering around the desert, staying in the dark and living in an abandoned tower or a cave can be thought of as a decisive moment in the adventures of the main heroes of *The Knight in the Panther's Skin* having the meaning of a ritual transmission in traditional epen.

In an archaic society, a youngster had to undertake an initiation on the brink of his adulthood, what was often accompanied by adopting highly ascetic practices, such as isolation of an individual from the community for a certain period of time, and spending some time in darkness either in the cave or in the initiation hut. After the initiation, the young man was a full member of the society and he was given the right to hunting, participating in a war and getting married.

Sitting in the dark is one of the forms of initiation. It is true that this phenomenon has lost its original meaning in *The Knight in the Panther's Skin*, but in the poem, it happens right at Tariel's reaching the age of maturity. One year that Tariel spent in the dark is motivated by the mourning over Saridan. After Tariel leaves the darkness, his epic adventure begins, with the hero's past life being not so rich at any significant moment. From now on, he changes his status. Tariel becomes an Amirbar of India; he falls in love with the king's daughter and fights to conquer the Khatavians.

A desert landscape or wandering in the desert has a particular role in *The Knight in the Panther's Skin*. The signs of such wandering are infinity, silence and stillness. A hero in the desert endures perils, passes her tests and undergoes a tempering process of spiritual maturity.

A cave in the poem, with its interior and concealed mysterious treasure, is the place of the initiation, and its parallel with the adventures of Parnavaz, biblical stories and Georgian myths is clear. A cave and a tower, darkness and desert in the poem are presented with the chronotope different from the reality. In the ancient epos, they represent “a mother’s womb” giving birth to an adolescent as a perfect man. The author of the poem uses traditional sacred knowledge while presenting the episodes of the character’s initiation.

ელენე გოგიაშვილი, დარეჯან გარდავაძე
ფოლკლორული გადმოცემები არაბულ კულტურაში. თანამედროვე კვლევები

მოხსენება ეყრდნობა თანამედროვე არაბი ფოლკლორისტების კვლევებს (ჰასან ელ-შამი, რაფიკ შამი, ნაბილა სალემი და სხვ.) და 2017 წლის იანვარში ეგვიპტეში სამეცნიერო მივლინების შედეგად ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებს. ზეპირსიტყვიერება და მწიგნობრობა ერთმანეთის პარალელურ კატეგორიებს განეკუთვნება. ზეპირი თხრობის ტრადიცია ლიტერატურული მიმდინარეობებისგან დამოუკიდებლად არსებობს. არაბულ-ისლამურ კულტურაში თხრობის სამ კატეგორიას გამოყოფენ: 1) ფორმალური რელიგიური ამბები, 2) ნახევრად ლიტერატურული მოთხრობები, რომლებიც ხალხური მასალისგან გადაამუშავეს რედაქტორებმა და 3) ხალხური გადმოცემები, რომლებიც არ არის ფიქსირებული წერილობით. ამ რეპერტუართა შინაარსი კოგნიტურ სუბსისტემას ქმნის.

მოთხრობელს აქვს თავისი ფუნქცია, მოქმედების სფერო და შესაბამისი სტატუსი. ზოგიერთი ხალხური ლეგენდა რელიგიური ლიტერატურისთვის მისაღებია. ასევე, ზოგიერთი ლიტერატურული ამბავი ზეპირად გადაიცემა. ამგვარად, თხრობის თითოეული კატეგორია ერთმანეთს არის გადაჯაჭვული და შესაბამის ადაპტაციას ელოდება. მიუხედავად ამისა, ყოველი მათგანი თვითმყოფადი, დამოუკიდებელი და ავტონომიურია თავისი კანონებით.

Elene Gogiasvili, Darejan Gardavadze
The Folk Narrative Tradition in Arabic Culture: Contemporary Issues

The present paper is concerned with inquiries of contemporary Arab folklorists (Hasan El-Shamy, Rafik Shami, Nabila Salem etc) and with our research materials collected in Egypt in January 2017.

Oral traditions and literary traditions do indeed belong to the parallel categories of traditions. Each of the two types of narrative traditions belongs to a separate cognitive system. The narrating tradition survived almost exclusively outside the main stream of the literature. In Arab-Islamic cultures, three categories of narrative traditions may be designated: 1) formal religious-historical stories; 2) semi-literary narratives of folk extraction re-worked by literate editors and publishers, and 3) folk-oral tales, which remained unrecorded.

The contents of each of these repertoires constitute a cognitive sub-system; the narrator of each is typically cast in a specialized role, which specifies a set of behavioral expectations with a corresponding status. However a dynamic relationship of exchange exists among these repertoires; some folk legends have been “institutionalized” into formal religious literature; while a few literary stories may have been adopted by oral tale-tellers.

In this respect each narrative category constitutes a repertoire of latent traditions for the others, awaiting adoption. Yet, each remains distinct, independent and unique in its own right.

შონა კვანტალიანი „კაპუნის“ დღესასწაული მეგრულ ხალხურ ტრადიციაში

სამეგრელოში, ისე როგორც ზოგად ქართულში, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საგაზაფხულო ციკლის დღეობებს. იგი დატვირთულია მრავალფეროვანი მაგიური ხასიათის წეს-ჩვევებით, რომლებიც ძირითადად მიმართულია ოჯახის გასაძლიერებლად. სამეგრელოში დღემდეა შემორჩენილი „კაპუნობის“ დღესასწაული და მასთან დაკავშირებული სიტყვიერი მასალა.

„კაპუნობა“ ყველიერის წინა კვირას, ხუთშაბათ დღეს ტარდება. სამეგრელოში ღვთაება „კაპუნის“ კულტის არსებობის ნაშთს დღესასწაული „კაპუნობა“ და მასთან დაკავშირებული სალოცავები („დოდგიმირი“) წარმოადგენს. „კაპუნის“ სადიდებელი დღე-ხუთშაბათი, მეგრულად „ცა-შ-ხა“, ცის დღედ ითვლება. ხუთშაბათის საკრალურობა ხაზგასმულია სალოცავ ტექსტებში. ამ დღის მფარველის ფუნქცია დიდია: ნაყოფიერების, ბარაქიანობის მომცემია. ხუთშაბათს – „ცაშხა“ დღეს აღევლინება „ოცაშხურეს“ („სახუთშაბათოს“) ლოცვა-ვედრება. ამ დღის რიტუალში მთავარი ღორის კულტია, რომელსაც სწირავენ „კაპუნის“ და, რომლის ზედწოდება „ოკაპუნე“ დღემდეა შემორჩენილი. რიტუალი „კაპუნის“ სახელზე სრულდება სპეციალურ სალოცავში, სახლში, მარანში, რომლებიც ერთგვარ საკულტო ადგილსაც წარმოადგენს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ხალხური ტექსტები, რომელთა მიხედვით ვლინდება „კაპუნიას“ ბუნება და ფუნქციები, ტექსტებში დაცულია ამ ღვთაების უდიდესი თაყვანისცემა და მსახურება: ღმერთ-მფარველის გულის მოსაგებად შესრულებული მრავალფეროვანი მაგიური ხასიათის წეს-ჩვეულებები, ძირითადად, მიმართულია ნაყოფიერების გასაზრდელად.

Shovna Kvantaliani
The Celebration of “Kapunia” in the Megrelian Folk Tradition

Summer celebrations in Samegrelo occupy an important role as they do in Georgia in general. They are full of various magic features, customs and practices, which are mainly directed to securing the institution of the family. The feast called „Kapunia“ and oral tradition related to it is still preserved to the present day.

„Kapunia“ is celebrated on Thursday in the week prior to the cheesfare week. Acknowledgment of the remains of the cult of God Kapunia in Samegrelo is performed by venerating the shrines of „kapunoba“ and „Dodgomiri“. The day of celebrating kapunia, i.e. the Thursday in Megrelian is „Tsa-shkha“ – referring to the day of sky. The sacred nature of Thursday is outlined in the texts of prayers dedicated to it. The function of the patron of this day is enormous: it provides fertility, abundance and material prosperity. On Thursday, i.e. the „Tsashkha“ day the service of „Otsashkhure“ (Thursday) prayers is performed. The main cult in this ritual is a pig, which is offered to „kapunia“ and the title of which still remains as „Okapune“. The Kapunia ritual is performed in special shrines, homes, cellars, which are considered to be the places of worship.

Special importance is given to those folk texts, which express the nature and function of „Kapunia“. The texts describe the special worship and veneration of the idol: the various magic customs and rituals performed for pleasing the patron god are mainly directed towards the rise fertility and wealth.

ივნისი 13 June
სექცია – ეთნოლოგია/არქეოლოგია
Section – Ethnology/Archaeology

ვახტანგ ლიჩელი
წონის ერთეულები ძვ.წ XI-IX საუკუნეებში

სრულიად უნიკალური არტეფაქტები, რომლებიც ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების მაღალ დონეზე მიუთითებენ მიკვლეულია როგორც გრაკლიანი გორის, ასევე მრგვალი ჭალის წინა გორის სამლოცველოს გათხრების შედეგად – ეს არის საწონები, რომლებიც ძვ.წ. XI-IX საუკუნეებში გამოიყენებოდა. ეს ფაქტი არის ყველაზე ნათელი დასტური არა მხოლოდ ვაჭრობის ძალიან მაღალი დონისა, არამედ საზოგადოების ინტელექტუალური განვითარებისა საერთოდ, რადგან საწონების არსებობა გულისხმობს სტანდარტიზებული მეტროლოგიური სისტემის არსებობას, რაც, შესაძლებელია, კონტროლირებად ვაჭრობასაც გულისხმობდეს. ჯერ-ჯერობით რთულია მოდულის/წონის ერთეულის დადგენა მასალის სიმცირის გამო, მაგრამ ფაქტია, რომ საქმე გვაქვს ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ მეტრულ სისტემასთან ანუ ფიზიკური სიდიდეების გაზომვის სამი ძირითადი პარამეტრიდან (მანძილი/სიგრძე, წონა და დრო) ერთი დადასტურებულია. ამ მხრივ გარკვეულ ინფორმაციას იძლევა რამდენიმე საწონი, რომელთა წონაა: წინა გორა – 1) 2 კგ 557 გრ; 2) 220 გრ.; 3) გრაკლიანი-გულის ფორმის -102 გრ.; 4) ტრაპეციოიდი – 363 გრ. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტრაპეციოიდის ფორმის ბრტყელი საკიდი. მისი მყარად ჩამაგრების კვალი იმაზე მიუთითებს, რომ ეს დეტალი მჭიდროდ იყო დამაგრებული და ისე იყო ჩამოკიდებული მექანიკურ ხელსაწყოზე. სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო ორმხრიანი სასწორი, რომლის ერთ მხარეს უძრავად იყო დამაგრებული 363-გრამიანი (დაახლ. 0,7 მინა) საწონი. მყარად დამაგრება იმას ნიშნავს, რომ ეს უცვლელი სიდიდეა, ანუ შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ 363 გრამი კონსტანტაა, ადგილობრივად გამოყენებული წონის ერთეულია. გრაკლიანისა და წინა გორის საწონების შეჯერება ასეთ სურათს იძლევა: პირველი საწონი (N 1) 2 კგ 557 გრ) „ერთეულის“ ჯერადია და უდრის 7-ს; 2) 220 გრ. „ერთეულის“ ჯერადია და უდრის დაახლ. 1,5-ს; 3) გრაკლიანი-გულის ფორმის -102 გრ. „ერთეულის“ ჯერადია და უდრის 3,5-ს; ეკონომიკური სიტუაციის კვლევის თვალსაზრისით, შესაძლოა, ინტერესმოკლებული არ იყოს ის, რომ გარკლიანის სატელიტურ საკულტო ძეგლზე, წინა გორაზე აღმოჩნდა თიხის ორი დისკო, ჩემი აზრით, ე.წ. „თოკენი“ (ტოკენ) ჟეტონი, რომლებიც ჩვეულებრივ სხვადასხვა საქონლის

რაოდენობის დასათვლელად გამოიყენებოდა. უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აქვე, წინა გორაზე აღმოჩნდა ამ „ტოკენების“ დასამზადებელი იარაღი.

Vakhtang Licheli
The Weight Units in Kartli (Eastern Georgia) in the 11th -9th centuries BC

The unique artifacts, which show us the development line of economic and trade relations, were discovered during the excavations of the temples in Grakliani Hill and from Tsina Gora (vill. Mrgvali Chala of Kaspi region) - these are the weight units, used in the 11th – 9th centuries BC. These findings show an intellectual development of the society of Kartli and their rather high quality trading system, because the existence of weight units means, that there must have been a well-established metric system: we can only suggest that yet, we still do not know its character. It is difficult to define the unit of weight due to the insufficiency of material evidence. However, the importance of this discovery is obvious - one of the metric unit from the three (length, weight and time) is already confirmed in the cultural layers of the Late Bronze - Early Iron Age. From this point of view, we have certain information from the weights of the artefacts found in Tsina Gora:

- 1) 2kg 557gm;
- 2) 220 gm;
- 3) Grakliani, the heart shaped stone – 102 gm;
- 4) The trapeze shaped- 363 gm.

The most interesting is the weight of the trapeze shaped item (10,2X9,2X2 cm), it has a hole in a thinner part (the diameter of this hole is 1,2 cm). Around this hole a circular trace of leather rings and hoops is traced from both sides, these traces show that they were fastened hard. It also gives us a chance to suppose, that this item was hung on a mechanic tool. It might have well been a double-sided scales, one side of which a balancing knob of about 363 gm (about 0,7 mina) was attached to. The fact that it was attached as a motionless tool, suggests that this weight unit- 363 gm was commonly used as a local weight unit. If we compare these units to each other (Grakliani and Tsina Gora) we will get the following picture: 1) The first weight - 2 kg is the same as 557 gm of the

weight of the knob and equals 7; 2) 220gm is multiple of „unit” and is almost equal of 1,5 (1,65); 3) The heart shaped item from Grakliani - 102 gm, is multiple of „unit” and equals 3,5.

During the research of economic situation, we must take into account the satellite site of Grakliani Hill- Tsina Gora, where two clay discs were discovered. In my opinion they are “tokens”, used for counting different kinds of trade goods. It is also important, that a tool used for manufacturing these “tokens” was also discovered.

ზვიად კვიციანი **სასიმაგრო ნაგებობათა სისტემა ენგურის ხეობაში (ბარჯაშის ნაკომკარი)**

სვანეთის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა კარგად ჩანს თვით მენანდრე პროტიქტორის სიტყვებიდან, რომ სვანები ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს, ჰყავთ მთავარი და ამ ქვეყანაზე სკვითები გადიანო. ე.ი. სვანებს ამ დროს უკავიათ კავკასიონის არა მარტო სამხრეთი, არამედ ჩრდილოეთი კალთების გარკვეული ნაწილიც. მასზე გადიოდა კავკასიონის მთავარი ქედის გადამკვეთი საუღელტეხილო გზები, რომლის ხელში ჩაგდება, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანა იყო ორივე მოდავე სახელმწიფოსათვის, მითუმეტეს, რომ ბიზანტია ამ გზით ცდილობდა აბრეშუმის შემოტანას აღმოსავლეთიდან, რათა თავი დაეღწია ირანთან დამოკიდებულებისათვის აბრეშუმით ვაჭრობის დარგში. მდ. ენგურის ხეობა საგულდაგულოდ ყოფილა ჩაკეტილი-გამაგრებული და მჭიდროდ გადაჯაჭვული სვანეთის სასიმაგრო ნაგებობათა სისტემასთან ბარჯაშის სამეთვალყურეო-საგუშაგო კოშკი მდებარეობს მესტიის მუნიციპალიტეტის, ხაიშის თემის სოფ. ბარჯაშში. ხაიშიდან სამხრეთით, დაახლოებით, 10 კმ-ის მანძილზე) მდინარე ენგურის მარცხენა ნაპირზე. GPS-ის (კორდინატები: EIV. – 602 მ, N - 42°54.797, EO - 42°04.310) კოშკი ენგურჰესის დატბორვის შედეგადაა დაფარული და მისი ნახვა შესაძლებელია მარტო ზამთრის (თებერვლის) პერიოდში. იგი ენგურის ხეობის შუასაუკუნეების სასიმაგრო ნაგებობათა სისტემის ნაწილია და, ამდენად, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ძეგლია. მისი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა ამ დრომდე არ ყოფილა. იგი განივკვეთში ოთხკუთხა გეგმისაა. ზომები: 5#5 შემორჩენილი კოშკის ძირი მასიურია დაახლოებით 4 მეტრ სიმაღლემდე კედლების სიგანეა 5 მეტრი. მშენებლობის ტექნიკით, გეგმით, კედლის წყობითა და ა.შ. ბარჯაშის კოშკი წარმოადგენს სვანური კოშკებისათვის დამახასიათებელ ტიპიურ ნაგებობას. ნაგებობა

სხვადასხვა ზომის ფლეთილი და რიყის ქვით, სქელ დულაბზეა. იგი დგას სვანეთ-სამეგრელოს გზის პირას, და ერთგვარად აკონტროლებს ამ მთავარ მაგისტრალს. წყლის შლამის გამო, მისი გაწმენდა შეუძლებელია. შესრულდა ტოპოგრაფიული გეგმა, მოხდა მათი ფოტოფიქსაცია. იგი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი რგოლია მდ.ენგურის შუაწელში, ხეობის გაყოლებაზე განლაგებული სათვალთვალ-სასიმაგრო კოშკების ჯაჭვში, რომელიც სათავეს იღებს სოფ.ჯვარში, ენგურის პირველ კლდეკართან. ომუნეს კოშკის სახით. ბარჯაშის კოშკი, ხაიშის ციხე-კოშკთან და იდლიანის კოშკთან ერთად საიმედოდ აკონტროლებს და იცავს სამეგრელოდან და აფხაზეთ-სამურზაყანოდან სვანეთში შემოსასვლელ ძველ ბილიკებს. მდ. ენგურის ხეობა საგულდაგულოდ ყოფილა ჩაკეტილი-გამაგრებული და მჭიდროდ გადაჯაჭვული სვანეთის სასიმაგრო ნაგებობათა სისტემასთან.

Zviad Kvitsiani

The Fortification System within the Inguri Ravine (Remains of Barjash Tower)

The great strategic importance of Svaneti is obvious from the words of Mendander Protector, that the Svans present one of the tribes settled around the Caucasus, having a chief and allowing the Scythians to go through their land. Yet, the Svans are settled not only in the south of Caucasus, but they also populate the hillsides of the north. The main roadway crossing the Caucasus ring was of course, the most crucial strategic point desirable for occupation on the part of both states. Especially since the Byzantium tried to use this road for bringing silk from the east to avoid being dependent on Iran due to the silk trade.

The River Enguri Gorge was carefully enclosed and fortified and closely attached to the Svaneti fortification system. Barjash's supervisory watchtower is located in the village Barjash about 10 km south of Khaishi on the left bank of the Enguri river in Mestia municipality (The GPS location status: Elv. - 602m, N - 42 ° 54.797, EO - 42 ° 04.310). The tower was flooded by the Enguri hydroelectric station and it can be accessed only in winter (February). It is part of the Enguri Gorge group of monumental buildings and presents therefore a very important monument. It has not yet been brought into a scientific research. It has a quadrangular plan with the dimensions of 5 x 5 m. surviving tower is massive and the thickness of its walls up to 4 meters in height is 5 m. The Barjash tower presents a typical Svanetian tower by the building technique, plan, stonework, etc. The building is made of different size of shredded and cobble stone cemented with thick lime. It stands

on the road between Svaneti and Megrelia, and is somewhat controlled by this main highway. Due to the silty substance of local water, it was impossible to complete the cleaning of the monument. A topographic plan was made up and the photo shoot was completed. It is one of the strongest points in the middle of the river Enguri, among the chain of the fortifying towers which starts with Ouman's tower in the village of Jvari, the first gate of Enguri. The Barjash tower, along with Khaishi fortress and tower of Idliani, safely control and protect the ancient paths from Sagarejo and Abkhazia-Samurzakana to Svaneti.

ქეთევან ხუციშვილი
სოციალური სოლიდარობა იძულებით გადაადგილებულთა ყოფაში თანამედროვე საქართველოში

იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხი დღემდე რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად თანამედროვე საქართველოსთვის. იძულებითმა მიგრაციამ გარკვეული კრიზისი გააჩინა საზოგადოებაში. ადგილნაცვალ პირთა ადაპტაცია მათთვის ახალ ბიო-გეოგრაფიულ თუ სოციო-კულტურულ გარემოსთან საკმაოდ მტკივნეული გამოდგა. აუცილებელი გახდა ამ პრობლემასთან გამკლავების გზებისა და საშუალებების ძიება. მოხსენებაში განხილული იქნება სოციალური სოლიდარობის როლი ადგილნაცვალ პირთა ადაპტაციის პროცესში. მოხსენება ეფუძნება ეთნოგრაფიულ მასალას. ყოველდღიური სოლიდარობის პრაქტიკა ტრანსფორმირდება და ამ პროცესზე გავლენას მთელი რიგი მიზეზები ახდენს. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, სოციალური სოლიდარობის (როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიურ-სელექციური) ასპექტები გაანალიზდება ანროპოლოგიური და სოციოლოგიური თეორიების ჭრილში, კერძოდ, გამოყენებული იქნება საჩუქრის გაცვლის თეორია (მ. მოსი) და სოლიდარობის სოციოლოგიური თეორიები (ე. დიურკჰეიმი და ჰ. არენდტი).

Ketevan Khutsishvili
Social Solidarity in the Everyday Life of IDPs in Contemporary Georgia

The problem of the IDPs is one of the most sensitive problems for contemporary Georgia. Forced migration caused the crisis within the society. Among the difficulties related to the IDPs, one of the most complicated is their adaptation to the new bio-geographical and socio-cultural environment. The ways and mechanisms for dealing with these problems are sought. The main focus of the paper

will be focused on the role of social solidarity in the adaptation process, the interrelations between the migrants. There will be argued the forms of social solidarity practiced by the IDPs in contemporary Georgia. The paper is based on the ethnographic data. The daily practices of solidarity in some cases have been turned into a kind of social movements for supporting one another. Several factors are influencing the transformation of the social solidarity forms. In terms of methodology to analyze all the aspects of social solidarity (as well as positive and negative-selective) the anthropological and sociological theories, in particular, the gift exchange theory (M, Mauss) will be combined with the sociological theories of solidarity (E. Durkheim, H. Arendt).

როზეტა გუჯეჯიანი **მედიაციის სამართლებრივი რეგულირების ტრადიციები საქართველოში**

საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრიობის ან სამეფო-სამთავროებად დაშლის და შემდგომ კვლავ გაერთიანების ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ქვეყანაში მოქმედებდა ქართული სახელმწიფო სამართალი, რომელიც, მსგავსად ვეროპის ქრისტიანული ქვეყნებისა, თანაარსებობდა კანონიკურ სამართალთან.

1800-იანი წლებიდან საქართველოს სამეფო-სამთავროები დაიპყრო რუსეთის იმპერიამ. დამპყრობელმა გააუქმა ქართული სახელმწიფო და კანონიკური სამართალი. საქართველო იძულებით მოექცა რუსულ სამართლებრივ სისტემაში, რომლის არსიც და აღსრულების მექანიზმებიც მიუღებელი აღმოჩნდა ქართველებისათვის. თანდათანობით საქართველოს ბევრ მხარეში აღორძინდა ჩვეულებითი სამართალი, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფო და კანონიკური სამართლის მემკვიდრეს.

ქართული ჩვეულებითი სამართალი, ძირითადი მახასიათებლებით, მათ შორის მედიატორთა ინსტიტუტითაც, ერთიანი ქართული ტრადიციებიდან მომდინარეობდა და ჩამოყალიბდა რამდენიმე ლოკალურ ვარიაციად: სვანური, ხევსურული, ფშაური, თუშური და სხვ. ხალხური სამართლის ამ ნაირსახეობებში უდიდეს როლს ასრულებდა რწმენა სამართლის ლეგიტიმურობისა - ყოველი განაჩენი მოსახლეობის აზრით იყო კანონიერი, რადგან, ხალხური სამართალი ღვთისაგან (კანონიკური) დაწესებულიად ითვლებოდა და მას ლეგიტიმაციას სძენდა სამართალწარმოების პროცესის მიმდინარეობა საკრალურ ადგილებში (ეკლესია, ჯვარ-ხატი, სასოფლო მოედანი).

რელიგიური საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით კი მთის რეგიონების ქართველებისათვის, მხოლოდ ჩვეულებითი სამართალით გამოტანილი

გადაწყვეტილება წარმოადგენდა მისაღებ ფორმას და ოფიციალური რუსული კანონმდებლობით გამოტანილი განაჩენი არ ითვლებოდა საკმარისად, აუცილებელი იყო ყოველი პრობლემის გადაწყვეტა ჩვეულებითი სამართლის მიხედვითაც. ჩვეულებითმა სამართალმა არსებობა გააგრძელა საბჭოთა რეჟიმის პირობებშიც, როდესაც განსაკუთრებით გამწვავდა უნდობლობა სახელმწიფო (ოკუპანტი) რეჟიმისა და მისი საკანონმდებლო ორგანოების მიმართ. საოკუპაციო რეჟიმისადმი უნდობლობასთან ერთად, არსებობდა ჩვეულებითი სამართლის სიცოცხლისუნარიანობის განმახანგრძლივებელი სხვა მოტივიც: ქართველი მთიელებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა როგორც რუსული, ასევე საბჭოთა სამართლის არსიც. მოსახლეობისათვის ბუნებრივი იყო მხოლოდ ტრადიციული ნორმები, როლებიც მომდინარეობდნენ ქართული სახელმწიფო და კანონიკური სამართლის ჰუმანური ტრადიციებიდან.

ჩვეულებითი სამართლის ყველა ლოკალურ ერთეულში უდიდესი ადგილი ეკავა მედიატორის ინსტიტუტს, რაც, ასევე, საკრალიზებული იყო და მედიატორი ითვლებოდა ღვთისაგან რჩეულ ადამიანად. მედიატორი საზოგადოებისათვის მისაღები იყო თავისი ბიოგრაფიით, ცხოვრების წესით. მედიატორის აუცილებელ მახასიათებლად ითვლებოდა მისი რელიგიურობა და პრესტიჟი სოციალურად.

საქართველოს ამა თუ იმ მხარეში მედიატორს სხვადასხვა სახელი ერქვა და არსებობდა მათი არჩევის ან გადარჩევის საინტერესო წესები, სამართალწარმოების ფორმები, რასაც წინ უძღოდა და ასრულებდა რელიგიური აქტი - ფიცის დადება სამართლიანი განსჯისა და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე. ამგვარივე რელიგიური აქტით – განაჩენის მიღების ფიცითა მთავრდებოდა ხალხური სასამართლო პროცესიც, რის შედეგადაც სადგურდებოდა მშვიდობა სოციალურად. მშვიდობიანობის შენარჩუნება კი ჩვეულებითი სამართლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია იყო.

Rozeta Gujejiani **Legal Regulation Traditions in Georgia – Institute of Meditation**

During the long history of the existence of the united Georgian Kingdom, the Georgian State Law coexisted side by side with the canonical law. After 1800s the Russian Empire conquered Georgia. Conqueror abolished the Georgian state and law system. Georgia was forced into the Russian legal system, the essence and executive mechanism of which seemed unacceptable to the Georgians. Gradually, in many regions the customary law has revived, which appeared for the population to be a successor of the state law and the canonical law. Georgian customary law, with its basic features, including the mediation institute, rooted in Georgian traditions, formed several variations: The Svan, Khevsurian, Pshavian, Tushetian etc. The most important unit for all the traditions was the belief in

supreme (sacred) legitimation of justice. Religious community, especially in the mountainous regions, was accepting the judgments only according to the customary law and the official ones (according to the Russian law) were not considered as sufficient. The customary law remained to be vivid during the Soviet regime as well, since the distrust has been aggravated towards the state (occupant) regime and its legislative bodies. The alienation resulted in feeling insecure and the communities applied those norms, which ensure the peace within the groups. In all the versions of the local customary law one of the fundamental items was the Institute of mediation, which was also considered as sacred. The institute had different forms in various parts of Georgia but everywhere it was serving the maintenance of peace.

მარიამ ჭინჭარაული
ტრადიციული საკულტო ძეგლები ერწო-თიანეთში: „ლაშარის ჯვარი“ და „ჭმალას ხატი“

ერწო-თიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ივრის ხეობის ზემო წელში. ეს მხარე მთიდან ბარში გარდამავალ ზონას — მთისწინეთს წარმოადგენს. თიანეთი ისტორიულ წყაროებში ხშირად კახეთის ერთ-ერთ მხარედ გაიაზრება, თუმცა სხვადასხვა საისტორიო საბუთები მას ცალკე ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარედ წარმოგვიჩენს. ერწო-თიანეთის ხსენებას ისტორიულ წყაროებში პირველად ლეონტი მროველთან ვხვდებით, როდესაც ის ქართველთა გაქრისტიანებაზე საუბრობს. აქ ძირძველი მოსახლეობა XVII საუკუნის დასაწყისში ამოწყდა, დიდი ნაწილი კი ირანში გადაასახლეს. შემდეგ იწყება ამ ტერიტორიაზე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის მიგრაცია. მიგრაცია ორი სახის იყო — გაჟონვითი და ჯგუფური. XVII-XIX საუკუნეებში ერწო-თიანეთის ნასოფლარები ფშავიდან, ხევსურეთიდან, მთიულეთიდან... გადმოსახლებულებმა მოაშენეს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველი მთიელების სალოცავი, ბარელთაგან განსხვავებით, ხშირ შემთხვევაში არა ქრისტიანული ეკლესია, არამედ ჯვარ-ხატები იყო. მიუხედავად იმისა, რომ ერწო-თიანეთში თავის დროზე ბევრი ქრისტიანული ნაგებობა გვქონდა (მაგალითად, VIII საუკუნეში აგებული არჩილის მონასტერი), მიგრანტებს გადმოსახლების შემდეგ თან მოჰქონდათ მთური სალოცავის ნიშები, რომლებსაც ნიკო ბერძენიშვილი „ქრისტიანობის მოქიშპეებსაც“ კი უწოდებდა.

დღესაც, ერწო-თიანელები მთიდან ჩამოტანილი ნიშების ერთგული მლოცველები არიან. მთიელთა მიგრაციის შედეგად ერწო-თიანეთში გაჩნდა

სალოცავები: „ლაშარისჯვარი“, „იაცსარი“, „თამარის ხატი“, „კვირია/კვირაცხოველი“, „კოპალე“, „ხმალა“, „იხინჭა“, „ლომისა“. ხშირად, სალოცავის დამკვიდრება ხდებოდა ზუსტად იმ ადგილას, სადაც ცოტა ხნით ადრე ქრისტიანულ იტამარი იდგა. მაგალითად, ზემო

თიანეთის სოფელ ტუშურებში გადმოტანილი ფშავის ცენტრალური სალოცავის „ლაშარის ჯვრის“ ნიში ეკლესიაზე გაუმართავთ. ქრისტიანული ეკლესიის/ბაზილიკის სახურავზე დამაგრებულია გამოქანდაკებული გამოსახულება, რომელიც მოსახლეობის რწმენით არის „ლაშა–გიორგი“. ლაშარის სალოცავი ზემო არტანშია, მის გასწვრივ კი ღვთისმშობლისა და თამარ მეფის ხატია გამართული. ფშავის ცენტრალური სალოცავის ადგილის შეცვლას არ გამოუწვევია ფშავის ძირითადი სალოცავების ფუნქციების დაკარგვა.

ერწო-თიანეთში ხევსურთა ტრადიციული საკულტო ობიექტები არ გვხვდება ისეთი დიდი რაოდენობით, როგორი სიმრავლითაც ფშაველთა სალოცავებია წარმოდგენილი. ერწო-თიანეთში ჩამოსახლებულ ხევსურთა დიდი ნაწილი სწორედ ხმალას ყმად მოიაზრებდა თავს. მაგალითად, დიდი რაოდენობით ჩამოსახლებულან სისაურთა გვარის ხევსურები, რომლებსაც თან თავისი გვარის სალოცავის, „ხმალას“ ნიშიც გადმოუტანიათ (სოფელი ზენამხარი). მთიელები, გადმოსახლების შემდეგ, სალოცავების ნიშების გადმოტანით გარკვეულ ურთიერთობას ინარჩუნებდნენ წინაპართა საცხოვრისთან. მიგრანტთა შთამომავლები სალოცავად მთაშიც დადიოდნენ. მიუხედავად ცვლილებებისა, ერწო-თიანელთა დამოკიდებულება წინაპრების სალოცავების მიმართ მაინც განსაკუთრებულია.

Mariam Chincharauli

Traditional Open-Air Sanctuaries in Ertso-Tianeti: „Lashari Shrine“ and „Khmala Icon“

Ertso-Tianeti is an important historical-ethnographic region of eastern Georgia. Ertso-Tianeti is located on the southern hills of the Caucasian mountains.

In 1614, the area was virtually deserted as a result of the Persian invasion of Kakheti. The vacated villages were later resettled by migrants from the neighbouring mountainous regions of Pshavi and Khevsureti, with which economic ties have always been rather strong.

The paper considers the issues of cultural, mainly religious adaptation of the people moved Ertso-Tianeti territory. The paper considers mountainous syncretic beliefs, worship of icons and daily rituals. Based on ethnographic materials we represent the existence of religious practices in the following shrines of Ertso-Tianeti: “Lashari’s Cross”, “Iakhsari”, “Tamari’s Cross”, “Khmala”, “Kopale”, “Ikhincha”, “Lomisa”, “Kviria” etc. This study is important as long as it contributes to

our understanding of what traditional beliefs exist nowadays, which ones of them have been transformed in the course of time and what has disappeared. Studies of the issue are also important since we owe them our understanding of what substantiates all that.

**ნათია ფიფია, ქეთევან ციმინტია
„ხვამა“: „ოხვამერი“ და „დუნაპირი“ სამეგრელოში**

სამეგრელოში დღესდღეობით წინარექრისტიანული პრაქტიკიდან შემორჩენილია გარკვეული რიტუალები, რომელთაც „ხვამა“ (ლოცვა, დალოცვა) ეწოდება. სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად ეს საკითხი სერგი მაკალათიამ შეისწავლა, თუმცა მას დაწვრილებით არ გადმოუცია განსხვავება „ხვამას“ ორ ნაირსახეობას - „ოხვამერსა“ და „დუნაპირს“ შორის. ასევე რიტუალებთან დაკავშირებული მთელი რიგი დეტალები მას ყურადღებიდან გამორჩა. ჩვენი ნაშრომიც სწორედ ამ ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად.

**Natia Phiphia, Ketevan Tsimintia
'Khvama': 'Okhvameri' and 'Dunapiri' in Samegrelo**

Specific rituals have been preserved from the pre-Christian era in Samegrelo. They are called ‘Khvama’ (prayer, blessing). Sergi Makalatia was the first who studied this issue; however he did not mention the differences between the two types of ‘Khvama’ – ‘Okhvameri’ and ‘Dunapiri’. Also, he omitted several important details in his research. Our main purpose was to fulfill this gap and study the topic carefully.

ივნისი 13 June

**სექცია – ენათმეცნიერება
Section – Linguistics**

**მარიამ ჩაჩიბაია
არამეული თარგუმები და პეშიტა**

საკითხი არამეული თარგუმების (ბიბლიის არამეული თარგმანების) კავშირის შესახებ პეშიტასთან (სირიულ ბიბლიასთან) კარგა ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას.

ადრეული ხანის თარგუმები შესრულებულია იმპერიული არამეულით. მხოლოდ შედარებით გვიანდელ ხანაში იმიჯნება ბაბილონური და პალესტინური ტექსტები.

პეშიტას კავშირი თარგუმებთან აიხსნებოდა იმპერიული არამეულის და არა დასავლური (პალესტინური) არამეულის საფუძველზე. პეშიტა, თავის მხრივ, იყო საფუძველი ძველი აღთქმის ქრისტიანულ-პალესტინური და არაბული თარგმანებისათვის.

პრობლემა კიდევ უფრო რთულდება რიგი ფაქტორების გამო. კერძოდ, ვგულისხმობთ პეშიტას ტექსტის რამდენჯერმე გადასინჯვას მეოთხე საუკუნეში. შემდეგ კი პეშიტას ტექსტის კომენტირებას ბერძნულ სექტუაგინტასთან მიმართებით. ამიტომ პეშიტას კავშირი თარგუმებთან და განსაკუთრებით პალესტინურ თარგუმებთან კვლავ შეუსწავლელი რჩება.

სირიული მოსეს ხუთწიგნეული მჭიდროდ არის დაკავშირებული პალესტინურ თარგუმებთან, თუმცა გარკვეული სხვაობა მაინც შეინიშნება. როგორც ჩანს, როცა საუბარია კავშირზე, არ შეიძლება შემოვიფარგლოთ მხოლოდ მსჯელობით ენის შესახებ. ზოგჯერ პეშიტაში დასტურდება პალესტინური თარგუმების, ონკელოსის ინტერპრეტაცია, მაგრამ გამოხატულია ოდნავ განსხვავებული ენით. მეორე მხრივ, ინტერპრეტაცია იგივეა, თუმცა სხვაობს ლექსიკური ერთეულები. პეშიტა არ არის დამოკიდებული უშუალოდ თარგუმებზე ანუ პეშიტა არ არის თარგმნილი თარგუმებიდან. როგორც ჩანს, ორივე ტრადიცია ასახავს ფაქტს, რომლის თანახმადაც ძველი აღთქმა მისაღები იყო ორი განსხვავებული, მაგრამ მჭიდროდ დაკავშირებული რელიგიური და კულტურული გარემოცვისათვის. პეშიტასა და თარგუმების ტექსტების გამოწვლილვით შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ შორის მიმართება აიხსნება არა კავშირით თარგუმებსა და პეშიტას შორის, ან პირიქით, არამედ იმით, რომ ორივე მათგანი ეფუძნება ტექსტის ებრაული განმარტების ტრადიციას.

Mariam Chachibaia Aramaic Targums and Peshitta

The problem of the connection of Aramaic Targums (Aramaic translations of the Bible) with Peshitta (Syriac Bible) has been in the centre of scholarly attention for a long time.

The Targums of the earlier period are made in the Imperial Aramaic. Only in the later period the Babylonian and Palestinian texts are separated from each other. The association of Peshitta with Targums could be explained on the basis of the Imperial Aramaic and not the Western (Palestinian) Aramaic. On its part Peshitta provided the basis for the Christian-Palestinian and Arabic translations of the Old Testament.

The problem gets more complicated due to a number of factors. In particular I mean the fact that the Peshitta text was revised several times in the 4th century, and subsequently was provided with

commentaries in connection with the Greek Septuagint. Therefore the connection of Peshitta with Targums has not been studied yet.

Moses' Syriac Pentateuch is closely linked with Palestinian Targums, though certain differences can be noticed. As it seems when speaking about the connection we cannot limit ourselves only to reasoning about the language. In Peshitta sometimes the Onkelos' interpretation of Palestinian Targums is attested but it is expressed in a slightly different language. On the other hand, the interpretation is the same but lexical units differ.

Peshitta does not directly depend on Targums, i.e. Peshitta is not translated from Targums. As it seems both traditions indicate the fact that the Old Testament was accepted by two different, but closely linked religious and cultural environments.

As a result of a thorough and detailed study of the Peshitta and Targum texts it is clear that their interrelation can be explained not by the connection between Targums and Peshitta or vice versa, but by the fact that both are based on the tradition of the Hebrew interpretation of the text.

ლელა ციხელაშვილი სუბიექტის საკითხი მყოფადის გამოხატვის პერიფრასტულ მოდელებში ძველ ქართულში

ცნობილია, რომ ძველ სამწერლობო ქართულში თხრობითი კილოს მყოფადის შინაარსის გამოსახატავად ერთმანეთის გვერდით გამოიყენებოდა ორი სხვადასხვა საშუალება: 1) **ორგანული** - კავშირებითის მწკრივები და 2) **პერიფრასტული**, რომელსაც ქმნიდა ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი (ინფინიტივი) აწმყოს მწკრივის ფორმით წარმოდგენილ ერთპირიან (არს) ან ორპირიან (უც) მეშველ ზმნასთან ერთად, მაგ., *შესლვად ხარ „შეხვალ“*, *აღშენებად მიც „ავაშენებ // ასაშენებელი მაქვს“*... იშვიათად შესაძლოა მეშველ ზმნად გამოყენებულიყო: უვის, დგას, ჯერ-არს, შეჰგავს, შუენის, ჰყამს...

პერიფრასტული მოდელით გამოხატული მომავალი დრო ძველ ქართულში გარკვეული მოდალური შინაარსის მატარებელი იყო და ჰქონდა კატეგორიული, უახლოეს მომავალში აუცილებლად შესასრულებელი, სავალდებულო მოქმედების შინაარსი. იგი, როგორც ერთი კერძო სახე ინფინიტივური კონსტრუქციისა, ძველ სამწერლობო ქართულში თარგმანის გზით დამკვიდრებულ ბერძნობადაა მიჩნეული.

მყოფადის გამოხატვის აღნიშნული წარმოება კარგადაა შესწავლილი ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. ამჯერად კი ყურადღებას გავამახვილებთ ამ ტიპის წარმოების ერთ ნიუანსზე - ესაა სუბიექტის საკითხი მყოფადის პერიფრასტულ მოდელებში. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო მასალას იძლევა ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა რედაქციის შედარება.

თუ თხრობითი კილოს მყოფადის გამოსახატავად გამოყენებული კავშირებითის მწკრივით გაფორმებული ზმნა გარდაუვალია, ერთ- ან ორპირიანი, მისი სუბიექტი, ფაქტობრივ, იდენტურია ერთპირიანი „ყოფა“ მეშველზმნიანი აღწერითი მოდელის სუბიექტისა და ბუნებით აქტიურია, მაგ.: *ელა მოვიდეს* [მ. 17:11 DE] - *ელა მოსლვად არს* [იქვე, C]; *ქარი ეკუეთოს მას - ქარი ... კუეთებად არს მისა* [აგათ. 53:26].

თუ ორგანული წარმოების ორპირიანი ზმნა გარდამავალია, მისი პირდაპირი ობიექტი ერთპირიან „ყოფა“ მეშველზმნიან პერიფრასტულ მოდელში სუბიექტად გვევლინება, ხოლო სუბიექტი იკარგება ან იქცევა პირმიუმართავ უბრალო დამატება-ობიექტად, სხვაგვარად, ისეთსავე დამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე, როგორც ზმნათა კონვერსიული მიმართების დროს: *რომელი მე (S) შევსუა* [მრკ. 10:38 DE] - *რომელი (S) ჩემდა შესუმად არს* [იქვე, C]. მყოფადის გამოხატვის აღნიშნული კონსტრუქცია შეიძლება დახასიათდეს, როგორც თვისობრივად პასიური კონსტრუქცია ინაქტიური სუბიექტით.

ორპირიანი მეშველი ზმნის შემცველი აღწერითი კონსტრუქციის შემთხვევაშიც პერიფრასტული წარმოების სუბიექტი ინაქტიურია და შესატყვისია ორგანული წარმოების პირდაპირი ობიექტისა: *არღარა იხილონ მათ (S) მოძღუარი თჳსი - არღარა ხილვად უც მოძღუარი (S) თჳსი* [ხანძთ. 310:40].

ფაქტობრივ, კონვერსიის იგივე პრინციპია გატარებული მყოფადის პერიფრასტულ მოდელში კავშირებითის მწკრივით გაფორმებული სამპირიანი აქტივის შემთხვევაშიც.

Lela Tsikhelashvili

The Issue of the Subject in the Periphrastic Models of Future Tense in Old Georgian

In Old literary Georgian the future tense indicative mood was denoted by two parallel forms: 1) **organic** – subjunctive tenses, and 2) **periphrastic**, formed by the infinitive in the adverbial case followed by the mono-personal (ars “is”) or bi-personal (uts “has”) auxiliary verb in the present tense. For instance, *sheslvad khar* “you will enter“, *aghshenebad mits* “I will build“... In certain rare cases, other auxiliary verbs were also used.

The future tense expressed by a periphrastic model had certain modal semantics in Old Georgian. It had the categorical semantics of an obligatory action to be performed in the nearest future. Being one of the forms of the infinitive construction, it is considered as borrowed from Greek and widespread in Old Georgian by way of translation.

The above-mentioned model of the future tense has been thoroughly studied in Georgian linguistic literature. The given paper focuses on one of the aspects of this model, namely, the issue of the subject in the periphrastic models of the future tense. Of special interest in this regard is the comparison of various editions of one and the same text.

If the subjunctive verb used to denote the indicative mood of the future tense is intransitive, either monopersonal or bipersonal, its subject is, in fact, identical to the subject of the periphrastic model with the auxiliary verb *qopa* “to be”. In this case the subject is of **active character**, e.g.: *Elia movides* “Elia will come” [M. 17:11 DE] – *Elia moslvad ars* [C]; *Kari ekuetos mas* “the wind will strike it” – *kari ... kuetebad ars misa*.

If the bi-personal verb of the organic formation is transitive, its direct object becomes a subject in the periphrastic model with monopersonal auxiliary verb *qopa*, whereas the subject is either lost, or turns into an impersonal simple object. In other words, **the relation is the same as in case of conversion**: *romeli me (S) shevsua* “that I will drink” [Mrk. 10:38 DE] - *romeli (S) chemda shesumad ars* [C]. This future tense construction may be characterized as **a passive construction with inactive subject**.

In case of periphrastic constructions containing a bi-personal auxiliary verb, the subject is also **inactive** and corresponds to the direct object of the organic formation: *arghara ikhilon mat (S) modzghuari tuisi* “they will not see their confessor” - *arghara khilvad uts modzghuari (S) tuisi* [Khandzt. 310:40].

In fact, the same principle of conversion is used in the periphrastic model of the future tense with tri-personal active voice formed by means of subjunctive tense.

ქეთევან ქუთათელაძე გზებისა და გადასასვლელების, გამაგრებული ადგილების აღმნიშვნელი ტოპონიმები „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით

გზებისა და გადასასვლელების აღმნიშვნელი ტოპონიმებში ხშირად გვხვდება ისეთი სახელწოდებები, როგორებიცაა კარი, ყელი, მებოძირი, გზა, იწრონი, კასრი/კასრე/კარსე. სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, კარი არის „შესავალი სახლისა“, საკუთრივ შესასვლელი არის ბჭე (შდრ. კარიბჭე/ბჭისკარი/ჭიმკარი). კარის სემანტიკით გვხვდება ისეთი ტოპონიმები როგორებიცაა: კარი, კლდეკარი/კლდეკარნი, ზეკარი/ზაკარა, ღართისკარი, მთიულთ-კარი, ზღვს-კარი (დარუბანდი/დარუბანდის კარი), არაგვს კარი (დარიალი/დარიალის კარი), კასრის კარი, კავკასის კარი, ტაშისკარი/ტასისკარი/ქვისკარი, ლორის კარი, ტაოსკარი, განჯის კარი, დური (კარი), ციკარე. „კარი“ ამ შემთხვევაში არის „კლდისაგან და ქვიტკირისგან ქმნილი“. „კარსე“-მ თუმურ დიალექტზე დერეფანს ნიშნავს. სულხან საბა ორბელიანი თქმით, „კარსე“ არის „ზღურბლი და წყირთლი“ ანუ „კარის გარდასაბიჯებელი“. ანუ იგი გასასვლელს ნიშნავს, ძველი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „კარი“ – „გამოვიდა კარსესა“. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „არს კასრის ხეობა, რომელი იწოდების აწცა დუალეთად. აქუს სიგრძე დუალეთის ზეკარის კავკასიდან ვიდრე ჩერქეზამდე“. ვახუშტი ასახელებს აგრეთვე „მადრან-დვალეთის, ბრუც-საბძელის (ბრუტსაბზელი/ბრუცა-ბზელ-ზეკარა) ზეკარა-კედელის კავკასს“. ისტორიკოსი იქვე განმარტავს, რომ „ბრუც-საბძელი ეწოდა, ვინაძთგან არს მსგავსი საბძლისა და უქმი, ხოლო ზეკარა კარსავით მყოფისა, სადა გავლის მას შორის გზა, და კედელა – ამართებით ყოფისათვის კედელსავით“. ბრუტსაბძელა კილოთქმათა ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „მადალი მთა, სადაც ცრურწმენით, კუდიანები იკრიბებოდნენ“. სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, „გზა არს ზომიერი კაცთა სავალი“, ასევე „გზად ითქმის ფოლორცნი და შუკანიცა“. „ქართლის ცხოვრებაში“ გვხვდება ფარისოსის გზა, ლიბის გზა, გელიყარის გზა, ტინის გზა და სხვ. იმერეთიდან ქართლში გადასავლელი ჩხერიმელას ხეობაში არის მებოძირი („გზაჯვარედინი“). რაჭულ და იმერულ დიალექტზე გვაქვს მეტად საინტერესო სიტყვა „გზაბოძალი“, რომელიც ასევე, გზაჯვარედინს, მებოძირს და გზასაყარს ნიშნავს. სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, „იწრო არს გზა და მისთანა უგანური“. ამ სახელით იწოდება თრიალემში „მცინვარი, გინა იწრონი“ და მცხეთასთან „იწროთა რკინის კევისათა“. ფშავურ დიალექტზე ყელვა გზის გადაჭრას ნიშნავს. ვახუშტი მოიხსენიებს ყელი/ზედა ყელი - ხევს მთიუეთში და ჯვართა ყელს, რომელიც

დარიალისკენ მიემართებოდა. გამაგრებული ადგილების აღმნიშვნელი ტოპონიმებიდან მნიშვნელოვანია თრუსო, რომლის ფონეტიკური ფორმაა დრუსო. მართლაც, სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, „დრუსო არს ზღუდე ქვის კოშკიანი დიდი და კეთილად შენებული“. ზემოაღნიშნულ ტოპონიმებს : „კასრი, ზეკარი, კედელა“, სავსებით შეესაბამება „დრუსოს“ ეს მნიშვნელობა. ასევე, ძალიან საინტერესოა ციკარე/ციკარა მთიულეთში „ადგილი კლდოვანი და კოშკოვანი“.

Ketevan Kutateladze **The Toponyms Denoting Roads, Passes and Fortifications According to “Kartlis Tskhovreba”**

In toponymies denoting roads and passes we often meet such names like “Kari” (Door), “Kasri/Kasre/Karse” (Door), “Keli” (Way out), “Mebodziri” (Cross-road), “Gza”(Road), “Itsroni” (Narrow). By Sul Khan-Saba Orbeliani’s explanation “Kari” is the entrance to the house. With the segment of “Kari” we encounter such toponymes as “Kari/Kldekari/Kldekarni, Zekari/Zekara, Gartiskari, Mtiult-kari, Zgvis-kari (Darubandi/Darubandis kari), Aragvis kari (Dariali/Darialis kari), Kasris kari, Kavkasiis kari, Tashiskari/Tasiskari/Kviskari, Loris kari, Taoskari, Ganjis kari, Duri (Kari), Tsikare”. In this case “Kari” is created from rocks and stones. “Karse” in the Tushian dialect means a corridor. According to Sul Khan-Saba Orbeliani, “Karse” is the threshold or the place at the door to be stepped over. In the explanatory dictionary of the old Georgian language it is denoted as a “door” _ “went out from the door”. Vakhushti Bagrationi names ravine of “Kasri”, “Bruts-sabdzeli” and “Zekara-Kedeli”. In the same place the historian explains that “Bruts-sabdzeli” is named because it looks like a hey-storage and “Zekara” like a door where a road is going through, and “Kedela” means a wall. In explanatory dictionary of dialects “Bruts-sabdzeli” is explained as a tall mountain, where allegedly witches gather. By Sul Khan-Saba Orbeliani’s explanation “Gza” (road) is the road for people to walk, also “Gza” is the street and by-street (side street). In “Kartlis Tskhovreba” we meet “Parisosi road, Libi road, Gelikari road, Tini road” and others. In the road from Imereti to Kartli there is a passage in Ckherimela ravine called “Mebodziri” (Cross-road). In Rachvelian and Imeretian dialects we have a rather interesting word “Gzabodzali”, which also means a cross-road. With the segment of “Keli” (Way out) Vakhushti Bagrationi mentions „Zeda (upper) keli” and “Jvarta (Cross) keli”. From the toponymes denoting

fortified places are important to mention Truso, the phonetical form of which is Druso. According to Sul Khan-Saba Orbeliani “Druso is the fence big and stony and with towers and is built well”. To the toponymes mentioned above “Kasri, Zekari, Kedala” fully corresponds - this meaning of “Druso”. The meaning of “Tsikare/Tsikara” in Mtiuleti is also very interesting – “place rocky and 60 towers”.

დარეჯან თვალთვაძე

„ბერძულსა შეაწამა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა“ - რას მოგვითხრობს გიორგი მცირე სახარების ტექსტზე გიორგი მთაწმინდელის მუშაობის შესახებ

გიორგი მცირე ჰაგიოგრაფიული თხზულებაში „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისაჲ“ გვაწვდის აგრეთვე მნიშვნელოვან ცნობებს გიორგი მთაწმინდელის მთარგმნელობითი საქმიანობის შესახებ. ბიოგრაფი აფასებს რა გიორგი მთაწმინდელის ღვაწლს, საუბრობს მის დიდ დამსახურებაზე წიგნთა თარგმნის საქმეში, გამოყოფს გიორგის მიერ ამ კუთხით შესრულებულ სხვადასხვა ტიპის სამუშაოს, კერძოდ: 1. ახალი (აქამდე უთარგმნელი) წიგნების თარგმნა; 2. ხელახლა თარგმნა წინა მთარგმნელთა მიერ ვერკეთილად თარგმნილისა 3. მოკლე ვერსიების განვრცობა 4. არსებული თარგმანების ბერძნულთან შედარება და რედაქტირება. ამ უკანასკნელის მაგალითად გიორგი მცირეს მოჰყავს სახარება და პავლე მოციქულის ეპისტოლეები („კუალად სხუანი რომელმინე ბერძულსა შეაწამა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა და სიტყუადუხჭირობისა და ვერაგობისაგან განაშუენნა და განაბრწყინვნა, ვითარცა თვთ თავადი სახარებაჲ და პავლე“). აგიოგრაფი მწერლის შეფასებით, ის სამუშაო, რომელიც გაასწია გიორგი მთაწმინდელმა სახარება-ოთხთავისა და პავლეს ეპისტოლეთა ტექსტზე მუშაობისას, ზემოთ ჩამოთვლთაგან განსხვავებულია. ეს არ არის „ახლად თარგმნა“ (ახალი, აქამდე არ არსებული თარგმანის შესრულება, უკვე თარგმნილი წიგნის ხელახლა თარგმნა ან მოკლე ვერსიის გავრცობა), ეს არსებული თარგმანის ბერძნულთან შედარება-შეწამებაა მისი „ბერძულისადა მიყვანების“ მიზნით. ამგვარი შეწამების შედეგადაც მიღებული ტექსტი, ცხადია, ამ წიგნის ქართული თარგმანის ახალი ვერსიაა, რომელიც ძველისგან განსხვავდება იმით, რომ „ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განსრულებული, სიტყუადუხჭირობისა და ვერაგობისაგან განაშუენებული და განაბრწყინებულია“. ამ „ახლად განწმენდილი“ ტექსტში „ყოველნი სიტყუანი დასაჯერებელ იქმნებიან“, რადაგან აქ „სიტყუად სიტყუსა ნაცვალი

შედარებულია ბერძულისა“, და „მას შინა არა არს ერთიცა ასოჲ მრუდი და ნაკლული და არცა მეტი“ .

Darejan Tvaltvadze

“[He] compared it with Greek and cleared it from every imperfection” – what does Giorgi the Lesser say about Giorgi of Mtsatsminda’s way of working on the Gospel text?

Giorgi the Lesser provides important accounts about the translating method of Giorgi of Mtsatsminda (Holy Mountain) in his short hagiographic work *The Life and Citizenship of Our Holy and Venerable Father Giorgi of Mtatsminda*. The biographer, appreciating the efforts of St Giorgi of Mtsatsminda, speaks about his great contribution to book translation; he distinguishes a variety of work conducted by Giorgi in this respect, in particular: 1. Fresh translations of new (never been translated till now) books; 2. Retranslating the books that have been translated earlier rather poorly; 3. Extending shorter versions, 4. Comparison and editing of existed translations.

As the example of the latter Giorgi the lesser refers to the Gospel and the Epistles of St Paul (“Then he compared some of them with Greek and cleared them from every imperfection, and, embellished and enlightened, liberated it from wordlessness and perfidy like the Gospel itself and St Paul”). According to the hagiographer’s estimation, the work conducted by Giorgi of Mtatsminda on the texts of the Four Gospels and the Epistles of St Paul is different from the ones listed above. This is not a “new translation” (translating something that has not been translated so far; Retranslating a book which has already been translated or expanding a shorter version), but this is a comparison with the Greek original with the purpose of adjusting it to its Greek original. The text acquired as a result of such a detailed comparison is obviously a new version of a Georgian translation, which is different from the old one by its being “cleared of every imperfection, embellished and enlightened, liberated from wordlessness and perfidy”. In this “newly purified text” “all the words become credible”, since here the text is compared with the Greek text word by word and not even a word is improper, imperfect or worse”.

რუსუდან ზექალაშვილი მიმღეობები ქართულ ენასა და დიალექტებში - ფორმა, სემანტიკა და გამოყენება

მიმღეობის ანუ ნაზმნარი ზედსართავი სახელის შესწავლას ქართულ ენათმეცნიერებაში ხანგრძლივი ისტორია აქვს (ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, ფ. ერთელიშვილი, ე. ოსიძე და სხვ.). მისი სახეები ქართულში მრავალფეროვანია და განსხვავდება ფორმისა და ფუნქციის მიხედვით. მისთვის ძირითადია სახელური ნიშნები, მაგრამ სხვა სიტყვებთან შეხამების დროს თავს იჩენს ზმნური ნიშნებიც. აღსანიშნავია მიმღეობების ფართო გავრცელება სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიაში. წარმოების მიხედვით ქართულ ენაში გამოყოფენ რამდენიმე ტიპის ნაზმნარ ზედსართავ სახელს, ამას ემატება - ია სუფიქსიანი კომპოზიტების პატარა ჯგუფი (მაგ., ბელტიყლაპია, ნაცარქექია, კევიდეჭია). ხშირად დასტურდება მიმღეობათა სინონიმური წარმოება ერთი და იმავე ფუძისაგან (განსაკუთრებით, -ავ და -ამ-თემის ნიშნიან ზმნებში). ქართული ენის დიალექტებში უმეტესად მიმღეობათა წარმოების იგივე საშუალებები გვხვდება, მაგრამ არის განსხვავებული ფორმებიც (მაგ., ორმაგი უარყოფითი პრეფიქსის შემცველი, ზმნისწინამდე უ- პრეფიქსიანი და სხვ.).

ამ ბოლო დროს ქართულ ენაში სულ უფრო ვრცელდება მიმღეობური შინაარსის ნაზმნარი სახელი (განსაკუთრებით ტერმინოლოგიაში), რომელსაც პრეზენსული შინაარსი აქვს და შესაძლებლობას გვაძლევს, ეს ფორმა ახალი ტიპის მიმღეობადაც კი მივიჩნიოთ (ანთებადი, აალებადი, განკურნებადი და სხვ.).

მიმღეობა სახელების მსგავსად იბრუნვის, გაარსებითებული შეიძლება გამოიყენებოდეს მრავლობით რიცხვში. გვარისა და დროის გარდა, ქართულ მიმღეობებს აქვს ასპექტის, გეზის, ორიენტაციის, კონტაქტის კატეგორიები, მაგრამ წარსული და მომავალი დროის გამოყოფა ფარდობითია. სუბიექტისა და ობიექტისადმი მიმართების თვალსაზრისით განირჩევა ორი ტიპის მიმღეობა, თუმცა შესაძლებელია ცვლილებაც:

მიმღეობის შემცველ რთულ სიტყვებში მეორე კომპონენტად გამოყენებული საობიექტო მიმღეობა სასუბიექტო შინაარსისა ხდება (მოტეხილი ფეხი შდრ. ფეხმოტეხილი).

სინტაქსური ფუნქციის მიხედვით, მიმღეობა, როგორც ბრუნებადი სიტყვა, გვხვდება განსაზღვრებად, ასევე - სუბიექტად და სხვადასხვა ტიპის ობიექტად, ვითარებითი ბრუნვის ფორმით - გარემოებად. მისი პრედიკატული ბუნება მჟღავნდება შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილსა და პერიფრასტულ ვნებითში, ასევე - პრედიკატული განსაზღვრების როლში, როცა ის ორმაგ ბუნებას ამჟღავნებს: ბრუნვაში ეთანხმება სახელს და სემანტიკურ კავშირს ამყარებს შემასმენელთან.

Rusudan Zekalashvili
The Participles in Georgian and in Dialects - Forms, Usages and Semantics

The work deals with the history of participle studies in Georgian linguistics (A. Shanidze, A. Chiqobava, F. Ertelishvili, E. Osidze...), the types of participles according to their meaning, form and function. Noun and verb markers are pointed out as well as the derivative affixes, and their participation in terminological derivation.

Five types of the participles are marked out in the Georgian language and a small group of the composites with the suffix “-ia” is added to this classification. Besides, the instances with the verbal nouns that have a nature of the participles become more frequent and such nouns have the content of present passive. They can be considered the new type of participles.

As for the tense category there are the present and the past participles but the tense is relative. Besides the categories of voice and tense, the participles reveal the categories of aspect, direction, orientation, causation. In accordance with the relations between the subject and the object, the active and passive participles are distinguished. The instances should be noted with the compound words involving the passive participles when the participle having the meaning of the object acquires the subject meaning. The participles have adjectival declension and can be used in plural. As a declinable word, in its syntactic function, the participle occurs as an attribute, subject and also different types of objects; in the form of the adverbial case participles have the function of adverbials. The predicative nature of the participle become obvious when using it as a noun part of the compound predicate, in the form of periphrastic passive coupled with the auxiliary verb and in the function of the predicative attribute where it reveals its double nature: it is in case agreement with the noun and shows semantic ties with the predicate.

ივნისი 13 June

**სექცია – ენათმეცნიერება
Section – Linguistics**

**ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი
ზმნის ფორმაში ზოგიერთი მორფემის მნიშვნელობის შესახებ ქართულში**

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ქართული ზმნა რთული ენობრივი ფენომენია. განსაკუთრებით ძნელია მისი გაგება და შესწავლა არაქართველთათვის. არსებული თეორიები და გამოკვლევები განკუთვნილია ქართული ენის მფლობელთათვის, რომლებსაც კარგად ესმით ტექსტის შინაარსი, თითოეული ფორმის მნიშვნელობა და სემანტიკური ნუანსები, მაგრამ არაქართველები მოკლებული არიან ენის ცოდნას, რის გამოც მათ უჭირთ გარკვეული გრამატიკული კატეგორიების გაგება და აღქმა, როგორც ეს წარმოდგენილია ამა თუ იმ ნაშრომში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ შემთხვევაში ყურადღება უნდა გადავიტანოთ ფორმის ანალიზზე (მითუმეტეს ქართული აგლუტინაციური ენაა და ამგვარი შესაძლებლობა ხშირად არის). მხედველობაში გვაქვს როგორც გრამატიკული კატეგორიების მაწარმოებელი მორფემები, ასევე ძირეული, ლექსიკური მორფემები, რომლებიც ძალიან მარტივ სისტემადად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რაც არაქართველთათვის იქნება ადვილად გასაგები და დასამახსოვრებელი. ზოგიერთი საკითხი ამ თვალსაზრისით არის დამუშავებული, უმეტესობა კი – არა. საერთაშორისო ლიტერატურაში ამგვარი საკითხების შესწავლასა და დამუშავებას დიდი ყურადღება ექცევა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზმნის ფუძის მიხედვით შეიძლება ცვლადი და არაცვლადი კონსტრუქციების გარკვევა, სუბიექტური პირის ნიშნების, ობიექტური პირის ნიშნების, სავრცობის, თემის ნიშნების მიხედვით ზოგიერთი წესის ჩამოყალიბება ფორმების გათვალისწინებით, რაც ძალიან მარტივია და ადვილად დასამახსოვრებელი.

**Nino Bagration-davitashvili
For the Meaning of Some Morphemes in the Form of the Verb in Georgian**

It is well-known in scholarly literature, that Georgian verb is the difficult phenomenon; especially it is hard for Non-Georgians to understand and study it. Existing theories and researches are intended for native Georgians who may understand the content of the text, the meaning of each form and semantical nuances, but the Non-Georgians, who are not sufficiently fluent in Georgian, are

expected to face problems in understanding and apprehending some grammatical categories as it is given in some researches. We think, that we should pay attention on the analyses of forms (furthermore, Georgian language is an agglutinative language and it often has such abilities). We take into account the formative morphemes of grammatical categories, also root, lexical morphemes, which may be given as simple systems and it will be clear and easy to remember for Non-Georgians. Some issues are processed from this point of view, most of them are not. A great attention is given to studying and processing such issues in foreign literature. We think we may elucidate changeable and unchangeable constructions according to the root of the verb, formulate rules due to some forms, for example; according to the subjective person markers, objective person markers, thematic markers, ოდ,-დ markers, which may be very simple and easy to remember.

რამაზ ქურდაძე, ქეთევან მარგიანი, მათა ლომია
ევიდენციალურ მწკრივთა ფუნქციებისა და მათი აღმნიშვნელი ტერმინების
ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში

ქართველურ (სამხრეთკავკასიურ) ენებში - ქართულში, მეგრულში, ლაზურსა და სვანურში დასტურდება ევიდენციალური მწკრივები, რომელთაგან ნაწილი ოთხივე ენაშია, ნაწილი კი მხოლოდ უმწერლობო ენებშია - მეგრულში, ლაზურში და სვანურში განიხილეთ.

1. სვანურსა და მეგრულში გამოყოფენ აწმყოსფუძიან ევიდენციალურ მწკრივებს: თურმეობითებს; სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, სად უნდა განიხილებოდეს ეს მწკრივები: საყრდენი ფუძის მიხედვით I სერიაში, თუ განსხვავებული ევიდენციალური ბუნების გამო ცალკე - IV სერიაში. ამისდა მიხედვით განსხვავებულია მათი აღმნიშვნელი ტერმინებიც: ვარლამ თოფურია მათ *I თურმეობითს* და *II თურმეობითს* უწოდებს, სხვანი კი (გ. როგავა, ალ. ონიანი, ზ. ჭუმბურიძე...) *III* და *IV თურმეობითებად*, ან საყრდენი ფუძის მიხედვით *აწმყოს თურმეობითად* განიხილავენ (იხ. ქობალავა).

- (1) სვან. ხ-ა-ტაბ-უნ-ა „ის თურმე ათლიდა(ზედ) /თურმე უთლიდა მას, მას“;
- (2) სვან. ḲḲ-Ḳ-ḲḲ-ḲḲ „ის თლიდა თურმე მას“.
- (3) მეგრ. ნო-ჭკომუ-ე „ჭამს თურმე/ჭამდა თურმე“;
- (4) მეგრ. ნო-ჭკომუ-ე-დ-უ „ჭამდა თურმე“.

ამ მწკრივთა სემანტიკური ბუნების გათვალისწინებით და ტერმინოლოგიური სიჭრელის თავიდან ასაცილებლად აღნიშნულ სვანურ და მეგრულ ზმნურ ფორმებს შეიძლება ეწოდოს **ევიდენციალური იმპერფექტი I** და **ევიდენციალური იმპერფექტი II**.

2. ქართველური ენებისათვის საერთო III სერიის ევიდენციალური მწკრივები იწოდებიან *I თურმეობითად* და *II თურმეობითად*. ამ მწკრივების თავდაპირველი ფუნქცია იყო რეზულტატიურობა; ევიდენციალურობის სემანტიკა მათ გვიან შეიძინეს და დღეისათვის ორივე ფუნქციას ითავსებენ, რომლის დიფერენცირება კონტექსტითაა შესაძლებელი:

(5) ქართ. *უჭამია* (=აქვს ნაჭამი) - **შედეგობითი**;

(6) ქართ. *უჭამია* (=ჭამა თურმე) - **თურმეობითი**.

ამ თვალსაზრისით გამონაკლისია სვანური ზმნის I თურმეობითი (resp. I შედეგობითი; ნამყოსრული): ამ მწკრივის ქართულისებური წარმოების უპრევერბო ფორმებს არ შესწევთ უნარი უნახაობის გამოხატვისა, ისინი ნებისმიერ კონტექსტში მხოლოდ ექსპერიენციასა და შედეგობითობას აღნიშნავენ:

(7) სვან. *ხობა* - *უჭამია* (=აქვს ნაჭამი, თურმე ≠ ჭამა);

ევიდენციალობის გამოსახატავად მწკრივში განვითარდა ახალი, **-ენ** სუფიქსიანი მოდელი, რომლის მნიშვნელობაც ცალსახად მხოლოდ ევიდენციალობაა:

(8) სვან. *ხამ-ნა* - *უჭამია* (=თურმე ჭამა / თურმე აქვს ნაჭამი; ≠ აქვს ნაჭამი);

გარდა აღნიშნულისა, საანალიზო მწკრივებს ქართველურ ენებში სხვა ფუნქციებიც მოეპოვებათ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მრავალფეროვანია I თურმეობითი; მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ექსპერიენცია („ბავშვობაში ძალიან მტირალა ვყოფილვარ“ , შდრ. „იერუსალიმში არასოდეს ვყოფილვარ“); საანალიზო ფორმებით ასევე გამოიხატება ისეთი სემანტიკური კატეგორიები, როგორებიცაა **ადმირატივი**, **დუბიტატივი**... სემანტიკათა მრავალფეროვნების თვალსაზრისით შედარებით შეზღუდულია II თურმეობითი, თუმცა ექსპერიენციულობა არც ამ მწკრივისთვისაა უცხო.

3. სვანურში, ქართული სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, III სერიაში დასტურდება მწკრივები: **პირობით-შედეგობითი I** და **პირობით-შედეგობითი II**. ეს მწკრივები მხოლოდ ინფერენციულ ევიდენციალობას გადმოსცემენ და, I და II თურმეობითისგან განსხვავებით, ექსპერიენციულობასთან ერთად, მკვეთრად გამოხატული საექვოობა-სავარაუდოობის სემანტიკით ხასიათდებიან:

(9) სვან. *ხემი* „*უჭამია ალბათ*“ (=ნაჭამი აქვს ალბათ)

(10) სვან. *ხემოლ* „*ეჭამა ალბათ*“ (=ნაჭამი ჰქონდა ალბათ)

4. იმის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ პერფექტულობაა ის მახასიათებელი, რომელიც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელობის [(5), (6), (7), (8), (9), (10)] შემთხვევაში ნარჩუნდება ამ მწკრივებში, ხოლო ევიდენციალობა (ვერბალური თუ ინფერენციული) მეტ-ნაკლები ხარისხით ყველა მათგანს ახასიათებს, მართებულად მიგვაჩნია ამ მწკრივებს ეწოდოთ **ევიდენციალური პერფექტი I**, **ევიდენციალური პერფექტი II**, **ევიდენციალური პერფექტი III** და **ევიდენციალური პერფექტი IV**.

მოხსენებაში სრულად იქნება გაანალიზებული ქართველურ ენებში დადასტურებული ევიდენციალურ მწკრივთა ფორმები ტრადიციული და ჩვენ მიერ დაზუსტებული სახელდებების მიხედვით.

Ramaz Kurdadze, Ketevan Margiani, Maia Lomia
On the Relationship Between the Functions of Evidential Tenses and the Terms Denoting Them in the Kartvelian Languages

Kartvelian (South Caucasian) languages – Georgian, Megrelian, Laz and Svan – have evidential tenses, out of which some are present in all the four languages, whereas others have been developed only in the non-written languages – Megrelian, Laz and Svan.

1. The Svan and Megrelian languages have evidential tenses with present stem forms. In the scholarly literature there are various opinions regarding the series, to which these tenses pertain: the first series, due to the base-stem, or separately in the fourth series, due to their different evidential nature. Therefore, there are various terms denoting these tenses: Varlam Topuria calls them *Evidential I and Evidential II*, while other scholars (G. Rogava, A. Oniani, Z. Chumburidze...) call them *Evidential III and Evidential IV*. Sometimes these tenses are viewed as *Present Evidential* due to their base-stem (I. Kobalava).

(1) Svan. *x-a-ṭab-un-a* „It turned out that he/she had been peeling it for him/her on the surface“/ „It turned out that he/she had been peeling it for him/her“;

(2) Svan. *lə-m-ṭab-ün* „It turned out that he/she had been peeling it“.

(3) Megr. *no-□kəmu-e* „It turned out that he/she is eating/was eating“;

(4) Megr. *no-□kəmu-e-d-u* „It turned out that he/she had been eating“.

Taking into account the semantics of these tenses, in order to avoid the confusing diversity of terms, we argue that the above-mentioned Svan and Megrelian verb forms should be called **Evidential Imperfect I** and **Evidential Imperfect II**.

2. The evidential tenses of the III series, which are common to all Kartvelian languages, are termed *Evidential I and Evidential II*. The initial function of these tenses was to show result. They acquired evidential semantics later. Currently they perform both functions, and differentiation is possible only based on the context:

(5) Georgian. *u□amia* (=has eaten) - **Resultative**;

(6) Georgian. *u□amia* (=it turned out that he/she has eaten) - **Evidential**.

In this regard, Evidential I of the Svan verb (resp. Resultative I, past perfect) is an exception: the forms without preverb, which are similar to Georgian, in this tense have no capacity to express unseen actions. In any context they denote only experience and result:

(7) Svan. *xoma* - *has eaten* (=has eaten, it turned out that ≠ he/she ate);

In order to express evidentiality, this tense developed a new model with suffix **-en**, and its meaning is definitely and solely evidentiality:

(8) Svan. *xam-ēn-a* - *it turned out that he/she has eaten* (=it turned out that he/she had eaten; ≠ he/she has eaten);

Apart from the above-mentioned, the tenses under analysis perform other significant functions in the Kartvelian languages. In this regard, Evidential I is especially diverse; one of its major functions is to denote experience („I have been a cry-baby in my childhood“, cf. „I have never been in Jerusalem“); The given forms also express semantic categories like **Admirative, Dubitative...** Evidential II is of comparatively limited semantics, though this tense also denotes experience.

3. In Svan, unlike the literary Georgian, the third series of the verb contains the following tenses: **Conditional-Resultative I and Conditional-Resultative II**. These tenses express only inferential evidentiality and, unlike Evidential I and II, they denote experience alongside with clearly expressed doubt-probability:

(9) Svan. *xemi* „he/she has eaten probably“ (=it seems he/she has eaten)

(10) Svan. *xemol* „he/she had eaten probably“ (=it seemed he/she had eaten)

4. As these tenses retain the meaning of perfect actions in all the above-mentioned meanings [(5), (6), (7), (8), (9), (10)], and, as all of them are characterized by the semantics of evidentiality (verbal or inferential) to a certain extent, we argue that these tenses should be termed as **Evidential Perfect I, Evidential Perfect II, Evidential Perfect III** and **Evidential Perfect IV**.

The paper focuses on the detailed analysis of evidential tense forms in the Kartvelian languages. Taking into account the diverse traditional terms denoting these tenses, we propose the new terms worked out by us in the process of research.

სალომე ომიადზე ერთი ზმნისართის უმართებულო ხმარებისათვის თანამედროვე ქართულ მედიადისკურსში

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალ რედაქციაში ვკითხულობთ: „არცთუ ზმნს. არც ისე; დიდად არ, ნაკლებად; მაინცდამაინც არ“ (ქეგლი, გვ. 651). აღნიშნული განმარტება ნათელს ხდის ამ ერთეულის სხვაგვარი კვალიფიკაციის საფუძველსაც, „არცთუ“ სამეცნიერო ლიტერატურაში უარყოფით ნაწილაკადაც არის სახელდებული. მის ზუსტ გრამატიკულ კვალიფიკაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენი საკვლევი საკითხისათვის, რომელიც „არცთუ“ სიტყვის მონაწილეობით შექმნილ შესიტყვებათა სემანტიკას უკავშირდება.

ორკომპონენტთან შესიტყვებებში, რომელთა პირველი წევრი „არცთუა“, მეორე კი ზედსართავი სახელი ან ზმნიზედაა (არცთუ დიდი, არცთუ ხშირად), „არცთუ“ მეორე კომპონენტით გამოხატული სხვადასხვა სემანტიკის აბსოლუტურობას არღვევს, დასახელებულ თვისებას ფარდობითად წარმოგვიდგენს: ზედსართავი „დიდი“ თავისთავადი და სრული გამოხატულებაა აღნიშნული თვისებისა, „არცთუ დიდი“ „დიდზე“ ნაკლებია, ე.ი. სისრულეს მოკლებულია. სისრულის ნაკლებობას გამოხატავს ქართულში ოდნაობითი ფორმები. სწორედ წარმოქმნილი ოდნაობითი ფორმებისათვის „არცთუს“ დართვით მიიღება ისეთი უმართებულო მსაზღვრელი შესიტყვებები, როგორცაა „არცთუ მოდიდო“, „არცთუ მომცრო“, „არცთუ მოთეთრო“.

მოხსენებაში ვრცლად განვიხილავთ თანამედროვე ქართულ მედიადისკურსში გავრცელებულ პლეონაზმის ამგვარ შემთხვევებს.

Salome Omiadze For The Improper Use of One Particular Adverb in Modern Georgian Media Discourse

There are frequent cases in modern Georgian media discourse, when the content which means “slight, insignificant”, is expressed in double way – by the adverb “artstu” – “not so much” and by the derivative form of the -ish form degree: “artstu modido” (“Not so much biggish”). In the report will be discussed in details the media contexts, containing such kind word-combinations, which shall be evaluated in pleonastic manner.

თამარ კამკამიძე ექიმ-პაციენტის ავთენტური დიალოგები: ემპირიული მასალის მოპოვება და ტრანსკრიბირება

წინამდებარე მოხსენება წარმოადგენს ერთ-ერთ საკითხს ჩემი სადოქტორო ნაშრომიდან თემაზე: ექიმ-პაციენტის ავთენტური დიალოგების ენობრივი მახსიათებლები და მათი დიდაქტიზირების შესაძლებლობები, რომლის მიზანია, უპირველესად წარმოაჩინოს სამედიცინო პროფილის გერმანულენოვან აუდიომასალაზე მუშაობის აქტუალური ტექნოლოგიები ქართულენოვან აუდიტორიაში, მასზე დაყრდნობით კი გამოავლინოს დიალოგური ტექსტის ნარატიულ ტექსტად ტრანსფორმირების ინდივიდუალობები ანამნეზის შედგენის მიზნით სტუდენტის/ექიმის მშობლიურ ენაზე.

ზემოჩამოყალიბებული საერთო მიზანდასახულობიდან გამომდინარე მუშაობის პირველი ეტაპი ითვალისწინებს ავთენტური მასალის მოპოვებას, მის ტრანსკრიბირებას და მომზადებას სასწავლო პროცესში ჩასართველად სამიზნე ჯგუფის კონკრეტული პროფილისა და ენობრივი დონის გათვალისწინებით. შესაბამისად, დღევანდელ გამოსვლაში ვიმსჯელებ, ერთი მხრივ, დარგობრივ ტექსტსა და სამედიცინო თემაზე წარმართულ არადარგობრივ/ყოფთი ხასიათის დიალოგის ერთმანეთისგან გამიჯვნის აუცილებლობაზე; მეორე მხრივ კი, აღწერ თვით დიალოგების მოპოვება-დამუშავების პროცესს, წარმართულს ჩემ მიერ გერმანიაში, ზაარლანდის ერთ-ერთ საუნივერსიტეტო კლინიკაში 2015 წელს სამეცნიერო მივლინების ფარგლებში. ემპირიული მასალის მოპოვებასთან დაკავშირებით ყურადღებას შევაჩერებ ისეთ მომენტებზე, როგორებიცაა: კლინიკაში მუშაობის სამართლებრივი ასპექტები, პაციენტთან გაშუალებული ურთიერთობის მორალური და ეთიკური პლანის ფაქტორები, დიქტაფონით მუშაობის ტექნიკური სირთულეები, დაბოლოს ყოველივე ამის ზეგავლენა ჩანაწერის ხარისხსა და ენობრივი პლანის დარღვევა-ცდომილებებზე მათი რელევანტურობა-არარელევანტურობის კუთხით. აუდიო მასალისთვის გრაფიკული ფორმის მიცემის ირგვლივ მსჯელობისას წარმოვადგენ ე.წ. GAT-2 ტრანსკრიბირების სამსაფეხურიანი სისტემის ზოგად კანონზომიერებებს და განვიხილავ თითოეული მათგანის ეფექტურობას ჩვენს მიზნებთან მისადაგებით. სამედიცინო პროფილის, ე. ი. არალინგვისტ სტუდენტებთან მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, არჩევანს გავაკეთებ ერთ-ერთი საფეხურის, კერძოდ, მინიმალური ტრანსკრიპტის სასარგებლოდ. გაანალიზებულის ილუსტრაციის მიზნით მოვახდენ ეკრანზე ერთ-ერთ კონკრეტული

აუდიოტექსტის ვიზუალიზაციას შესაბამისი სავარაუდო/დასაშვები ვერსიებისა და აქტუალური ტრანსკრიპტის სახით.

Tamar Kamkamidze
Authentic Doctor-Patient Dialogues – Obtaining and Transcribing Empirical Material

The present article is one of the issues from my doctoral thesis on the topic: “Linguistic Characteristics of Authentic Doctor-Patient Dialogues and Opportunities of their Didacticization”. It is aimed to demonstrate primarily the actual techniques of working on the German-language audio material of the medical profile in the Georgian-speaking audience, and on its basis to reveal the peculiarities of transforming a dialogue text into a narrative text for the purpose of writing an anamnesis in the native language of the students/doctors.

Proceeding from the above-mentioned objectives, the first stage of the work implies obtaining an authentic material, its transcription and preparation for inclusion in the teaching process taking into account the specific profile and level of language knowledge in a target group. Accordingly, in my presentation I discuss, on the one hand, the necessity of demarcation of a specialized text and a dialogue of a non-specialized/everyday character on the medical topic, and, on the other hand, describe the process of obtaining/processing of dialogues proper, which I carried out during my academic mission to one of the university clinics of Saarland, Germany, in 2015. With respect to obtaining empirical material, attention is focused on several moments, such as: legal aspects of working in a clinic, factors of moral and ethical levels of direct relationship with a patient, technical difficulties of working with a dictaphone, and finally the effect of all this on the quality of a record and linguistic errors /inaccuracies from the viewpoint of their relevance-irrelevance. When discussing the rendering of the audio material into a graphic form, I touch upon general regularities of the three-step transcribing system –the so-called GAT-2, and discuss the effectiveness of each step taking into account our present objectives. Proceeding from the specificity of working with students of the medical – i.e. non-linguistic profile, the selection is done in favour of one of the steps, namely, minimal transcript.

To illustrate the analyzed issues, I visualize on a screen one of the particular audio texts in the form of respective presumable/admissible versions and actual transcript.

ივნისი 14 June

**სექცია – ენათმეცნიერება
Section – Linguistics**

**ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია, გიორგი ყუფარაძე
კალამბურები ფრანგულ და ინგლისურ სარეკლამო ტექსტებში**

ლინგვისტიკის თვალსაზრისით, კალამბური საკმაოდ რთული მექანიზმია. სიტყვათა თამაშის შემადგენელი აუცილებელი ელემენტებია ენობრივ მოვლენათა მთელი რიგი (ომონიმია, პარონომაზია, პოლისემია). ამასთანავე, კიდევ რომ ვიცოდეთ კონკრეტული კალამბურის შემადგენლობა, მაინც რთულია მათი მოქმედების წინასწარ განსაზღვრა; ხშირად რთულია კალამბურის საზღვრების განსაზღვრაც. შესაძლებელია, რომ კონტექსტი იყოს კალამბურის სხეული (შემადგენელი ნაწილი), ომონიმები, პოლისემიური სიტყვები და სხვ. კი – მისი გული.

სიტყვათა თამაში – ესაა აზრთა გადაჯაჭვა, რომლის გასაგებად ხშირად აუცილებელია სხვადასხვა პლანის დამატებითი ცოდნა. ძალიან ხშირად, სიტყვათა თამაში ეფუძნება ომონიმის მოვლენას. ლექსიკური ომონიმისაგან უნდა განვასხვავოთ მისი თანმხლები მოვლენები – ფონეტიკური და გრამატიკული ომონიმია. მხატვრულ ნაწარმოებებში (განსაკუთრებით პოეზიაში), ასევე გაზეთების სათაურებში და რეკლამებში, ხშირად გამოიყენება ომონიმია და მისი მსგავსი მოვლენები, როგორც ენობრივი თამაშის საშუალება ტექსტის განსაკუთრებული გამომხატველობის შექმნისათვის.

სარეკლამო შეტყობინებათა კრეატიულობის მაღალი ხარისხი მიიღწევა ენობრივი თამაშის გამოყენების გზით.

**Tsiuri Akhvlediani, Ketevan Gabunia, Giorgi Kuperadze
Puns in French and English Advertising Texts**

From the linguistic point of view, Puns turn up to present a rather complicated mechanism. The constituent elements of word play are a number of phenomena (homonymy, paronomasia, polysemy). Apart from this, even having known the composition of a certain pun, it is still difficult to determine its function in advance; it is often hard to define the boundaries of the puns too. It is quite possible that the context of a pun may appear to be its body (part) but the homonymous, polysemic words etc. - its heart.

Word play - is the interweaving of opinions, for understanding of which it is often necessary to have a variety of additional knowledge of some more plans. Word play very often is based on homonymous effect. From Lexical homonymy, we should distinguish phonetic and grammatical homonymies as its accompanying phenomena.

In literary prose (especially in poetry), as well as in newspaper headlines and advertisements, homonymy and similar effects are often used, as the means of a language expressiveness of the text, forming a special colouring.

High quality of creativity of advertising messages is achieved through the use of word play within the texts.

მარინა ანდრაზაშვილი
რიჰარდ მეკელაინის ნაშრომის Einführung in die deutsche Sprache für Georgier
ლინგვისტურ-დიდაქტიკური ანალიზი

წინამდებარე ნაშრომით ვაგრძელებ გერმანელი ლინგვისტის, სლავური და კავკასიური ენების მკვლევარის რიჰარდ მეკელაინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ციკლს, კერძოდ, წარმოვადგენ მისი წიგნის Einführung in die deutsche Sprache für Georgier (nebst Chrestomathie und Wörterbuch), Berlin 1922, Kultur-Verlagsgesellschaft „Naher Osten“ ანალიზს ლინგვისტურსა და მეთოდოლოგიურ-დიდაქტიკურ ჭრილში.

ავტორი წიგნის უშუალო ადრესატად პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ახალგაზრდა ქართველ ტყვეებს მოიაზრებს, რომელთაც წიგნმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უნდა შეუნარჩუნოს კონტაქტი გერმანულ ენასთან და გერმანულ რეალიებთან. წიგნი სამი ნაწილისგან შედგება: I. გრამატიკა, II. ქრესტომატია, III. გერმანულ-ქართული ლექსიკონი: გრამატიკული ნაწილი აგებულია იმხანად პრიორიტეტულ სწავლების სქოლასტიკურ მეთოდზე დაყრდნობით. ავტორი ზოგად შტრიხებში აღწერს გერმანული ენის გრაფიკულ სისტემასა და მის ფონოლოგიურ თავისებურებებს, შედარებით დაწვრილებით – ენის მორფოლოგიურ სისტემას, სინტაქსიდან კი მხოლოდ რამდენიმე საკითხს განიხილავს შერჩევით, მათ პრაქტიკულ ღირებულებაზე ორიენტაციით. ორენოვან სათაურებში ავტორი საგანგებო ყურადღებას უთმობს გრამატიკული ტერმინების მიწოდებას ორივე ენაზე, თუმცა მსჯელობებში უპირატესობას ქართული გრამატიკიდან მისადაგებულ ეკვივალენტებს ანიჭებს, შედეგად კი ფორმულირებებს სიცხადეს/ცალსახოვნებას უკარგავს. სავარჯიშოებს აგებს გრამატიკაზე ორიენტირებულ თარგმანის მეთოდზე დაყრდნობით.

ქრესტომატიული ნაწილი შემსწავლელს საწყის ეტაპზე აცნობს კლასიკურ იგავებს, შემდეგ კი თანდათანობით ამონარიდებს ლესინგის, ჰერდერის, ჰებელის, გრიმების და სხვათა შემეცნებითი ხასიათის ტექსტებიდან; პარალელურად შემოაქვს ტექსტის ახალი სახეობა – წერილი. გოთური შრიფტით აწყობილ ტექსტებს ურთავს ასევე ქართულ თარგმანს, თუმცა არ იძლევა ლათინურ ტრანსკრიპტს, რაც წაკითხვას ართულებს.

გერმანულ-ქართულ ლექსიკონში გრამატიკულ ინფორმაციას მხოლოდ სახელის კლასთან მიმართებაში წარმოაჩენს, ეკვივალენტთა მისადაგებისას ანგარიშს უწევს ასევე ქართული ლექსიკის თავისებურებებს, თუმცა ზმნის კლასს (თვით ძლიერი ზმნების მარკერებსაც კი) უკომენტოდ ტოვებს. ზემოჩამოთვლილ საკითხთა ირგვლივ მოხსენებაში ინდივიდუალურად ვმსჯელობ, ვცდილობ, წარმოვაჩინო ავტორის ზოგადლინგვისტური ერუდიციის კვალი მასალის დიდაქტიზირებისას, გრამატიკის მიწოდების აშკარა პრიორიტეტულობა ლექსიკასთან შედარებით, ფორმულირებებში ქართული ტრანსლიტერაციის ნაკლებეფექტურობა და ა.შ.; დასკვნაში ხაზს ვუსვამ იმ ფაქტს, რომ წიგნის ე.წ. „ხარვეზები“ ალბათ მაინც უფრო ეპოქის გამომახილად უნდა აღვიქვათ, ვიდრე თვით ავტორის ნაკლად. მეკელაინის ზემოგანხილული ნაშრომი, თანამედროვეობის პოზიციიდან კვალიფიცირებული, არის გერმანული ენის პირველი სახელმძღვანელო, საგანგებოდ შედგენილი ქართულენოვან შემსწავლელთათვის მათ მშობლიურ ენაზე, და ამდენად, გადაჭარბებული არ იქნება, თუკი მას ე.წ. DaF-ის სერიის წიგნების ერთგვარ წინამორბედად მივიჩნევთ.

Marina Andrazashvili

Richard Meckelein and the Linguistic-Didactic Analysis of His *Einführung in die deutsche Sprache für Georgier*

My present study continues the cycle devoted to the life and work of German linguist Richard Meckelein, namely, it offers an analysis of his book *Einführung in die deutsche Sprache für Georgier*, Berlin 1922, Kultur-Verlagsgesellschaft „Naher Osten“ from linguistic and methodical-didactic viewpoints.

The author intends his book for young Georgian captives, participating in World War I, whom the book should assist to retain contact with the German language and realia after their return to their homeland. The work consists of three sections: Grammar, Chrestomathy, German-Georgian Dictionary.

Grammar is based on the scholastic teaching method. Phonological peculiarities of German are outlined generally, morphological system – in more detail, from syntax only several issues are selected according to their practical value. In bilingual titles the author pays special attention to

presenting grammatical terms in both languages, but in discussion prefers equivalents suited from Georgian grammar. Exercises are built on grammar-oriented translation method. Chrestomathy introduces fables, extracts from cognitive texts by Lessing, Hebel, Herder, the Grimm and others; also introduces a new text variety- letter. Meckelein furnishes texts in Gothic type with Georgian translations, however, without Latin transcripts, which complicates reading. In German-Georgian Dictionary grammatical information is given only with the noun class, when suiting equivalents peculiarities of Georgian vocabulary are taken into account, however, the verb class is left without commentaries.

In my presentation the above-mentioned questions are discussed separately, it is attempted to demonstrate the trace of Meckelein’s general linguistic erudition in didacticization of material, obvious greater priority of offering grammar than vocabulary, less effectiveness of Georgian transliteration in wordings, etc. Meckelein’s work, qualified from the modern viewpoint, is the first textbook of the German language, specially compiled for Georgian-speaking learners in their native language, thus, it will not be overstated to consider it as a certain forerunner of DaF-series books.

ნატალია ბასილია ქართული ხატი XX საუკუნის რუსულ სიტყვიერ კულტურაში

ყოველდღიურობის თუნდაც ჩვეული/ბანალური მოვლენების მხატვრული შემეცნებისას, ანუ სამყაროს პოეტურ პრიზმაში გარდატეხისას, კოდირების სრულიად ინდივიდუალური კანონზომიერება მოქმედებს. ასევე განსხვავებულია ნორმები და კრიტერიუმები, რომელთაც შემოქმედი მიმართავს აღქმულის გადმოცემისას. ფაქტობრივად, პოეტი მკითხველს კულტურათაშორის დიალოგში იწვევს, რომლის წარმართვის წესებსაც ნაწილობრივ თვითონვე კარნახობს მას, ნაწილობრივ კი მკითხველისგან ელის კულტურათაშორისი კომუნიკაციის კომპეტენციების ფლობას დეკოდირების ეფექტურობის მისაღწევად.

წინამდებარე გამოკვლევაში განხილვის საგნად ვაქცევ აღნიშნულ ფენომენს მეოცე საუკუნის იმ რუს პოეტთა შემოქმედებაში, რომელთაც საქართველო თავიანთ სულიერ სამშობლოდ აღიარეს და იმავდროულად შეეცადნენ კიდევაც, საკუთარ ქმნილებებში ქართული რეალიებისთვის, სიტყვიერი ჟღერადობის შენარჩუნების გზით, გაეცოცხლებინათ ქართული ხატი და აღედგინათ მასთან მიმართებში მყოფი საქართველოს პანოები. ამ პოეტთაგან საგანგებოდ უნდა მოვიხსენიო: ოსიპ

მანდელშტამი, ბორის პასტერნაკი და ბელა ახმადულინა. მათი ე.წ. ქართული ლექსების ციკლისთვის დამახასიათებელი ნიშანთვისებაა, რომ ისინი იღწვიან ორგანულად ჩააქსოვონ ქართული სიტყვები რუსული ლექსის ქსოვილში, აქციონ მის განუყოფელ ნაწილად. ამას კი პრაქტიკულად აღწევენ უარის თქმით ქართული ლექსიკური ერთეულების რუსულ ეკვივალენტებსა თუ ტანსლირებულ ვერსიებზე და უპირატესობას აძლევენ ამოსავალი ლექსემების ტრანსლიტერაციას რუსული გრაფემებით. საილუსტრაციო ნიმუშებია: [сазандари] (Мандельштам) / [ниагвари] (Пастернак) / [Деда–эна], [Гмерто], [Иа], [нарғизи] (Ахмадулина). ამ პროცესს ასაზრდოებს თვით პოეტის მიერ ქართული რეალობის აღქმა და ორიგინალის ენაზე სახელდების ტექნიკა.

ნაშრომში წარმოვადგენ ამ ტიპის ლექსიკის კლასიფიკაციას და ცალ-ცალკე განვიხილავ, ა) ერთი მხრივ, საზოგადო, ანუ ზემოჩამოთვლილის ანალოგიურ ლექსიკას; ბ) მეორე მხრივ კი, საკუთარ სახელთა სუბკლასებს: ტოპონიმებს –Сакартвело, Кахетия, Мцхета, Махинджаури, Батуми, Тбилиси, Тифлис, Гагры...; Араგვი, Метехи, Ушба, Давид-гора, Алазанская долина; ანთროპონიმებს: Ламара, Цисана, Натэла, Гиули...; ერგონიმებს: хаши, мацони. ვახდენ დაკვირვებას ასევე მათ სიტყვაწარმოებით პოტენციალსა და შეძენილ ლექსიკურ მნიშვნელობებზე: мацонщик, хашная და ა.შ. დასკვნით ნაწილში ხაზს ვუსვამ რუსი პოეტების მიერ ტრანსლიტერაციის ფენომენისთვის მეთოდის ფუნქციის მინიჭების ფაქტს, ანუ მის აყვანას მხატვრული ხერხის რანგში და ვაყალიბებ ამის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორებს: ა) რუსი პოეტების მხრიდან ქართული რეალობაში ზედმიწევნით წვდომასა და ემოციურ მიმართებას მისადმი; ბ) პირად კონტაქტებს ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან და მათ ნაწარმოებების ცოდნას; გ) ხატოვანი აზროვნებისა და კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვის მაღალ კულტურას.

Natalia Basilaia **Georgian Images in Russian Verbal Culture of the 20th Century**

Perceiving other traditions, other norms of poetic interpretation of the world through the prism of the usual poetic code, the poet, and after him the reader enter into a special kind of intercultural communication. In order for this communication to take place, a high degree of intercultural competence is required, which manifests itself in the works of the Russian poets who were committed to Georgia. To achieve effective decoding of poetry by the reader, the poet, in interpreting the world, is guided by individual laws of coding, peculiar norms and criteria for reflecting the manifestations of reality.

The subject of our presentation is the phenomenon of a high degree of intercultural competence in the works of the Russian poets of the 20th century, such as: Osip Mandelstam, Boris Pasternak, Bella Akhmadulina, who perceived Georgia as their spiritual homeland and tried to revive Georgian images in their own creations and thus create a Georgian picture of the world. The characteristic signs of the cycle of their "Georgian" poems are the organic interweaving of Georgian words dressed in Russian verses, turning them into an integral part of it. This explains the refusal of poets to use the Russian equivalents or translated versions and preserve the original sounding of the words reflecting Georgian realities. The reception of the Georgian cultural picture of the world in the works of the Russian poets, and from them into the artistic system of Russian literature, comes from a good linguistic and cultural knowledge of realities, customs, everyday life, acquaintance with the best representatives of Georgian literature, fine knowledge of the figurative system of native and translated linguo-cultures and translations of their works into Russian.

ივნისი 14 June

**სექცია – ლიტერატურათმცოდნეობა
Section – Literary Criticism**

**ნანა გაფრინდაშვილი
„ვეფხისტყაოსნის“ არასრული ბელორუსული თარგმანები**

ქართულ ლიტერატურას სლავურ ლიტერატურებთან ურთიერთობის დიდი და საინტერესო ისტორია აქვს. ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა ბელორუსული სალიტერატურო სამყაროც.

ქართულ-ბელორუსულ ლიტერატურულ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „ვეფხისტყაოსნის“ ბელორუსულ თარგმანებს. „ვეფხისტყაოსნით“ პირველი დაინტერესება, რაც დოკუმენტურად დასტურდება, ბელორუსიაში 1935 წელს მოხდა, როცა თბილისში გაემგზავრა ბელორუს მწერალთა ბრიგადა ქართული სამყაროსა და ლიტერატურის გასაცნობად. ამ დროს გაიცნო „ვეფხისტყაოსანი“ ბელორუსმა პოეტმა მიკოლა ხვედოროვიჩმა და ორიოდე წელიწადში თარგმნა კიდევ იგი, თუმცა ის 30-იანი წლების კომუნისტური ტერორის მსხვერპლი გახდა, გადაასახლეს და თარგმანმა მკითხველამდე ვეღარ მიაღწია.

შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილემ ბელორუსიაში გააცხოველა პოემისადმი ინტერესი. დაიწერა სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის წერილები და პოეტური მიძღვნები პოემისა და მისი ავტორისადმი; გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე არასრული თარგმანი, მათ შორის: პ. ბროვკას, კ. კრაპივას, ა. ზარიცკისა და ა. უშაკოვის, ა. გურლოს, ა. კულიშოვის, ა. ალექსანდროვიჩის თარგმანები.

„ვეფხისტყაოსნის“ ბელორუსულმა თარგმანებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართულ-ბელორუსული ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებაში.

Nana Gaprindashvili **Incomplete Belorussian Translations of *The Knight in the Panther's Skin***

The Georgian literature has a long and interesting history of the relation with Slavic literatures. From this point of view, the Belorussian literary world offers an interesting material.

Belorussian translations of *The Knight in the Panther's Skin* occupy an important position in the development of Georgian-Belorussian literary relations. The interest towards this poem was firstly provoked in 1935, when a group of Belorussian writers arrived in Tbilisi with the purpose of getting acquainted with Georgian culture and literature. At this period, poet Mikola Khvedorovich read *The Knight in the Panther's Skin*. In 1937 he prepared the translation of this poem. However, Mikola Khvedorovich became a victim of the communist terror of the 30s. He was exiled and his translation did not reach the reader.

Shota Rustaveli's 750th anniversary flared the scholarly interest towards *The Knight in the Panther's Skin*, which resulted in writing the letters of a scientific-popular character and poetic dedications to the poem and its author. Several incomplete translations of *The Knight in the Panther's Skin* were published (P. Brovka's, K. Krapiva's, A. Gurlo's, A. Kulishov's, A. Alexandrovich's, A. Zaritski's and A. Ushakov's translations).

Belorussian translations of the given poem played an important role in the development of Georgian-Belorussian literary relations.

ივანე მჭედელაძე აგათანგელ კრიმსკის ქართველოლოგიური არქივის ზოგიერთი უცნობი ასპექტი

მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობაში იკვეთება ქართველოლოგიური პრობლემებით დაინტერესება. ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის შესწავლაში სრულიად გამორჩეულია ცნობილი ორიენტალისტის, აგათანგელ კრიმსკის სამეცნიერო მემკვიდრეობა. როგორც ავტორიტეტული მკვლევრების ნაშრომები მოწმობენ, კრიმსკის ლიტერატურათმცოდნეობითი მემკვიდრეობაში შეინიშნება კომპარატივისტული აქცენტები (გენეტიკურ-კონტაქტური მეთოდები, კომუნიკაცია, გავლენა), რაც თავისთავად მიიჩნევა უკრაინაში კომპარატივისტიკის პირველ /საწყის ეტაპად (პოზიტივისტური ფაზა).

ქართული საისტორიო მწერლობის ანალიზისას ცნობილი მეცნიერი იყენებს სწორედ ამგვარ კომპარატივისტულ მიდგომებს, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური წყაროები, ქართული საისტორიო მწერლობა როგორც საქართველოს ისტორიის წყარო.

სტუდენტური პროექტების დაფინანსების ფარგლებში მოგვეცა საშუალება გვემუშავა მეცნიერის პირად არქივზე, რომელიც დაცულია უკრაინის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ინსტიტუტში. აქ დაცულია ქართველი მეცნიერის რამდენიმე წერილი აგათანგელ კრიმსკისთან, ნაშრომები საქართველოს ისტორიისა და ძველი ქართული მწერლობის შესახებ.

მეცნიერის ტრაგიკული ბიოგრაფიიდან გამომდინარე (იგი ცნობილი რეპრესიების მხვერპლი გახდა) საბჭოთა მეცნიერებაში მისი უზარმაზარი მემკვიდრეობა ჯერ კიდევ სათანადოდ არაა შესწავლილი, მისი აკადემიური გამოცემის ხუთტომეულშითუ ბოლო პერიოდის რამდენიმე მნიშვნელოვან მონოგრაფიაში არსად არ არის შესწავლილი და გამოქვეყნებული საქართველოსთან დაკავშირებული მასალები, ქართველი მეცნიერების წერილები.

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ კრიმსკის არქივში მიკვლევულ სიმონ ჯანაშიას ერთ წერილზე, რომელშიც საუბარია „ქართლის ცხოვრების“ და უკრაინელი და ქართველი მეცნიერების უცნობი კონტაქტების შესახებ, რაც განპირობებულია ქართველოლოგიური პრობლემების საერთო ხედვებით.

Ivane Mchedeladze Some of the unknown aspects of Agathangel Krymski's Kartvelological Archive

The Ukrainian literary criticism of the end of the 19th and the beginning of the 20th centuries shows interest to Kartvelological studies. The distinction of Georgian literature and history was pointed out

by the famous Orientalist Agathangel Krymski in his vast scholarly legacy. As prominent scholars note Krymski's literary legacy tends to contain certain comparativist accents (genetic-contact methods, communication, influence), which is considered to be the first Comparativist/initial stage in Ukrainian literature (positivist phase).

During the analysis of Georgian historical literature, the famous scholar uses precisely such comparative approaches, the history of the Oriental sources and the Georgian historical writing as historical source.

Within the frames of Student projects we had a chance to work with the scholar's personal archive, which is protected by the National Institute of Manuscripts Library. There are some letters written to Agathangel Krymski by Georgian academics, papers on the history and literature of ancient Georgia. Accordingly, due to the tragic biography of the scholar (he became a victim of the famous repressions), his literary legacy is not well-studied to the broader public yet. The materials regarding Georgia or the letter of Georgian scholars are included neither into the 5 volumes of his works, nor in several significant monographs that he published at the last stage of his life.

This paper will focus on a particular letter written by Simon Janashjia, which was found in Krikmski's archive and which discusses *The life of Kartli* "and the unknown contacts between Georgian and Ukrainian scholars made on the grounds of common vision of the problems faced by the field of Kartvelology.

სოფიო ჩხატარაშვილი ალა ჰორსკა - ალტერნატიული კულტურა უკრაინის ისტორიაში

XX სუკუნის უკრაინაში ერთ-ერთი უდიდესი მოვლენა იყო „სამოციანელთა“ მოძრაობა, რომელსაც პროტესტის სახე მიეცა სახელმწიფო მმართველი ორგანოების მიმართ, არა მხოლოდ მწერალთა, არამედ სრულიად უკრაინული ინტელიგენციის მხრიდან. მასში აქტიურად მონაწილეობდნენ ხელოვანები, მათ შორის ცნობილი უკრაინელი მოღვაწე, მხატვარი ალა ჰორსკა.

ალა ჰორსკას მოღვაწეობა სამოციანელთა საპროტესტო მოძრაობაში მრავალმხრივი იყო. მან ოპოზიციური სიტყვა თქვა, არა მხოლოდ თავისი შემოქმედებით, არამედ თავისი უშუალო მონაწილეობით მოძრაობის მიმდინარეობაში, რასაც ადასტურებს მისი პირადი მიმოწერა სამოციანელ მწერლებთან.

„სამოციანელ“ პოეტთა შემოქმედებაში შეიძლება ციკლის გამოყოფა, რომელიც მიძღვნილია ალა ჰორსკასადმი, მისი პერსონისა და შემოქმედებისადმი. საინტერესოა, რომ ალა ჰორსკას პირადი მიმოწერიდან ირკვევა, რომ მას მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ივან ძიუბასთან, ივან დრაჩთან, ნადია სვიტლიჩნასთან, ლინა კოსტენკოსა და სხვებთან.

1970 წელს ალა ჰორსკას მკვლელობა ვასილ სიმონენკოს აღსასრულთან ერთად დისიდენტური მოძრაობის გამჟღავნებასა და, ამასთანავე, გამარჯვებას ჰგავდა.

Sophio chkhatarashvili **Alla Horska - Alternative Culture in the History of Ukraine**

“The Sixties” refer to the generation in the history of Ukrainian literature, which is widely discussed, argued and researched in recent academic sphere. “The Sixties” was the title for not only writers and critics, but also for artists, musicians, architects and generally every artist with the ideas that introduced novelty. Alla Horska was one of the impressive people from The Sixties. Horska’s main works are monumental internal and external paintings and mosaics decorating schools, museums, and restaurants, done in collaboration with other artists.

Alla Horska's work was diverse within the protesting movement of the Sixties. He made an oppositionary statement not only by his creativity but also by his direct participation in the movement, which is evidenced in his personal correspondence with the poets of The Sixties: Ivan Drach, Nadia Svitlichna, Lina Kostenko and others.

The assassination of Alla Horska in 1970 followed by the death of Vasil Simonenko, resulted in the disclosure of the dissident movement as well as it looked like its victory.

ნინო წერეთელი **ქართული პოეზიის თარგმნის ისტორიისთვის** **(მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლები)**

პოეტური თარგმანი მეტად რთული ფენომენია მრომელიც მთარგმნელისგან დიდ შრომას და ტალანტს მოითხოვს. მთარგმნელის მისაზამ სახედ შეიძლება მივიჩნიოთ მთარგმნელი ვლადიმერ პოლეტაევი, რომელმაც ჯერ ქართული ენის შესწავლა დაიწყო, ღრმად შეისწავლა ქართული ლიტერატურა, ქართველი პოეტების რუსულ ენაზე არსებული თარგმანები და მიუხედავად მისი ხანმოკლე ცხოვრებისა,

საკმაოდ საინტერესო მემკვიდრეობა დაგვიტოვა, როგორც თარგმანების თვალსაზრისით, ასევე თარგმნის პროცესზე გამოთქმული საყურადღებო მოსაზრებებით. აღსანიშნავია, რომ ვ.პოლეტაევი განსაკუთრებული სიფაქიზით ეკიდებოდა ორიგინალს, ცდილობდა დაეცვა დედნის სტილი და მისი შინაარსობრივი ასპექტები. თარგმანში კი გამოეყენებინა შესაბამისი პოეტური ხერხები, რათა ლექსი ორგანულად ჩაესვა სათარგმნელი ენის სტრუქტურულ ყალიბში და შეექმნა დასრულებული პოეტური ქსოვილი..

მე-20 საუკუნის 60– 70 იანი წლები ქართველი პოეტების თარგმნის მეტად ნაყოფიერი ხანაა.

პარალელური თარგმანების არსებობა მნიშვნელოვანია იმით, რომ ყოველი ახალი თარგმანი ორიგინალის უცნობ, დაფარულ პლასტს აღმოაჩენს და ახალი მიგნებებიც თვალსაჩინო ხდება. ხანდახან პოეტი შორდება ორიგინალს „თავისი სუბექტური განცდით აღიქვამს ბჭკარედს და ასეთი აღქმის შემდეგ, შესაძლებელია ახალი ლექსი შეიქმნას. როგორც ცნობილი ქართველი პოეტის ბელა ახმადუღინას შემთხვევაში, რომლის თარგმანები დედანს დაშორებულია, სტრუქტურაც დარღვეულია, თუმცა მთარგმნელმა შეძლო რუს მკითხველს კიდევ უფრო გაღვიძებოდა ინტერესი გალაკტიონის პოეზიისადმი.

ლიტერატურული, კონკრეტულად კი პოეტური თარგმანის მნიშვნელობა ძალიან დიდია ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობის დასამყარებლად და განსამტკიცებლად, კულტურული დიალოგის გასავითარებლად. ლექსის თარგმანი განსაკუთრებული შრომის და ტალანტის შედეგია, ასეთი შრომა ხანდახან ისეთ შედეგებს ქმნის, რომლებიც იმდენად შეეთვისა თარგმანის ენას, რომ მათი უცხოური წარმომავლობა ძნელად წარმოსადგენიც კი არის. ამიტომ დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, უმნიშვნელოვანესია პოეტური თარგმანის აღმავლობისთვის ზრუნვა და მთარგმნელის, როგორც კულტურული ხიდის შემქმნელის როლის გაძლიერება.

Nino Tsereteli
From the History of the Translation of Georgian Poetry
(1960s and 1970s)

Poetic translation seems to be quite a peculiar phenomenon. Literary translation remains the type of a creative process, which totally depends on the translator’s talent and erudition. The 60s and 70s of the 20th century were a very fruitful period in the translation work of the Georgian poems.

The Russian translators of Georgian poetry demonstrate different attitudes to the original. Some of them show only mood of the poem and try to reproduce musical or euphonic structure of it; several translations are interesting for their maximum proximity to the original.

The object of our interest is a Russian poet and a translator Vladimir Poletaev (1951-1971) – his translations of Georgian literary works and the attitude of the young translator to the translation process.

In his literary heritage the greatest place is occupied by the translation of specimens of Georgian poetry. As V. Poletaev puts in: “There is not a poem, which cannot be translated. It is a lock with an unfit key.” V. Poletaev distinguishes a type of a “commercial translation”, in which the interpreters prepare interlinear translations. Some of them even believe that the work is ended at this stage and it’s time for earning money. Such facts usually take place during the interpretation of white poems, when the translators choose the less spread languages with different exotic intonations. It’s worth mentioning, that everything false and meaningless is alien to him. He believes that a translator and a poet have a spiritual connection.

Translators of poetry have to face too many obstacles but their work helps to break down cultural boundaries, expand relationships and build cultural bridges between various countries, between the peoples of different culture and religion. Translators of literary texts play the role of a bridge between the two nations. Literary translation has a significant role as a bridge for exchanging values between cultures.

ეკატერინე ნავროზაშვილი
პოსტმოდერნიზმის ეპოქის მთარგმნელობითი ტენდენციები (მილორად პავიჩის
„ხაზარული სიტყვის კონა“ ქართული თარგმანის მაგალითზე)

მილორად პავიჩის რომანი „*Хазарски речник*“ 1984 წელს გამოქვეყნდა და თავისი ფორმის, სტილის, მხატვრულ-კომპოზიციური სტრუქტურის გამო (წიგნი ლექსიკონის ფორმით არის დაწერილი, შედგება მდებარეული და მამრული ვერსიებისგან, ერთვის ფსევდოსამეცნიერო აპარატი...), იმთავითვე „XXI საუკუნის რომანად“ აღიარეს, ხოლო თავად მწერალს „ჰიპერტექსტის მამა“ უწოდეს.

პავიჩის რომანის „*Хазарски речник*“ ქართული, გურამ გოგიაშვილისეული თარგმანი „ხაზარული სიტყვის კონა“ შუალედური (რუსული) თარგმანიდან არის

შესრულებული (მთარგმნელი ლარისა საველიევა) და მრავალმხრივაა საინტერესო ქართველი მკითხელისათვის.

გურამ გოგიაშვილი ინდივიდუალური სტილის მთარგმნელია. მის თარგმანში ვხვდებით ისეთ მთარგმნელობით ტრანსფორმაციებს, როგორებიცაა: სათარგმნი ერთეულის შეცვლა, დამატება, გამოტოვება და გადაადგილება. შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელი მაქსიმალურად იყენებს ქართული ენის რესურსებს და ხშირ შემთხვევაში დერივაციულ ფორმებსაც სთავაზობს მკითხველს.

Ekaterine Navrozashvili
The Translating Tendencies of Postmodernism (According to the Georgian Translation of "Dictionary of the Khazars" by Milorad Pavić)

Milorad Pavić's novel titled „*Хазарски речник*“ (“Dictionary of the Khazars”) was published in 1984. Due to its form, style and artistic-compositional structure (the book is written in the form of a dictionary, incorporates female and male versions and encloses pseudo-scientific apparatus...), it was immediately recognized as “the novel of the 21st century”. As for the writer himself, he was named “father of a hyper-text”.

The Georgian translation of Milorad Pavić's „*Хазарски речник*“ was produced by Guram Gogiashvili (Geo. „ხაზარული სიტყვის კონა“) through an indirect, second-hand (Russian) translation (translator – Larisa Savelijeva) and is interesting to the Georgian reader in many respects. Guram Gogiashvili is a translator with an individual style. In his translation we encounter such transformations as changing, adding, omitting and relocating translatable elements in the text. Obviously, the translator utilizes the resources of Georgian language to a great extent and quite often he offers derivational forms to the reader.

ივნისი 14 June

სექცია – ლიტერატურათმცოდნეობა
Section – Literary Criticism

დავით მაზიაშვილი, თათია სიბაშვილი
„შექსპირის ტექსტის ადაპტაციის პრობლემა: შექსპირის ანტიტირანების სტურუასეული
ინტერპრეტაცია“

მოხსენებაში „შექსპირის ტექსტის ადაპტაციის პრობლემა: შექსპირის ანტიტირანების სტურუასეული ინტერპრეტაცია“ შესწავლილია შექსპირის სამი პიესის „ჰამლეტი“, „რიჩარდ მესამე“ და „იულიუს კეისარი“ ორიგინალი, მათი ქართული თარგმანი და რობერტ სტურუას სცენური ინტერპრეტაციების ტექსტუალური თავისებურებები. შედარებისა და ანალიზის საფუძველზე შესწავლილია რატრანსფორმაცია განიცადა შექსპირის ტექსტმა იმ პერსონაჟთა სახეების შექმნისას, რომლებიც დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლ და თავისუფლების იდეის მატარებელ გმირებად გვევლინებიან. შექსპირის ტექსტების ორიგინალის, მისი ქართული თარგმანებისა და სტურუას სცენური ინტერპრეტაციის ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია, ერთი მხრივ, რა დამოკიდებულება აქვს შექსპირს ანტიტირანიის წინააღმდეგ მებრძოლ საკუთარი პერსონაჟების მიმართ, ხოლო მეორე მხრივ როგორ ხედავს თანამედროვე ქართველი რეჟისორი რობერტ სტურუა ჰამლეტის, რიჩმონდისა და ბრუტუსის პერსონაჟების განზრახვებს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალობის კონტექსტში. კვლევა ჩატარდა თსუსის 2016 წლის მიზნობრივი გრანტების ფარგლებში.

David Maziashvili, Tatia Sibashvili
The Problem of Adaptation of the Shakespearean Text: Robert Sturua's Interpretation of Shakespearean Anti-Tyrants

In the above mentioned article “The Problem of Adaptation of the Shakespearean Text: Robert Sturua's interpretation of Shakespearean anti-tyrants“ Shakespeare’s three plays: “Hamlet”, “Richard III”, “Julius Caesar”- their original versions, Georgian translations and Robert Sturua’s stage versions textual interpretations have been studied. According to the comparison and analysis it studied the transformation of the Shakespearean text and the characters that appear to be the bearers of the idea of liberty and the fighters against dictatorship. The analysis of Shakespearean texts, their Georgian translations and Robert Sturua’s stage interpretations on the one hand, present the author’s point of view about his characters who fight against the tyranny and on the other hand, it shows how

Georgian contemporary director Robert Sturua sees Hamlet, Brutus and Richmond's characters and their aims in the context of Soviet and Post-Soviet reality.

მანანა გელაშვილი, ხატია გაგნიძე
შექსპირის ტირანები
(ტექსტიდან სცენურ ხორცშესხამდე)

ნაშრომი მიზნად ისახავს გააანალიზოს თუ რა ტრანსფორმაციას გადის შექსპირის ტექსტი ორიგინალიდან, თარგმანისა და სარეჟისორო სცენარის გავლით, მის საბოლოო სცენურ ხორცშესხამდე. კონკრეტულად კი, როგორი ინტერპრეტაცია მიიღო შექსპირის ცნობილ ტირანთა სახეებმა (მეფე ლირი, რიჩარდ III, კლავდიუსი, იულიუს კეისარი) რობერტ სტურუას მიერ რუსთაველის თეატრში განხორციელებულ დადგმებში.

ამ მიზნით შესწავლილი იყო შექსპირის ოთხი პიესა: „მეფე ლირი“, „რიჩარდ III“, „ჰამლეტი“ და „იულიუს კეისარი“. ორიგინალისა და თარგმანის შედარებითი ანალიზი, შემდეგ კი მისი სპექტაკლის ტექსტთან შედარება საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ იმ ზოგად ტენდენციებზე, რომლებიც შეიმჩნევა თარგმანებსა და სცენურ ინტერპრეტაციებში.

ცნობილია, რომ შექსპირის სცენური ადაპტაციისას ყოველ ეპოქში იმ დროისათვის აქტუალური პრობლემები წამოიწევს წინა პლანზე. გამონაკლისს არც ეს დადგმები წარმოადგენს, რომლებშიც აშკარად ჩანს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში უკიდურესად აქტუალური თემატიკა - დიქტატორული სახელმწიფოს, ძალაუფლებისაკენ ლტოლვის მანკიერება.

სტატიაში განხილულია კონკრეტული მაგალითები იმ ტრანსფორმაციის, საინტერესო ინტერპრეტაციების და ხერხების, რომელთაც რობერტ სტურუა გვთავაზობს, რათა აღნიშნულ პრობლემასა და პერსონაჟებს, მხატვრული სახის უნივერსალურობა შესძინოს.

Manana Gelashvili, Khatia Gagnidze
Shakespeare's Tyrants (From Text to Stage)

The aim of the present article is to study the transformation that Shakespeare's text undergoes from original to translation, to the script and finally in the stage representation; namely the interpretation of his famous tyrants (King Lear, Richard III, Claudius, Julius Caesar) by famous director Robert Sturua at The Rustaveli Theatre.

For this purpose four plays by Shakespeare 'King Lear', 'Richard III', 'Hamlet' and 'Julius Caesar' have been studied. A comparative analysis of the original text and the translation as well as the text of the staged performance reveals the main tendencies apparent in the interpretation. The scenic adaptation of the Shakespeare's plays depicts the actual problems which are noteworthy of that concrete period. These adaptations are no exception in this respect, portraying the most prominent issues of the Soviet and Post-Soviet period - the dictatorial state, the perversion of power. The article deals with the examples of transformation, interesting interpretations and techniques that Robert Sturua suggests while addressing these problem and characters; he tries to generalize them through giving them a universal nature.

თამარ გელაშვილი
ალუზიები სკანდინავიურ მითოლოგიაზე ჯეიმზ ჯოისის რომანში „ლამისთევა ფინეგანისათვის“

ჯეიმზ ჯოისის რომანი „ლამისთევა ფინეგანისათვის“ ერთ-ერთ ყველაზე ენიგმატურ ნაწარმოებს წარმოადგენს, რომლის შექმნისათვის ავტორი მრავალ სხვადასხვა სახის წყაროს იყენებს, იქნება ეს ლიტერატურული ტექსტები, ბიბლია, თუ მითოლოგია.

სტატია განიხილავს სკანდინავიური მითოლოგიის როლს ამ რომანში. ჯეიმზ ჯოისისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო რომანში დროის ციკლურობის გადმოცემა, რომელშიც კაცობრიობის დაცემა და აღდგომის მოლოდინი მარადიულ წრებრუნვაშია წარმოდგენილი.

ნაშრომში გაანალიზებულია ისეთი მნიშვნელოვანი სიმბოლოები, როგორებიცაა: ღმერთების უკანასკნელი ბრძოლა, კაცობრიობის დაცემა, განახლება-აღდგომის მოლოდინი, ჭექა-ქუხილი (რომლის მრავალი ნაირსახეობა გვხვდება რომანში), და სხვ. დეტალურად არის განხილული მეათე ჭექა-ქუხილის შემადგენელ ელემენტები, რათა წარმოჩნდეს რომანის ტექსტის მრავალშრიანობა. სკანდინავიური მითოლოგია რომანის ერთ-ერთ შიდა შრეს წარმოქმნის და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რომანის ინტერტექსტუალობას.

Tamar Gelashvili
Allusions on Norse Mythology in James Joyce’s *Finnegans Wake*

James Joyce’s Novel *Finnegans Wake* is an enigmatic work, and the complexity of the text is largely based on the immense number of allusions, such as biblical, mythological or literary. The article deals with the role of Norse Mythology in the novel. James Joyce tries to show the cyclical nature in the novel, where the fall of mankind and waiting for resurrection are eternally recurrent themes.

The article deals with important themes, such as the last battle of Gods, the fall of mankind, inevitable death and waiting for resurrection, and of course the last one-hundred-and-one-letter thunderword, depicting important episodes and events in Norse Mythology and ends with Ragnarok – the doomsday for Gods. This detailed analysis depicts the diversity of the novel. Norse Mythology is one of the most important layers and plays a crucial role in the intertextuality of the novel.

ნინო ქავთარაძე
ფაქტუალური და ფიქციონალური თხრობა მოდიანოს რომანში – „დორა ბრუდერი“

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ცენზურა დაწესდა ისეთ რომანებზე, რომლებიც რეალურ მოვლენებს არ ეფუძნებოდა. მწერლები წინასიტყვაობაში ან ტექსტში მოთხრობილის რეალურ მოვლენებთან კავშირზე იძულებით საუბრობდნენ. ერთი საუკუნის შემდეგ, მწერლები ნაწარმოებების ფაქტუალურ მასალაზე დაყრდნობას თავადვე აღიარებენ, მეტი დამაჯერებლობისთვის დოკუმენტებს მოიშველიებენ და მათ მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტს ურთავენ კიდევ. ეს ნარატიული სტრატეგია თანამედროვე რომანის განვითარების ეტაპად შეიძლება ჩავთვალოთ; სტრატეგიად, რომელიც უფრო თამაშს წააგავს. პოსტმოდერნულ ეპოქაში თამაში არავის უკვირს, მაგრამ მისი მკითხველისთვის საინტერესოდ ქცევა - ეს დიდი ხელოვნებაა და დიდ გარჯას საჭიროებს.

ნობელის პრემიის ლაურეატის პატრიკ მოდიანოს „დორა ბრუდერი“ რომანია, რომლის ფარგლებში ფაქტუალური თხრობა ფიქციონალური მოვლენებითაა ჩანაცვლებული. ძნელია იმის გარჩევა, მოთხრობილი მოვლენები მართლაც მოხდა, როგორც ამას მოთხრობელი ამტკიცებს, თუ კონკრეტული ავტორის გამოგონილია. განსაკუთრებით საინტერესოა ასეთი რომანის ანალიზი, რადგან მოთხრობელს დოკუმენტური მასალა მოჰყავს მაგალითად, როგორც რომანის შექმნის წინაპირობა.

თუმცა ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ რეალობის ეფექტის შექმნა ნებისმიერი ნარატიული ტექსტის მიზანია. ასე რომ, მოდიანოს მიერ მოყვანილი დოკუმენტური მასალის დამოწმება ლიტერატურულ ხერხად შეიძლება ჩავთვალოთ. თუ მოდიანოს დორა ბრუდერს ახალი ბიოგრაფიზმის ჭრილში განვიხილავთ, მაშინ დოკუმენტალიზმისკენ სწრაფვა აღქმული უნდა იყოს როგორც ნარატიული სტრატეგია, სადაც ფაქტუალური თუ ფიქციონალური თხრობა ანაქტონიითაა გამოხატული და ქმნის მრავალშრიან ტექსტს.

Nino Kavtaradze **Factual and Fictional Narrative in Modiano’s Novel *Dora Bruder***

In the last half-century censorship was imposed over the novels, which were not based on real events. Writers indicated in the preface or text that they wrote real events. A century later, the writers began to show that they use the factual material with their own initiative. This strategy of narrative can be considered as an advance step in the development of modern novel – strategy which is more like a game. In the post-modern era no one is surprised about the game. The Nobel Prize winner Patrick Modiano’s *Dora Bruder* is the novel in which the factual narrative replaces fictional. It is difficult to distinguish the real from fictional. However, we should not forget that every narrative creates the effect of reality. Using and placing documents in the text is his unique literary technique. With the influence of New Biographism Modiano creates an anacronic and multilayered text.

მაია თუხარელი **სატირიულობისა და პოლიფონიზმის ურთიერთკავშირი ფ.დოსტოევსკის ნაწარმოებში**

მ. ბახტინის მტკიცებულებით, დოსტოევსკი გახლავთ ისეთი „პოლიფონიური რომანის“ შემქმნელი, რომელსაც მწერალი იყენებს არსებული აბსოლუტური პიროვნების და ადამიანის სოციალურ თავისუფლებისადმი თავისი დამოკიდებულების გამოსახატავად.

დოსტოევსკი გამოიყენებდა რა პოლიფონიას ორ ასპექტზე დაყრდნობით: აქცენტი კეთდებოდა ცალკეული პიროვნების უსასრულო სისავსეზე და თვითმყოფადობაზე; ასევე პიროვნული ცენტრების დამოუკიდებლობაზე -- ამ შემთხვევაში მწერალი ნაკლებად უთმობდა ყურადღებას გმირის შინაგან სამყაროს.

დოსტოევსკის სამიზნეს წარმოადგენდა გმირების შინაგანი სამყაროს განსხვავებულობის განსაზღვრა, ამისთვის იგი იყენებდა ფსიქოლოგიურ ანალიზს. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მისი მეთოდი უფრო ანტიფსიქოლოგიური ხასიათისაა და ეს ყველაფერი განპირობებულია იმით, რომ გმირების შინაგანი სამყარო გარკვეულ წილად „ფანტასტიკურია“.

პოლიფონია დოსტოევსკის ნაწარმოებში უნდა აღვიქვათ როგორც მთლიანობის პრინციპი, ასე მიიღწევა ურთიერთკავშირების ერთობლივი ატმოსფერო. მწერლის რომანების ძირითად მახასიათებელს, ანუ ჭეშმარიტ პოლიფონიას, წარმოადგენს დამოუკიდებელი ხმების და ცნობიერების მრავალრიცხოვნობა.

ფ. დოსტოევსკის დამოკიდებულება ყოველივე კომიკურის და სატირის მიმართ მსგავსია რეალობისა და იდეალის უტოლფასობისა. მაგრამ დოსტოევსკი არ ცდილობდა ექცია ეს უტოლფასობა დაცინვის სამიზნედ. იგრძნობა არასრულფასოვანის უარყოფა სრულფასოვანის გამო, იმისათვის, რათა იდეალი გახდეს მიღწევადი. ყველა დროის სატირიკოსთა შორის დოსტოევსკი გამოყოფს გოგოლსა და მოლიერს. მაგრამ გოგოლის

„სარჩული“, იდეალი, დოსტოევსკის თვალსაზრისით, ცოტა არ იყოს, უცნაურია. დოსტოევსკისთვის დამახასიათებელი სატირა განსხვავდება გოგოლის სატირისაგან თავისი ფსიქოლოგიზაციით, სიღრმისეული აზროვნებით.

დოსტოევსკის რომანების პოლიფონიზმი შლის საზღვრებს ავტორისეულ „მე“-ს და მის „საცოდავ“ გმირს შორის და სწორედ ამით არის განპირობებული მისი სატირის ნოვატორული ხასიათი.

დოსტოევსკის სატირა არ არის საბოლოო, რადგან გმირების აღწერილი ხასიათი არ არის გახსნილი და დასრულებული. მწერალი ყოველთვის ცდილობდა აღმოეჩინა „ადამიანი ადამიანში“, რაც განასხვავებს მას გოგოლისაგან. „დაცინვის“ მეშვეობით მიიღწევა „გარდაქმნა“. პაროდის მქონე შეძლებს ხელახლა აღორძინებას და განახლებას სიკვდილის გავლით.

თავის ნაწარმოებში დოსტოევსკი იყენებს ორ ჟანრს სასაცილო-სერიოზულ სფეროთაგან -- „სოკრატისეულ დიალოგს“ და ე.წ. „მენიპეს სატირას“. მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში დოსტოევსკი ქმნის კომიკურ ნაწარმოებს: „სამაგელი ანეკდოტი“ («Скверный анекдот»), „ნიანგი“ («Крокодил») და „ბობოკი“ («Бобок»).

Maya Tukhareli **Interrelation of Satirism and Polyphony in the Works of F. Dostoevsky**

M. Bakhtin asserts that Dostoevsky is the creator of the "polyphonic novel", which the writer used to display his attitude to the absolute personality and freedom of man in society. Dostoevsky, using polyphony, relied on two aspects, namely: the emphasis was on the infinite

completeness and identity of the individual; and secondly, on the mutual independence of personal centers, in this case the writer paid less attention to the inner world of a hero.

Dostoevsky is aimed at a more vivid designation of the difference between the inner worlds of heroes, for this he uses psychological analysis. But we can assume that his method is rather antipsychological, and all this is due to the fact that the inner world of heroes is endowed with "fantasticity".

Polyphony in Dostoevsky's works should be perceived as a principle of integrity, the universal atmosphere of interconnection is caught. The main feature of Dostoevsky's novels is that the writer uses the plurality of independent voices and consciousnesses as genuine polyphony.

Dostoevsky regarded the comic, satire as an inadequacy of reality to the ideal. But to ridicule the discrepancy to the ideal was not the goal for Dostoevsky. One feels the negation of the imperfect for the sake of the perfect, in order to achieve the ideal. Of all the satirists of the past, Dostoevsky singles out Gogol and Moliere. But Gogol's "lining", "ideal" for Dostoevsky is strange. Satire Dostoevsky differs from Gogol's satire with his psychologization, deep thought.

The polyphonism of Dostoevsky's novels eliminates the boundary between the author's "I" and his "pathetic" hero, thereby ensuring the innovative character of satire.

The satire of Dostoevsky is not final, because the described nature of his characters is open and not completed. Dostoevsky always seeks to discover "man in man", which distinguishes him as a satirist from the same Gogol. Through "mockery" and there is a "rebirth". Having its parody is reborn and renewed through death. Polyphony in Dostoevsky is nothing more than the writer's attempts to write a "comic novel," but this has resulted in a more complex genre.

Dostoevsky in his works uses two genres from the serious-laughing field - "Socratic dialogue" and "Menippean satire." In the 60s and 70s Dostoevsky creates comic works "Bad anecdote", "Crocodile" and "Boboc".

ივნისი 14 June

სექცია – ლიტერატურათმცოდნეობა
Section – Literary Criticism

ხატია ხატიაშვილი, გვანცა ჭანტურია
კომუნიკაციური პარადიგმის მნიშვნელობა უცხოური ენის სწავლებისას

კომუნიკაციური პარადიგმის შემოტანამ თანამედროვე ლინგვისტიკაში განსაზღვრა ახალი დარგებისა და სწავლების ახალი მეთოდების ჩამოყალიბება. ის უფრო მეტად კომუნიკაციაზეა ორიენტირებული და აერთიანებს არამარტო ძველ, ტრადიციულ დისციპლინებს, არამედ ინტერდისციპლინარულ მეცნიერებებს (სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, კომპიუტერული ლინგვისტიკა, ნეიროლინგვისტიკა და ა.შ). შესაბამისად, კვლევის არეალში ექცევა ისეთი ენობრივი მოვლენები და ერთეულები, რომელსაც ასევე დისკურსის ან კონვერსაციულ (საუბრის) ანალიზსაც უწოდებენ. ეს „შედარებით ახალი ლინგვისტური დისციპლინაა“: იგი იკვლევს კომუნიკაციის ორგანიზაციულ და სტრუქტურულ ასპექტებს, ადგენს გაუცნობიერებელ წესებსა და ავტომატიზმს, შეისწავლის საუბრის ისეთ სტრუქტურებს, როგორებიცაა: მოსაუბრეთა მონაცვლეობა, მოსაუბრეთა და მსმენელთა აქტივობა, საუბრის ფაზები, თემების მიმდინარეობა, საუბრის კონკრეტული ტიპები. უცხოური ენის სწავლების ფარგლებში პრაგმატული ასპექტის გაძლიერებული აუცილებლობა გამოწვეულია იმ საზოგადოებრივი პროცესებით - როდესაც «თანამედროვე» ენებს ადამიანი სწავლობს იმისთვის, რომ გაიგოს სხვების და თვითონაც გააგებინოს სხვას ის, რისი შეტყობინებაც მას სურს. უცხოურ ენებს ვასწავლით ყოველდღიური კომუნიკაციისთვის. პრაგმატული ორიენტაციის გაძლიერება პირველ რიგში მოზრდილთა სწავლების მიზნებში აისახება, შესაბამისად, იკვეთება ის უნარებიც, რომელთა განვითარება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს: იგულისხმება სმენითი აღქმისა და ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევები. ამ მიზნების დომინირება იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს თემებისა და ტექსტების შერჩევის სფეროში, გრამატიკა კი «მეორე პლანზე» გადადის.

უნდა აღინიშნოს, რომ ენის სწავლება არ ნიშნავს მხოლოდ გრამატიკის, გრამატიკული დროებისა და ფონეტიკის შესწავლას. ეს პროცესი გულისხმობს იმასაც, რომ თავი გაართვა მიღებული ინფორმაციის გაანალიზებასა და ათვისებას. ადამიანის გონება მართავს მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევას: აზროვნებისა და საკუთარი ნააზრვეის სხვისთვის გადაცემის პროცესს. თავის მხრივ, ამ პროცესებს შეისწავლის ნეიროფსიქოლინგვისტიკა, რომელიც დღეს ყველაზე რთულ და საინტერესო სფეროდ ითვლება ენათმეცნიერებაში. ნეიროფსიქოლინგვისტიკა დაინტერესებულია ადამიანის ტვინის კავშირით მეტყველებასთან და სამეტყველო ფუნქციასთან.

Khatia Khatiashvili, Gvantsa Tchaturia
The Importance of Communicative Paradigm in Teaching a Foreign Language

The introduction of the communication paradigm in modern linguistics has defined new technologies and new methods of teaching. It is more oriented to communicating and combines not only old, traditional disciplines, but also interdisciplinary sciences (sociolinguistics, psycholinguistics, computer linguistics, neurolinguistics). Consequently, the linguistic events and entities, which are also called discourse or conversational (speech) analysis, take place in the investigation area. This is "a relatively new linguistic discipline": It researches the organizational and structural aspects of communication, sets out unconscious rules and automatics, explores the conversational structures, such as the alternation of interlocutors, the activity of speakers and locators, the speech phases, the topic of the community, the specific types of speech. The enhanced necessity of pragmatic aspect within the teaching of a foreign language is caused by the public processes - when people study "modern" languages to understand others and let them know what else he wants.

We teach foreign languages for everyday communication. Strengthening pragmatic orientation is primarily reflected in the adults' teaching goals, and therefore the skills that develop special attention require: It means the ability to understand and to speak. The dominance of these goals leads to significant changes in the selection of communities and texts, and the grammar goes to the "second level".

It should be noted that language learning does not mean only grammar, tenses and phonetics. This process involves analyzing and realizing the received information. The human mind manages the most important achievement of his life: the process of thinking and transmitting his thinking to someone else. In turn, these processes will examine Neuro/Psycholinguistics, which is considered the most difficult and interesting sphere in linguistics. Neuro Psycholinguistics is interested in connecting human brain with speech and speech function.

ნინო პოპიაშვილი
ქართული ლიტერატურის სწავლება არაქართველთათვის: პერსპექტივები და სირთულეები

ქართული ენის სწავლებას საქართველოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის უკვე გარკვეული ტრადიცია გააჩნია. კერძოდ:

1. ქართული ენა, როგორც სავალდებულო საგანი, ისწავლება არაქართულენოვან (სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვ.) სკოლებში;
2. ქართული ენა დამატებით ისწავლება ე. წ. „ენის სახლებში“;
3. ქართული ენა ისწავლება უნივერსიტეტებში 1+4 პროგრამით;
4. ქართულ ენას სწავლობენ არაქართველი სტუდენტები ბაკალავრიატის პროგრამის ფარგლებშიც (არჩევითი დისციპლინა).

სახელმწიფო ენის სწავლების დროს უპირველესი ამოცანაა ის, რომ მოქალაქემ შეიძინოს სწორედ ენობრივი კომპეტენციები, თუმცა ვფიქრობთ, არანაკლებ მნიშვნელოვანია ენობრივთან ერთად, კულტურულ-ლიტერატურული კომპეტენციების შექმნა-გათავისება. თავის მხრივ, მხატვრული ლიტერატურა არის ერის, ქვეყნის, გარკვეული ეპოქის ან ეპოქების, საზოგადოების, კულტურული ღირებულებების ერთგვარ ნიშანი, მარკერი, მხატვრულად ინტერპრეტირება და ასახვა. ქართული ლიტერატურა არაქართულ სკოლებში არ შეისწავლება. არაქართულენოვანი აბიტურიენტები და სტუდენტები არც შემდგომში სწავლობენ ქართულ ლიტერატურას, რაც, ვფიქრობ, ერთგვარად აფერხებს ინტეგრაციის პროცესს, ართულებს ქვეყნისა კულტურული თავისებურებების შეცნობასა და გათავისებას. მოხსენებაში შევხებით ლიტერატურის სწავლების თავისებურებებს, პრობლემებსა და პერსპექტივებს.

Nino Popiashvili
Teaching Georgian Literature to non-Georgians: Difficulties and Perspectives

Teaching Georgian language to the ethnic minorities living in Georgia already has a type of tradition. In particular:

- 1) Georgian language, as a compulsory subject, is taught in non-Georgian (Armenian, Azerbaijan, etc.) schools;
- 2) Georgian language, as an elective course, is taught at various so-called "Language Houses";

- 3) Georgian language is taught at universities by 1+4 program;
- 4) Georgian language is taught to non-Georgian students on a BA level (elective discipline).

One of the core objectives while studying the state language is to fully acknowledge and possess the linguistic proficiency, but simultaneously gaining cultural and literary competencies. Literature can be regarded as a marker or sign characteristic of an period or epoch, as well as representing the cultural values and the society. Unfortunately, Georgian literature is not taught at non-Georgian schools, neither do the students or graduates have the opportunity to study it, which in our opinion hinders the process of integration, because the cultural aspect of the country cannot be fully perceived.

The article deals with the peculiarities, problems and perspectives concerning the teaching of literature.

მაია გურგენიძე **ენა, როგორც თანამედროვე სოციალური მედიის ინსტრუმენტი**

ენა განსხვავდება სხვადასხვა სოციალურ მედია საშუალებებს შორის და როგორც ჩვენთვის ცნობილია, სოციალური მედია ენის მეშვეობით ინარჩუნებს განახლების ფუნქციას. ნაშრომში სხვადასხვა მედია საშუალებებში გამოყენების მიხედვით სიტყვები კატეგორიებად არის დაყოფილი, დაწვრილებით ვხსნით მათ მნიშვნელობას და აგრეთვე ვამახვილებთ ყურადღებას, თუ როგორ განსხვავდება მათი გამოყენება სხვადასხვა სოციალურ მედია საშუალებებში. მსოფლიომ დღესდღეობით უკვე გარდაქმნა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ინფორმაცია ვრცელდება მსოფლიოს ერთი ბოლოდან მეორეში. გლობალიზაცია გახდა იმდენად ყოვლისმომცველი მთელს მსოფლიოში, რომ ტექნოლოგიის ცოდნა აუცილებელია ყველა ადამიანისთვის. მიკრო ბლოგინგის სისტემებმა და მომსახურებამ ურთიერთობა გახადა უფრო მარტივი და გააუმჯობესა ინფორმაციის გაგზავნის მეთოდები ყველა სფეროში. მიკრო ბლოგინგის საიტების მომხმარებლებს შეუძლიათ გაუგზავნონ კონკრეტული ინფორმაცია რამდენიმე წევრს და შეძლებენ უკანვე მიიღონ ინფორმაცია რამდენიმე მომხმარებლისაგან ერთდროულად. ნაშრომის მიხედვით, ენის ცვალებადობა დამოკიდებულია სოციალურ ქსელზე. მაგ.თვითერი არის კონკრეტული მიკრო ბლოგინგის სერვისი, რაც დეტალურადაა განხილული ნაშრომში. შეტყობინება, რომელიც იგზავნება მიკრო ბლოგინგის მეშვეობით არის საჯაროდ ხელმისაწვდომი ვებგვერდზე ან გავრცელებული მომხმარებლების კერძო ჯგუფში, მიკრო სერვისის ფარგლებში. მიკრო ბლოგინგისკენ სწრაფვა არის როგორც სიახლოვე ამავე დროს პორტატულობა. პოსტების ენა არის მოკლე, როგორც წესი, 140-200 სიმბოლო და შეიძლება დაწერილი ან მიღებული იყოს

სხვადასხვა კომპიუტერული მოწყობილობებით. სამომავლოდ მოსალოდნელია, რომ მსოფლიოს კომპანიების უმრავლესობა ჩართული იქნება სხვადასხვა სოციალურ ქსელში სხვადასხვა მიზნისთვის. ენა და გარეგნული მხარე იცვლება დროის მიხედვით.

Maia Gurgenidze
Language as an Instrument of Modern Social Media

Language is different in different Social Media. The language updates regularly in the functions of Social Media. In this essay the words are divided into the categories according to the usage of Social Media. We explain their meaning in detail and we also pay attention how the usage differs from other social media languages. Nowadays Social Media is a global tool where the information spreads all over the world. Globalization has become so widespread that technology is essential for everyone. Micro-Blogging systems and service make the relations easier and improved the methods of sending information in every sphere. The users of Micro-Blogging can send specific information to several members and can receive information from different users simultaneously. According to this essay, Language changing depends on social network. For instance, Twitter is specific with micro-blogging service. The message which is sent by the micro-blogging is public and everybody can see it. The advantage of Micro-blogging is an instant delivery and at the same time portability. The language of post is short usually 140-200 symbols and can be written or received by different computer facilities. In future it is possible that most of the world companies will be involved in different social networks for different reasons. Language and visibility change throughout time.

ივნისი 14 June

სექცია – ისტორია
Section – History

თენგიზ სიმაშვილი

ისტორია „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი „ჯგუფისტები“ თელავში

ახლადმოძიებული საარქივო მასალების მიხედვით, 1905-1907 წლებში, კახეთში, კერძოდ კი ქალაქ თელავში, მოქმედებდა თბილისში არსებულ მუშათა ტერორისტული ორგანიზაცია - „მთაწმინდის ჯგუფთან“, იგივე „ჯგუფისტებთან“ კავშირში მყოფი ტერორისტული დაჯგუფება, რომელიც „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი

ჯგუფისტების თელავის ორგანიზაციის” სახელწოდებით იყო ცნობილი. საარქივო ფონდებში არსებულ მასალებში პირდაპირაა აღნიშნული, რომ არა მარტო 1905-1907 წწ. რევოლუციური მოძრაობის, არამედ შემდეგ წლებში სისტემატურად ხდებოდა ძარცვა, ყაჩაღობა და ტერორისტული აქტები, რომლებსაც ძირითადად თელაველი „ჯგუფისტები“ ჩადიოდნენ. მასალებში „ჯგუფისტების“ წევრებად დასახელებული არიან იმ დროს კახეთში მოქმედი ცნობილი ტერორისტები - ხარება ჯიბუტი, გოგია კენკიშვილი, ზალიკო სვიმონიშვილი და სხვები.

როგორც მასალების ანალიზიდან ჩანს, ეს ადამიანები „ჯგუფისტების“ ორგანიზაციის დაშლის შემდეგ, 1908 წლიდან რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თელავის ორგანიზაციის ტერორისტები გახდნენ.

მოხსენებაში ასევე საუბარი იქნება დასახელებული ტერორისტების და თელაველი „ჯგუფისტების“ კავშირებზე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრთის – მენშევიკებისა და ბოლშევიკების ცნობილ წარმომადგენლებთან, მათ შორის იოსებ ჯულაშვილთან.

Tengiz Simashvili **"The Group" of Social-Democrat Bolsheviks in Telavi**

According to the newly discovered archive materials in Telavi (Kakheti region) there existed a terrorist organization under the name "Groups" in 1905-1907. Members of this terrorist organization had connections with "Mtatsminda Group", which was created by Social-Democrat Bolsheviks in Tbilisi. Members of Telavi "Group's" were famous terrorists - Khareba Jibuti, Gogia Kenkishvili, Zaliko Svimonishvili and others.

After the dissolution of this terrorist organization – "Groups", they remained the members of the Telavi branch of the Social-democrat party. Above mentioned terrorists made expropriation of the banks and killed a lot of people in 1908 too. They have also been connected with the active members of the Menshevik and Bolshevik parties, as well as with Ioseb Jugashvili.

თამარ ანთაძე
ვარლამ ჩერქეზიშვილი პალმერსტონის შესახებ

ამ ნაშრომში ჩვენ ვეხებით ვარლამ ჩერქეზიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ერთ საკითხს. მის დამოკიდებულებას ინგლისის პრემიერ მინისტრ პალმერსტონისადმი. ეს ამ საკითხის გაშუქების პირველი მცდელობაა.

Tamar Antadze
Varlam Cherkezishvili on Palmerston

The paper focuses on one of the issues of epistolary heritage of Varlam Cherkezishvili, namely, his attitude to the British Prime-Minister Palmerston. This is the first attempt of analyzing the given issue.

მერაბ კალანდაძე
დიმიტრი უზნაძე ისტორიაში პიროვნების როლზე

აღნიშნულ ნაშრომში საუბარია ფრიად აქტუალურ თემაზე, უზნაძის დამოკიდებულებაზე ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ. უზნაძის წვლილი ისტორიულ მეცნიერებაში დღემდე შეუსწავლელია და ეს ნაშრომი ამ მიმართულებით გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს წარმოადგენს.

Merab Kalandadze
Dimitri Uznadze on the Role of a Person in History

The paper focuses on Dimitri Uznadze’s attitude to the role of a person in history. The issue is of special significance, as Uznadze’s contribution to historical science is still unstudied. Therefore, the given paper is a step forward towards the above-mentioned direction.

გიორგი წიკლაური პრეზიდენტ უილსონის პარიზში გამგზავრების საკითხი

1918 წლის 11 ნოემბერი ერთ-ერთი გამორჩეული თარიღია მეოცე საუკუნის ისტორიაში, რადგანაც ამ დღეს კომპიენის ტყეში გერმანულმა მხარემ ხელი მოაწერა კაპიტულაციას, რითაც დასრულდა პირველი მსოფლიო ომი. პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელ ეტაპზე უკვე მაშინ როდესაც აშკარად გამოიკვეთა გერმანიის დამარცხების კონტურები, მოკავშირეებმა რეალურად დაიწყეს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ უნდა გამართულიყო სამშვიდობო კონფერენცია, რომელზეც განხილული და გადაწყვეტილი იქნებოდა თითოეული ის საკითხი, რომელიც ომის დასრულების შემდგომ აუცილებლად დადგებოდა მსოფლიო სახელმწიფოების წინაშე.

სამშვიდობო კონფერენციის ჩატარების ადგილად დასახელებულ იქნა საფრანგეთის დედაქალაქი პარიზი. ამერიკულ პოლიტიკურ წრეებში უდიდესი დისკუსიები მოჰყვა იმ საკითხს, უნდა გამგზავრებულიყო თუ არა პრეზიდენტი უილსონი პარიზში. აღნიშნულ საკითხს ჰყავდა საკმაოდ სერიოზული მოწინააღმდეგეთა დაჯგუფება არამხოლოდ რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებისაგან, არამედ ასევე პრეზიდენტ ვუდრო უილსონის გარემოცვის ერთ-ერთი ყველაზე უახლესი წევრის, სახელმწიფო მდივან რობერტ ლენსინგის მხრიდან. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკური პარტიის მხრიდან პრეზიდენტ უილსონის პარიზში გამგზავრებისადმი ნეგატიური შეხედულებები სუფევდა, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერი პრეზიდენტ უილსონისა გახლდათ, რესპუბლიკელი, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი უილიამ ჰოვარდ ტაფტი, რომელიც Washington Post-ის ფურცლებზე საგაზეთო სტატიების საშუალებით ღიად გამოხატავდა მხარდაჭერას პრეზიდენტ უილსონის მიმართ. ამერიკული პოლიტიკურ-საზოგადოებრივ არენაზე ამ დროს იდგა, კიდევ ერთი მწვავე საკითხი, თუ როგორი იქნებოდა ამერიკული დელეგაციის შემადგენლობა მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე და დისკუსიები ამ საკითხის გარშემო აქტიურად მიმდინარეობდა სენატში.

მიუხედავად ამგვარი პოლიტიკური სიტუაციისა, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, 29 ნოემბერს და პრეზიდენტ უილსონის გამგზავრება პარიზში ოფიციალურად იქნა გამოცხადებული. ასევე ცნობილი გახდა მომავალი სამშვიდობო დელეგაციის შემადგენლობაც, და სენატორთა და კონგრესმენტთა გასაკვირად არცერთი მათგანი არ აღმოჩნდა დელეგაციაში, ხოლო ერთადერთი რესპუბლიკელი წევრი კი გახლდათ ყოფილი დიპლომატი ჰენრი ვაითი.

პრეზიდენტი უილსონი, ამერიკული დელეგაციის წევრებთან 1918 წლის 4 დეკემბერს გაემგზავრა ევროპაში, რის შემდგომაც ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო სრულიად ახლად პოლიტიკური ცხოვრება.

Giorgi Tsiklauri
The issues of President Wilson's Tirp to Paris

November 11, 1918 is one of the most important dates in the 20th century, because of the capitulation signed by the Germans in the Compiegne forest which resulted in the end of the first world war.

In the final stage of the first world word, when it became obvious that Germany would surrender, the allies started thinking to hold the future peace conference an they chose Paris as its location. Each of the issues should be discussed and solved, which the whole world would have to face after the war. There was a great discussion, about the president Wilson`s possible trip to Paris among the American political circles. The issue caused serious controversies, not only on the part of republican party, but also from the secretary of state, Robert Lansing. Despite the republican`s negative attitude towards the Wilson`s future trip to Paris, William Howard Taft, republican ex-president of USA, was one of the supporters of Wilson`s policy and used to express his position openly in his own columns in the *Washington Post*.

There was another controversial issue in American political society about the members of American peace delegation and the case was seriously discussed in Senate.

Despite of such a political situation the final decision was made on November 29 and Wilson`s trip to Paris was officially announced. For their surprise, there was none of the senators and congressmen included in the delegation and the only republican member was a diplomat Henry White. American delegation sailed for Europe on December 4 and a new political life began in the United States.

ტრისტან მახაური
მიხა ხელაშვილის მკვლევლობის თარიღის დადგენისათვის

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა პოეტმა და მამულიშვილმა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრმა, მიხა ხელაშვილმა მდიდარი პოეტური მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ალექსანდრე სულხანიშვილის მოგონების მიხედვით, ტყეში გასულ მიხას მუდამ თან დაჰქონდა აბგა, რომელშიც საკუთარი ნაწერები ელაგა.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიხა ხელაშვილის სახელის ხსენება აკრძალული იყო. მისი ნაწარმოებები ზეპირად ვრცელდებოდა ხალხში და პოეტურ კრებულებში იბეჭდებოდა, როგორც ხალხური ლექსები. დღეისათვის უკვე ცნობილია, რომ მიხა ხელაშვილს ეკუთვნის ქართული პოეზიის ერთ-ერთი შედეგური - „ლექსო, ამოგთქომ, ოხერო“.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მოხერხდა მიხა ხელაშვილის რეაბილიტაცია და რამდენჯერმე გამოიცა მისი ნაწერები (2013 წელს უკვე სრული კრებულიც დაიბეჭდა).

მიხა ხელაშვილი საფრანგეთში არ გაჰყვა ქაქუცა ჩოლოყაშვილს. სამშობლოში დარჩენილი პოეტი და მეომარი სასტიკად იღვენებოდა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. იგი 1925 წელს ვერაგულად მოკლეს ბოლშევიკების მიერ დაქირავებულმა ჩარგლელმა მკვლელებმა. მიხას შემოქმედების მკვლევარნი ზეპირგადმოცემებზე დაყრდნობით წერდნენ, რომ მიხა ხელაშვილი მოკლულ იქნა მისი დაბადების დღეს - 1925 წლის 25 იანვარს.

საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფონდში ახლახანს მიკვლეულ იქნა დოკუმენტები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი ხდება მიხა ხელაშვილის მკვლელობის ზუსტი თარიღის დადგენა.

Tristan Makhauri For Establishing the Date of Mikha Khelashvili's Assassination

Mikha Khelashvili, a poet and a patriot fighting for the independence of Georgia, the member of Qaqutsa Cholokashvili's brotherhood of the brothers bound by an oath, left a rich poetic legacy to us. According to the memoirs of Alexander Sulkhaniashvili, Mikha would always take a saddle-bag with him while going to the forest, in which he kept his manuscripts.

It was forbidden to mention Mikha Khelashvili's name under the Soviet regime. His work passed on by people orally and published in poetic collections as folk poems. For today it is well-known that one of the masterpieces of Georgian poetry titled “The wretched verse, I shall speak you out!” (Geo: „ლექსო, ამოგთქომ, ოხერო“) belongs to Mikha Khelashvili.

After reestablishing the independence of Georgia, it was possible to rehabilitate Mikha Khelashvili's name and legacy: his manuscripts were printed several times and in 2013 the full collection of his verses was published.

Mikha Khelashvili did not follow Qaqtusa Cholokashvili to France. The poet-warrior who refused to leave his mother-land was severely persecuted by the local authorities. He was assassinated in 1925 by the murderers from Chargali, who were hired by the Bolsheviks. The researchers studying Mikha's work wrote based on the oral chronicles that Mikha Khelashvili was murdered on his birthday – on January 25, 1925.

The documents have recently been discovered in the Georgian National Archive of the recent history in the foundation of the Ministry of Internal Affairs, which made it possible to ascertain the exact date of Mikha Khelashvili's assassination.

ივნისი 14 June

**სექცია – ისტორია
Section – History**

ფატი შეყლაშვილი

საბერძნეთი, ბალკანეთის გაერთიანების იდეის ინიციატორი 1930-1934 წწ.

ისტორიულად ბალკანეთის ნახევარკუნძულის მუდმივმა დანაწევრებამ და ამ რეგიონის სერიოზულმა გეოსტრატეგიულმა მნიშვნელობამ იგი მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების მუდმივი ინტერესების და მეტოქეობის საგნად აქცია. ცხადია, ასეთ ვითარებაში ნახევარკუნძულის სახელმწიფოებში უნდა დაბადებულიყო იდეა ძალების გაერთიანებაზე. ბალკანური ერთობის იდეა გაჩნდა ჯერ კიდევ XIX ს-ში და ძირითადად ასოცირდებოდა მოძმე ერების ბრძოლასთან ოსმალეთის უღლის წინააღმდეგ.

I მსოფლიო ომმა არსებითი კორექტივები შეიტანა ბალკანეთის სახელმწიფოთა საგარეო-პოლიტიკურ ვითარებაში. დიდი სახელმწიფოების ამბიციური პროექტების აღორძინება ნახევარკუნძულზე დაპირისპირებების ახალი ტალღის წინაპირობად და შესაბამისად, გამაერთიანებელი იდეის ძლიერ იმპულსად იქცა. 1930-იანი წლებში ბალკანეთის 6 ქვეყნის გაერთიანების ინიციატორად გამოდის საბერძნეთი, რომელსაც თავისი სახელმწიფოს გარკვეულმა მოდერნიზაციამ მისცა საშუალება, ებრძოლა თავის დამკვიდრებისთვის, როგორც ახალ ძლიერ ძალას რეგიონში. მთავარ მოკავშირედ მოევიდინა თურქეთი. ორივე ქვეყანა ვარაუდობდა, თავისებური პლაცდარმის შექმნას ბალკანეთზე. იმავდროულად, საბერძნეთში გამოდის პირველი საერთო ბალკანური ჟურნალი “ბალკანეთი” ქსენოფონტ ლევკოპარადისის რედაქტორობით. ჟურნალმა უდიდესი წვლილი შეიტანა ბალკანეთის ხალხის გამაერთიანებელ ბრძოლასა და თავისუფლების სულის გაღვივებაში. ბალკანური ერთობის პროექტის გადამუშავების მიზნით საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრე პაპანასტისმა გაახმოვანა

საერთო-საპარლამენტო კონფერენციის მოწვევა, რაც განიხილეს ბერლინის საერთო საბჭოს სხომაზე. 1930 წ. სპეციალური კომიტეტმა პარიზში ბულგარეთის, საბერძნეთის, რუმინეთის, თურქეთის და იუგოსლავიის მონაწილეობით გადაამუშავა პროექტი.

საბერძნეთ-თურქეთის ძალისხმევით მოწვეული იქნა ბალკანური კონფერენციები, მაგრამ რეგიონის ქვეყნების განწყობა ამ საკითხზე არაერთგვაროვანი აღმოჩნდა – ალბანეთის სისუსტემ და მისმა კონტროლმა იტალიის მხრიდან. იუგოსლავიის შიშმა ბულგარეთის მისწრაფებების გამო, რუმინეთის ჩათრევამ გერმანია-იტალიის გავლენაში და სხვ. მნიშვნელოვნად განსაზღვრა ამ უკანასკნელთა ინერტულობა და საბოლოო შედეგების პროგნოზიც. ბალკანეთის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური დამოკიდებულება დასავლეთზე, ურთიერთმორის კულტურული კავშირების სისუსტე, სულიერი სიახლოვის უქონლობა, აბრკოლებდა მათი მხრიდან გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას. 1934 წელს რუმინეთის, საბერძნეთის, იუგოსლავიისა და თურქეთის მიერ ხელმოწერილ ბალკანეთის ანტანტის პაქტში არ შევიდა ბულგარეთი და რუმინეთი. ხელშეკრულებამ დაასრულა ბალკანეთის გამაერთიანებელი მოძრაობის პროგრესული ერა.

Pati Sheklashvili
Greece, initiated by the idea of a unification of the Balkans 1930-1934

Historically the continuous fragmentation of the Balkan Peninsula and the serious geostrategic significance of this region had been the subject of continuous interests and rivalries of the major states of the world. Obviously, in such a situation the States of the Peninsula should have born the idea of the unification of forces. The idea of the Balkan unity emerged as early as in the 19th century and was largely associated with the fight against the Ottomans of the Ottoman Empire.

World War I made substantial corrections to the foreign-political situation in the Balkans. The revival of ambitious projects of big states became a precondition for a new wave of confrontations on the peninsula and, consequently, a strong impulse of the unifying idea.

In the 1930s, Greece was the initiator of the unification of the 6 Balkan countries, Which has allowed some modernization of its state to fight for its establishment, as a new strong force in the region. Turkey was the main ally. Both countries considered the creation of a peculiar springboard on the Balkans. At the same time, the first Balkan magazine *Balkan* had been published in Greece, edited by Xenophon Lekkopardy. The magazine contributed greatly to the unifying struggle of the Balkans and the spirit of liberty.

In order to replicate the Balkan Unity project, the Greek Prime Minister Alexander Papandasti voiced a general-parliamentary conference that was discussed during the Berlin Board of Directors. In 1930 the special committee has revised the project in Paris with the participation of Bulgaria, Greece, Romania, Turkey and Yugoslavia.

The Balkan Conference was called by the Greek-Turkish efforts, but the mood of the region's countries seemed unmatched. The Albania's weakness and control of Italy, fear of Yugoslavia due to Bulgaria's aspirations, Romania's involvement in the influence of Germany-Italy, and others, significantly determined the latter's inertia and the prediction of final results.

The political and economic dependence of the Balkan states on the West, the deficiency of cultural ties, the absence of spiritual closeness, hindered their decisive steps. In 1934 Bulgaria and Romania were not included in the Balkan Penetration Ceremony signed by Romania, Greece, Yugoslavia and Turkey. The treaty has completed the progressive era of the unifying movement of the Balkans.

ბონდო კუპატაძე **საბჭოთა საქართველოს სოციალური ჯგუფის ისტორიიდან („ცეხოვიკები“)**

ნეპ-ის გაუქმებას და გეგმიური ეკონომიკის დამკვიდრებას 20-30-იანი წლებიდან საბჭოთა საზოგადოებაში მოჰყვა კერძო მესაკუთრეთა („ცეხოვიკების“) გაჩენა. სისხლის სამართლის პირველი საქმე შეიქმნა 1962 წელს. მათი მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო 60-იანი წლებიდან. 1970-იანი წლებიდან სამომხმარებლო საქონელზე (განსაკუთრებით ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, მანქანის სათადარიგო ნაწილები) მოთხოვნის ზრდამ განაპირობა მათი საქმიანობის გაფართოება. „ცეხოვიკების“ საქმიანობის წარმატებას განაპირობებდა: 1. საბჭოთა ეკონომიკური სისტემის უუნარობა მოეგვარებინა ეკონომიკური პრობლემები, 2. ქრონიკული სავაჭრო დეფიციტი ქვეყანაში; 3. კორუფცია, რომელიც განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში გაიზარდა. ვინაიდან ოფიციალურად არ შეიძლებოდა საწარმოს დაარსება ან წარმოებული პროდუქციის გაყიდვა, იქმნება იატაკქვეშა ბიზნესი. „ცეხოვიკები“ იყენებდნენ სახელმწიფო საწარმოების მიერ წარმოებულ ნედლეულს და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციის შირმით ახდენდნენ წარმოებული პროდუქციის რეალიზებას. პარალელურად საქმიანობის უსაფრთხოებისთვის ისინი უხდიდნენ სამართალდამცველებს და მოგვიანებით კრიმინალურ სამყაროსაც. 1979 წელს კისლოვოდსკში გაიმართა დიდი შეხვედრა, სადაც სრულიად საკავშირო მასშტაბით მოხდა შეთანხმება, რომ 10 % გადაუხდიდნენ ქურდულ სამყაროს დაცვისთვის. დროთა განმავლობაში თავად ქურდულმა სამყარომ დაიწყო არალეგალურ ბიზნესში თანხის ჩადება. მოკლედ, 70-80-იანი მიჯნაზე გაფორმდა შეთანხმება სამ ძალას შორის (კრიმინალები-ცეხოვიკები-

ხელისუფლება და სამართალდამცველები). მთელი ქვეყნის მასშტაბით დიდი სინდიკატები იქმნებოდა. თბილისში მეტროს სადგურ „26 ბაქოელი კომისარი“ (დღ. „ავლაბარი“) წინ მოედანზე იყო ბირჟა, სადაც იკრიბებოდნენ არალეგალური ბიზნესის კეთების მსურველები. 80-იანი წლების ბოლოს, „პერესტროიკის“ პოლიტიკამ განაპირობა „ცეხოვიკების“, როგორც სოციალური ფენის გაქრობა და მათ ნაცვლად ბიზნესმენტა ფენის გაჩენა, რომელთა შორის „ცეხოვიკები“ არცთუ მრავლად იყვნენ, რადგან ლეგალური ბიზნესის პირობებში ყველამ ვერ შეძლო ადაპტაცია.

Bondo Kupatadze From the History of a Social Group of Soviet Georgia ("Tsekhoviks")

From the 1920s and 1930s, the liquidation of the NEP and the establishment of a planned economy has led to the emergence of private owners ("Tsekhoviks") in the Soviet Union. The first criminal case was created in 1962. Their mass arrests started in the 60s. From the 1970s on demand for consumer goods (especially clothing, footwear, and spare parts of cars) has increased their activities. The success of the "Tsekhoviks" activity was: 1. the failure of the Soviet economic system to overcome economic problems, 2. chronic trade deficit in the country; 3. Corruption, especially in recent years of the Soviet Union. Since the establishment of an enterprise could not be officially manufactured, and the sale of produced products could not be carried out, the underground business was created. "Tsekhoviks" used the raw materials produced by the state bodies and realized the production of manufactured products by the state trade organization. In parallel to their security, they paid law enforcement to officers and to the criminal world later. In 1979, a large meeting was held in Kislovodsk, where there was an all-out agreement that 10 % would be paid for the protection of the criminal world. Over the time, Criminals began to make money through the illegal business. In short, the agreement was signed by three parties (criminals-"Tsekhoviks"-government and law enforcement) at the end of the 70s and beginning of the 80s. Great syndicates were introduced throughout the country. The "26th Baku Commisars" ("Avlabari"), the metro station in Tbilisi where the places they wanted to carry on their illegal business. In the late 80s, the "Perestroika" policy led to the disappearance of the "Tsekhoviks" as a social group and proposed instead the business circles, among which were not so many "Tsekhoviks" since not everyone could adapt to the norms of legal business.

თეიმურაზ პაპასქირი ყირიმის ანექსია და სუდეტის კრიზისი: ისტორიული პარალელები

2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია უმაღლესი შედარებული 1938 წლის სუდეტის კრიზისთან. როგორც შესაბამისი დოკუმენტები ცხადყოფს, ეს ანალოგია ზუსტია, რისი მთავარი მიზეზიც ორივე შემთხვევაში დასავლურ სახელმწიფოთა ლიდერების ქმედებებია. 1938 წელს დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა ნევილ ჩემბერლენმა და საფრანგეთის პრემიერ მინისტრმა ედუარდ დალადიემ უბრალოდ მოატყუეს ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ედვარდ ბენეში გერმანიასთან მიმართებაში არსებული გეგმების შესახებ. მათი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ბენეში შეცდომა დაუშვა და გადაწყვიტა სუდეტის ოლქის იმ ნაწილების დათმობა, სადაც ძირითადად გერმანული მოსახლეობა ცხოვრობდა. როგორც დოკუმენტები გვიჩვენებს, მისი მხრიდან ბრიტანეთისა და საფრანგეთის ლიდერების წინადადების უარყოფა აიძულებდა საფრანგეთს, დახმარებოდა ჩეხოსლოვაკიას, რაც ფაქტობრივად გერმანიისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა. ჩემბერლენისა და დალადიეს არასწორმა მოქმედებებმა გამოიწვია ცენტრალურ ევროპაში მათი მთავარი მოკავშირის განადგურება და მთელ მსოფლიოს უმძიმესი შედეგები მოუტანა. 2014 წელს დასავლეთის ლიდერებმა კვლავ დაიწყეს მათი წინამორბედების შეცდომების გამეორება. როგორც უკრაინელი პოლიტიკოსების ბოლოდროინდელი განცხადებებიდან ჩანს, ევროპელმა ლიდერებმა და აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კვლავ სცადეს „დაყვავების“ პოლიტიკის გატარება აგრესორის მიმართ. ისინი მოუწოდებდნენ უკრაინის ახალ მთავრობას, არ აჰყოლოდა რუსეთის პროვოკაციებს და ამ უკანასკნელის ქმედებებისთვის ყირიმში არ დაეპირისპირებინა სამხედრო ძალა. მოგვიანებით კი აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა, ბუდაპეშტის ხელშეკრულების (1994 წლის 5 დეკემბერი) გარანტირებმა, არ შეასრულეს თავისი ვალდებულებები და საშუალება მისცეს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს, მოეხდინა ყირიმის ანექსია. მართალია, ევროპის არც ერთმა ქვეყანამ არ სცნო ეს აქტი, მაგრამ ყირიმის საკითხი უკვე პრაქტიკულად „დავიწყებულია“ და დასავლეთის ლიდერები „აღშფოთებული“ არიან მხოლოდ იმის გამო, რომ რუსეთმა სცადა აღმოსავლეთ უკრაინის დაკავება.

Teimuraz Papaskiri
Annexation of Crimea and the Sudeten Crisis: the Historical Parallels

The Russian annexation of Crimea in 2014 was immediately compared to the 1938 Sudeten Crisis. As the documents show, mainly because of the actions of the Western leaders, the analogy is correct. In 1938 the British Prime Minister Neville Chamberlain and the French Prime Minister Édouard Daladier simply deceived the President of Czechoslovakia Edvard Beneš regarding their plans towards Germany. Based on their demands, Beneš made a mistake and decided to concede the parts of Sudetenland where the German majority lived. As the documents show, if he turned down the Anglo-French proposals, France would have to help Czechoslovakia and it would end with catastrophic results for Germany. The mistakes of Chamberlain and Daladier in September 1938 resulted in the annihilation of their main ally in Central Europe and had devastating results for the whole world. In 2014 the Western leaders started to repeat the mistakes of their predecessors. As it is evident from the latest statements of the Ukrainian politicians, the European leaders and the U.S. President Barack Obama tried to “appease” the aggressor once again. They persuaded the new Ukrainian government not to use the military force against the Russian provocations in Crimea. Later the USA and the UK, the guarantors of the Budapest Agreement (5 December, 1994) did not fulfil their obligations and allowed Vladimir Putin, the President of the Russian Federation, to annex Crimea. Although no European country has recognized this annexation, the Crimean Question is nearly “forgotten” now and the Western leaders “are filled with indignation” only because Russia made several attempts to seize the Eastern Ukraine too.

მიხეილ ბარნოვი
CDC-ის პირველი მისია საქართველოში და ეპიდემიოლოგთა პირველი კოჰორტის მომზადება

საქართველოში CDC-ის (Centers for Disease Control and Prevention, აშშ ატლანტის დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრები) პირველი მისია 1994-1996 წლებში განხორციელდა და მას ხელმძღვანელობდა დოქტორი სტენლი მიუზიკი. მისიის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ქართველი ეპიდემიოლოგების პირველი კოჰორტის მომზადება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. მისიის ფარგლებში ასევე

დაიწყო ეპიდემიოლოგიური ბიულეტენის გამოცემა. ამერიკული მისიის ფარგლებში განხორციელდა: არტერიული ჰიპერტენზიის კვლევა აჭარაში, დიფთერიის კვლევა და სხვა. ჩვენი კვლევისა და მოხსენების მიზანია:

1. საქართველოში CDC-ის ოფისისა და ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანამშრომლობის შედეგების შეფასება;

2. საქართველოში დიფთერიის ეპიდემიის (1993-1997) წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ამერიკული მისიის მნიშვნელობის შეფასება.

Mikheil Barnovi
The First Mission of CDC/Atlanta in Georgia and Training of the First Cohort of Georgian Epidemiologists

The first American mission of Centers of Disease Control and Prevention (CDC) in Georgia took place in very turbulent and difficult time in 1994-1996. The mission was led by Dr. Stanley Music. Within the scope of the mission the first cohort of Georgian epidemiologists was trained, that was one of the most important outcomes of this mission.

The priority areas of the mission were: arterial hypertension, breast cancer, tuberculosis, food poisoning, diphtheria, etc. With the help of the office Publishing of Epidemiological, a Bulletin was initiated.

The other important outcome was the first joint conference of Levan Sakvarelidze National Center for Disease Control and Public Health (Tbilisi, Georgia) with CDC: “Public Health Today: Vision of Tomorrow” which was held on August 5-9, 1996.

The main topic for our research and paper is the importance of CDC mission in Georgia, it's cooperation with Levan Sakvarelidze National Center for Disease Control and Public Health and particularly it's role in the massive vaccination campaign with Td Vaccines during the Diphtheria outbreak in Georgia (1993-1997).

ვაჟა ქორიძე ტერიტორიული კონფლიქტები სამხრეთ ჩინეთის ზღვაში

სამხრეთ ჩინეთის ზღვა, სავაჭრო გემების ნავიგაციისთვის მსოფლიო მასშტაბით უდიდესი სავაჭრო სივრცეა. აქედან გამომდინარე, ინდო-წყნარი ოკეანის სივრცისთვის მას მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ის არის ასევე მრავალი ტერიტორიული კონფლიქტის სივრცე, რომელიც ამ ორი ოკეანის ნაწილში დაძაბულობას ქმნის.

გეოგრაფიული თვალსაზრისით, სამხრეთ ჩინეთის ზღვა ინდო-წყნარი ოკეანის გეოპოლიტიკაში მთავარ როლს თამაშობს. სამხრეთ ჩინეთის ზღვა ესაზღვრება ბრუნეის, კამბოჯას, ჩინეთს, ინდონეზიას, მალაიზიას, ფილიპინებს, სინგაპურს, ტაივანს, ტაილანდს და ვიეტნამს. იაპონიისა და სამხრეთ კორეისთვის სამხრეთ ჩინეთის ზღვა ნედლეულის, საწვავის მიღებისთვის და საექსპორტო მარშრუტისთვის მნიშვნელოვანი არტერიაა. ასევე ეს ზღვა მნიშვნელოვანია არასაზღვაო სახელმწიფოებისთვის.

სამხრეთ ჩინეთის ზღვა მდიდარია, გაზისა და ნავთობის მარაგებით. იქ არსებობს 11 მილიარდი ბარელი ნავთობისა და 190 ტრილიონი კუბური ფუტის გაზის რესურსი, რაც წარმოშობს საზღვაო და ტერიტორიულ დავებს. სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მთავარი სადავო ტერიტორიებია პარაცელის, სპარტლის, პრატას, ნატუნას კუნძულები და სკარბურის წყალმცირე ტერიტორია.

აღმოსავლეთ და სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ექვსი ქვეყნის ინტერესი იკვეთება. აშშ აზიაში აძლიერებს საკუთარ დიპლომატიურ აქტივობებს და სამხედრო განლაგებებს, რაც ტერიტორიულ დავებში ვაშინგტონის გაზრდილ როლზე მიანიშნებს, რომელიც თუ გონივრულად არ იქნება წარმართული, შესაძლოა აზიის საზღვაო რეგიონების ნაწილი, უმდიდრესი სავაჭრო ხაზების შესაძლებლობებიდან მასშტაბური კონფლიქტების სივრცედ იქცეს.

Vaja Koridze Territorial Disputes in the South China Sea

The South China Sea is a critical commercial gateway for a significant portion of the world’s merchant shipping, and hence is an important economic and strategic sub-region of the Indo-Pacific. It is also the site of several complex territorial disputes that have been the cause of conflict and tension within the region and throughout the Indo-Pacific Ocean.

Geographically, the South China Sea plays a significant role in the geopolitics of the Indo-Pacific Ocean. The South China Sea is bordering with Brunei, Cambodia, China, Indonesia, Malaysia, the Philippines Singapore, Taiwan, Thailand and Vietnam.

Japan and South Korea rely heavily on the South China Sea for their supply of fuels and raw materials as well as it presents their export route, although the South China Sea provides non-littoral states with some flexibility in this regard.

The South China Sea also contains significant reserves of oil and gas, 11 billion barrels of oil and 190 trillion cubic feet of natural gas, which is an aggravating factor in maritime and territorial disputes. The major disputed islands and territories in the South China Sea are the Spratly Islands, Paracel Islands, Pratas, the Natuna Islands and Scarborough Shoal.

Six countries lay overlapping claims to the East and South China Seas. The U.S. pivot to Asia, involving a renewed diplomatic activity and military redeployment, could signal the Washington’s increased role in the disputes, which, if not managed wisely, could turn part of Asia’s maritime regions from thriving trade channels into the arenas of conflict.

ივნისი 14 June

სექცია კულტურის კვლევები Section – Cultural Studies

ივანე წერეთელი

ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის წინაშე მდგარი გამოწვევები საქართველოში: თანამედროვე ქართული სამოქალაქო კალენდარის მიხედვით

ვიზალიბერალიზაციის მიღებით საქართველომ ევროპასთან სიახლოვის ისტორიულ ნიშნულს მიაღწია, ეს გახლავთ ერთგვარი ჯილდო ქვეყნის დემოკრატიზაციისთვის გატარებული რეფორმებისთვის. მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში გამოწვევების წინაშე დგას. გამოწვევები ძირითადად უკავშირდება ნაციის ექსკლუზიურობა-ინკლუზიურობას და სეკულარიზმის ხარისხს საზოგადოებაში. ნაშრომი გაანალიზებს პოლიტიკური და კულტურული ტრანსფორმაციის დინამიკას სამოქალაქო კალენდრის მაგალითზე. მიგვაჩნია, რომ კალენდარი არის ადგილი, სივრცე, რომელიც საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებს ყველაზე სწრაფად ირეკლავს. კალენდარი წარმოადგენს

დღეების ორგანიზებას პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და რელიგიური მიზნებით; ის აერთიანებს „ამბებს“ სხვადასხვა მოვლენაზე, რომლებიც იცვლებოდნენ და იცვლებიან საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ტრანსფორმაციასთან ერთად. ტრანსფორმაციის თეორიები კარგად ხსნიან ჩვენი კვლევის ძირითად მიმართულებებს: ლეინის თანახმად, შემდეგი ორი მეთოდოლოგიური პოზიცია გაბატონდა პოლიტიკის ფორმირების და გატარების შესახებ შექმნილ ლიტერატურაში: სისტემის გარდაქმნა და წარსულზე დამოკიდებულება (ან სოციალური და ინსტიტუციური კონტექსტუალიზაცია) მიუხედავად იმისა, რომ კალენდარი ხშირად უგულებელყოფილი იყო ამ კონტექსტში, სწორედ ის ასახავს, და ამავე დროს განსაზღვრავს, სისტემის ტრანსფორმაციის პროცესს და ზეგავლენას ახდენს ამა თუ იმ ქვეყნის მიერ არჩეულ კონკრეტულ კურსზე. ტრანსფორმაციის ცნება შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც პროცესი, რომელიც წარსულს აკავშირებს აწმყოსთან და საშუალებას იძლევა სავარაუდოდ განვსაზღვროთ წარსულის ზეგავლენა მომავალზე; ხოლო კალენდარი ამ პროცესის მართვის და სასურველი მიმართულებით წარმართვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ამ მხრივ საქართველოს შემთხვევაში ჯერ არ შესწავლილა კალენდრის როლი, ამგვარად შემოთავაზებული ნაშრომი შეავსებს ამ მხრივ არსებულ ნაკლოვანებებს საქართველოს პოს-საბჭოთა ტრანსფორმაციის გააზრების კონტექსტში.

დემოკრატიზაციის, მრავალეთნიკური ქართელი ერის მშენებლობის და სეკულარიზაციის პროცესის წინააღმდეგობები მკაფიოდ ჩანს თანამედროვე ქართულ სამოქალაქო კალენდარში. მისი დიზაინი: მთელი წლის გაწერილი გეგმა, სამუშაო და უქმე დღეები, ღირშესანიშნავ მოვლენები თუ პიროვნებების ბიოგრაფიები, ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად გაცხადებულ მიზნებსა და მიმართულებას და გამოხატავს მხოლოდ „ექსკლუზიური ქართველი ერისა“ და მართლმადიდებლურ აღმსარებლობის ადამიანთა მოთხოვნილებებს. მასში თითქმის არ არის გათვალისწინებული საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნოსებისა და აღმსარებლობის მოთხოვნილებები. კალენდარი დატვირთულია რელიგიური უქმე დღეებით. აღსანიშნავია, რომ გათვალისწინებულია მხოლოდ მართლმადიდებელთა ინტერესები, ხოლო სხვა რელიგიების დღესასწაულები უგულებელყოფილია. 17 მაისს ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნის საპირისპიროდ საპატრიარქოს ინიციატივით „ოჯახის სიმტკიცის და მშობლების პატივისცემის დღედ გამოცხადდა.

Ivane Tsereteli
Challenges of Liberalization and Democratization in Georgia: The Case of the Modern Civic Calendar of the Country

The post-Soviet transformation of Georgia, aimed at the country’s full integration in the Euro-Atlantic structures, which is marked with democratization and formation of a civic nation, reached one of its significant goals in March 2017, when the Georgian citizens were granted a visa-free entry into the EU. This was interpreted as a merit for country’s reforms and structural changes, enforcing democratization of the country. Although country is still facing numerous challenges mainly in terms of building an inclusive national-state and establishing a satisfactory level of secularization of the Georgian society, corresponding to Western standards. The present paper will analyse the dynamics of political and cultural transformation through the civic calendar of Georgia, uncovering the changes taking place in the Georgian society since the dissolution of the Soviet Union. The research will explore the change of design and content of a calendar since in the case of Georgia it is a kind of ideological mechanism reflecting important moments of socio-political transformation of the country.

The paper will rely on transformation theories as they enable to offer a tentative prognosis of the influences of the past on the future; calendar is one of the most effective tools of its management and direction. Regarding the exploration of policy making, which was reflected in the calendar, this study will employ the system transfer and path-dependence approaches, which could be termed as the social and institutional dimensions of transformation. It is argued that exactly the calendar reflects and determines the process of transformation of [political and cultural] system(s) and their influences on the development of the chosen course of the state. The role of calendar in this respect has never been investigated so far, thus, the presented paper will fill in the white spots of the analysis of the post-Soviet transformation of Georgia in terms of its ideological backing.

გიორგი ყიფიანი
იდეოლოგიური მიდგომა ქართული სუფრის ანთროპოლოგიურ ანალიზში

ქართული ტრადიციული სუფრის შესახებ დებატებში ანთროპოლოგთა ნაწილი თვლის, რომ რადგან ისტორიულ წყაროებში არ არის სიტყვების "თამადა" და სადღეგრძელო" ხსენება მე-19 საუკუნემდე (ლ.ბრეგაძე, 1999), თემატურ სადღეგრძელოთა სისტემა კავკასიაში "გამოგონილი" ტრადიციას (F.Muelfried, 2006, Tuite

K., 2008, Ram H., 2014, Nodia G. 2014, Manning P., 2014). მეტიც, ამ ავტორთა მიხედვით, ავთენტური ქართული სუფრა მე-19 საუკუნემდე უნდა დახასიათდეს როგორც რიტუალიზებული, არაცივილიზებული და კულტურას მოკლებული მატერიალური მოხმარების პრაქტიკა - "ღრეობა" (მთვრალი ორგია), რომელიც "კულტურული" და სულიერზე მიმართული ხდება მხოლოდ რუსული ლიტერატურიდან თემატური სადღეგრძელოების გადმოღების შემდეგ (P.Manning, 2012).

ნაშრომში ამ მიდგომასთან დაპირისპირებულია მე-15-17 საუკუნეების მოგზაურთა ჯორჯიო ინტერიანოს (1502), ჯუდიჩე მილანელის (1631-1643), თევდორე ვოლკონსკის (1637-1640), ქრისტეფორო კასტელის (1640-1657) და ჟაკ ფრანსუა გამბას (1821-1831) ჩანაწერები. ჩანაწერებში აღწერილი თემატური და პერსონალური სადღეგრძელოთა რიტუალების დახვეწილი ხასიათი ადასტურებს სუფრის მართლმადიდებელი ქრისტიანობის ტრადიციაში ჩამოყალიბებულ უმეტესად სულიერზე მიმართულ ხასიათს. ქართული სუფრის ფესვების შესახებ დებატების ანალიზი აჩვენებს იმ მიდგომის იდეოლოგიურ საფუძველს, რომლის მიხედვით, ტრადიციული სუფრის, როგორც კულტურული ფენომენის თავისებურებათა გაგების გასაღები მე-19 საუკუნის იმპერიულ კონტექსტშია.

Giorgi Kipiani **Ideological Approach in Anthropological Analysis of Georgian Feast**

In the recent debate on the origins of the traditional Georgian feast some anthropologists based mainly on the assertion that in the historical sources there is no mention of words "Toastmaster" or "toast" before the 19th century (L. Bregadze, 1999), state that system of thematic toasts in Caucasus is an "invented" tradition (F.Muelfried, 2006, Ram H., 2014, Nodia G. 2014, Manning, 2014). Moreover, according these authors authentic Georgian Feast before the 19th century can be described as ritualized, uncivilized and uncultured practice of material consumption - "Ghreoba"- a drunken orgy, which becomes a "cultured" and spiritual domain only through the introduction of thematic toasting borrowed from Russian literature (P.Manning, 2012). This approach is juxtaposed with the reviews of the 15th-17th century travellers such as Giorgio Interiano (1502), Giudice Milanese (1631-1643), Christoforo Castelli (1640-1657), Fedor Volkonski (1637-1640) and Jean Francois Gamba (1821-1831). The elaborate nature of the toasting rituals described in the writings of the travellers confirms mainly spiritual, Orthodox Christian character of a traditional feast in the Caucasus and Georgia.

The analysis of the recent debate on the roots of the Georgian feast reveals the ideological basis of that approach according to which the imperial context of the 19th century is the key to understanding the peculiarities of the traditional feast as a cultural phenomenon.

მარიამ კობახიძე

აჭარის მუსლიმი მოსახლეობის ინტეგრაციისა და იდენტობის ფორმირების პროცესები (მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში)

XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში აქტუალური იყო აჭარის მუსლიმი მოსახლეობის ინტეგრაციისა და იდენტობის ფორმირების წარმართვის პროცესები. ამ მიმართულებით იბეჭდებოდა უამრავი სტატია და გამოკვლევა. იმდროინდელი პრესა საუკეთესო საშუალება იყო აზრთა გაცვლისა და გარკვეული შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად. მოხსენებაში საუბარია იმის შესახებ, თუ რა გეგმები ისახებოდა საგანმანათლებლო სფეროში აჭარის მოსახლეობის ინტეგრაციისათვის, როგორი დამოკიდებულება არსებობდა ეთნიკურისა და რელიგიური იდენტობის განსაზღვრის პროცესში, როგორი მდგომარეობა იყო საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სფეროში.

XX საუკუნის დასაწყისი აჭარის მოსახლეობისათვის განსაკუთრებულად მძიმე პერიოდია, ადგილობრივ მოსახლეობას ცარისტულმა რუსეთმა თითქმის მთლიანად მოუსპო საარსებო პირობები. ამის მიზეზი მრავალი ფაქტორი იყო, მათ შორის: უნდობლობა, პირველი მსოფლიო ომიდან გამოწვეული ეკონომიკური სიდუხჭირე, განსხვავებული რელიგია.

ოსმალთა ბატონობისაგან ქართული მიწა-წყლის განთავისუფლება უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო. ამით საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული გამთლიანების გზაზე არსებითი გარდატეხა მოხდა.

მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ბათუმი იქცა სამხრეთ კავკასიის მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრად და საპორტო ქალაქად. ცარიზმი ცდილობდა დაპყრობილი ტერიტორიების კოლონიზაციას, რამაც გავლენა მოახდინა მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე. მიუხედავად ამისა, ბათუმის ოლქის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მაინც ქართული დარჩა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები აფერხებდა აჭარის მოსახლეობის ინტეგრაციას. ომისაგან დაზარალებულებსა და ძალაგამოცლილებს დანარჩენი საქართველოს იმედი რჩებოდათ, პრესაში ინტენსიურად იბეჭდებოდა მუსლიმი აჭარლების წერილები, რომლებიც დახმარებას ითხოვდნენ. ქართველი ინტელექტუალები მწვავედ განიცდიდნენ მათ მდგომარეობას,

ისინი აფიქსირებდნენ თავიანთ შეხედულებებსა და განცდებს, სახავდნენ პრობლემის მოგვარების ალტერნატიულ გზებს. სტატიებიდან ირკვევა, რომ ხდებოდა თანხების შეგროვება და შეწირვა, მაგრამ ის იმდენად მცირე რაოდენობის იყო, რომ მოსახლეობის მატერიალურ ყოფაზე რაიმე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენდა. 1915-1916 წლების ჟურნალ-გაზეთებში ხშირია ისეთი სტატიები, რომლებიც ძირითადად ეხება ქართველთა საერთო წარსულსა და საერთო ისტორიულ მეხსიერებას.

Mariam Kobakhidze
Integration and Identity Formation Processes in Adjarian Muslim Population
(at the Beginning of the 20th century)

Integration and Identity Formation processes presented a topical importance in Georgian press at the beginning of the 20th century. Numerous articles and studies were published. The press of that time was the best way to exchange opinions and views. The report covers several issues, among the plans reflected in the educational area regarding the integration of the Adjarian Muslim population, including the attitude towards the ethnic and religious identity in the process of defining; also the social-economic sphere and what measures were carried out for its improvement.

The beginning of the 20th century was an extremely difficult period for the Adjarian Muslim population. The Tzarist Russia had almost completely destroyed the life conditions of the local population. There were a lot of contributing factors, including: the lack of faith, World War I, economic hardship, different Religious identities.

Georgian land liberation from the Ottoman domination was a historic event; it played a crucial part in the national unification of Georgia. In the last quarter of the 19th century Batumi had become an important industrial center and a port city in the South Caucasus. Tzarism tried to colonize the occupied territories, which affected the ethnic composition of the population. Nevertheless, they could not succeed and ethnic composition of the population stayed the same. The early 20th century has hindered the integration of the population in the socio-economic problems. They were exhausted by the war; the press extensively published the letter of the Muslim Adjarians asking for help. The Georgian intellectuals were acutely aware of their situation; they expressed their views and experiences, alternative ways of solving the problem. Articles show that money was collected or donated, but the amount too small to have a significant effect on the

population. Lots of articles consider the collective past of Georgia and historical memory referring to the magazines issued in 1915-1916.

ივნისი 14 June

**სექცია – ფილოსოფია/თეოლოგია
Section – Philosophy/Theology**

**ანასტასია ზაქარიაძე
ამერიკული ექსისტენციონალური ეთიკის მახასიათებლები**

თანამედროვე ამერიკულ ინტელექტუალურ სივრცეში ექსისტენციონალური პრობლემატიკა თავს, უპირატესად მხატვრულ შემოქმედებაში და მორალის ფილოსოფიაში, იჩენს. ექსისტენციალიზმის ამერიკულ ვერსიაში წარმოდგენილია ექსისტენციალიზმის ორი სახის პესიმისტურისა და ოპტიმისტურის მორიგების საინტერესო მცდელობა (უილიამ ბარეტი, ჰეიზელ ბარნესი, არტურო ბ. ფალიკო, ჯინ უ. სედლერი, მაჯორი გრენი).

მოხსენებაში ყურადღება მახვილდება ადამიანის საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ყოფიერების დაპირისპირების ტენდენციაზე, როგორც ძირითად მახასიათებელზე ამერიკული ექსისტენციალიზმისა. ნებისმიერი საზოგადოებრივი საქმიანობის პროცესს თან ახლავს ადამიანის გაუცხოვება, როგორც სამყაროსგან, ასევე საკუთარი არსობრივი ძალებისაგან, საკუთარი “მეს-“გან. თანამედროვე ეპოქაში წარმოებისა და ყოფის ავტომატიზაციის ტემპი გამორჩეულად მაღალია; ეს იწვევს ადამიანის სიცოცხლის ”ექსტერნალიზაციას”, ანუ მისი მდინარების უკუღმა გადაბრუნებას, რასაც უპირობოდ მოსდევს პიროვნების შფოთი და შიშები. თანამედროვე ადამიანი სუსტია შინაგანად. მისი სიცოცხლე საფრთხეშია, დღეს მისი ყოფიერება, ისე როგორც არასდროს, დგას არაყოფნის ფაქტის წინაშე. თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოება ინდივიდისგან ითხოვს მხოლოდ სოციალური ფუნქციების შესრულებას, ამის შედეგად იგი ფაქტიურად ამ ფუნქციებად იქცევა. ამერიკელი ექსისტენციალისტები გაუცხოვების გადალახვის სხვადასხვა ”პროექტებს” გვთავაზობენ. გაუცხოების გადალახვისა და საზოგადოებაში ინდივიდის მიერ თავისუფლების მოპოვების ერთ-ერთ გამოსავლად სახელდება ე.წ. “ექსისტენციონალური სიყვარული”. ექსისტენციონალური სიყვარულის თეორიის ყველა დებულება ატარებს აბსტრაქტულ ხასიათს. სიყვარული თავისუფლების ძირითადი ფორმაა. ადამიანი მხოლოდ სიყვარულში აღწევს თავს ექსისტენციონალური შფოთისაგან.

კონტინენტური ექსისტენციალისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც უარყოფენ მორალური ქცევის კრიტერიუმებს, ამერიკული ექსისტენციალიზმი

ამტკიცებს მორალური პრინციპების არსებობის აუცილებლობას. თუმცა უარყოფს აბსოლუტურად თავისუფალი ნების არსებობას. რამდენადაც პიროვნების თვითრეალიზაცია ხდება ადამიანური ერთობის შიგნით, იგი იძულებულია სხვა ადამიანთა თავისუფალ ნებას გაუწიოს ანგარიში. ექსისტენციონალური ეთიკური თეორია ეთიკური თვითრეალიზაციის ბეჭედს ატარებს. ინდივიდის ზნეობრივი ქცევის მნიშვნელობა განისაზღვრება არა აბსოლუტური პრინციპებით, არამედ ინდივიდუალური, თვითმყოფადი ექსისტენციონალური არჩევნით. ადამიანი ცხოვრობს საკუთარი ყოველდღიური “ცხოვრებისეული სამყაროს” ცენტრში, რომელსაც საზრისს თავად ანიჭებს. ექსისტენციონალური თავისუფლება გულისხმობს ადამიანის ნებისა და აქტების თავისუფლებას, რომელიც დამოუკიდებელია ნებისმიერი სახის დეტერმინაციისაგან, ინსტიქტისა, თუ იმპულსისგან, გრძნობების, რაციონალური ან მორალური მოტივების, ან ხასიათისაგან. ადამიანი აბსოლუტურად თავისუფალია საკუთარ არჩევანში. მხოლოდ შემოქმედი პიროვნება შეიძლება იყოს თავისუფალი ადამიანი. იგი ქმნის და უფრო თხილდება საკუთარ უნიკალობას. ამერიკული ექსისტენციონალური ეთიკისათვის დამახასიათებელია ადამიანისა და მისი თავისუფლების ირაციონალური გაგება, ისეთი ტიპის ახალი საზრისების ძიება, როგორებიცაა: ადამიანი როგორც “თვით-გადაღახვა”, ადამიანი – “მე“-აქტში”, თავისუფლება, როგორც ნებისა და აქტის თავისუფლება, “ექსისტენციონალური სიყვარული” როგორც თავისუფლების ფორმა.

Anastasia Zakariadze
The Highlights of American Existential Ethics

Existential problematic, in American intellectual space, reveals mostly in literature, as a whole, existentialism has had relatively little direct influence within meta-philosophy, though most themes are discussed in moral philosophy. an interesting attempt of reconciliation of two types of existentialism-pessimistic and optimistic (William Barret, Hazel Barnes, Arturo B. Fallico, Jean W. Sedler, Majorie Grene) is presented in American version of existentialism.

The presentation pays attention to the tendency of confrontation between the social and individual existence of the human being. It is argued that this is the main feature of American existentialism. Any process of social activity of human being is accompanied with the alienation both from the world and from itself. In the present epoch the speed of production and automatization is especially high; it causes the “externalization” of human life, or turning its flow inside out, which is implicitly followed by anxiety and insecurity.

Human being today is inwardly weak. His life is in danger. Today his existence, like never before, stands in front of the fact of non-existence. Contemporary industrial society demands from him to perform only social functions, subsequently, he actually turns into these functions.

American existentialists offer different “projects” for overcoming this general alienation. Theory of so called “existential love” is offered as the one of the ways for an individual for overcoming alienation and gaining freedom. All the doctrines of the theory have an abstract character. Love is the main form of freedom. Human being can escape from existential anxiety only through love. American existentialism unlike the continental one proves the need for moral principles.

Nevertheless it denies the existence of absolute will. Existential ethical theory is secured by ethical self-realization. The importance of individual moral act is not formed by absolute principles, but by individual, existential choice. Existential freedom means the freedom of human will and human behavior, which are independent from any kind of determination, instincts, impulses, and feelings, rational or moral motives. Human being is absolutely free in his choice.

American existential ethics is characterized with irrational understanding of the notions of human being and his freedom, it seeks new definitions such as human being as “self-overcoming”, human-being as “I -in action”, freedom as a freedom of will and action, “existential love”, as a form of freedom.

დემურ ჯალაღონია **„Vita Activa” და პოლიტიკურის ფენომენი ახალ დისკურსში (ჰანა არენდტი)**

თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიაში პოლიტიკურის ცნების განსაზღვრა ძალიან მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი ურთულესი ფენომენია. ჰანა არენდტის განაზრებანი, როგორც პოლიტიკურის ფენომენზე და ძალაუფლების საკითხებზე სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

არენდტი კვლევის ფენომენად იღებს ქმედით ცხოვრებას. ამდენად Vita Activa სამ სტრუქტურულ ელემენტს მოიცავს: შრომას, მუშაობას (ინგლ.-Labor; გერმან.-Arbeit), კეთებას, წარმოებას (ინგლ.-Work, გერმან.-Herstellen) და ქცევას, მოქმედებას (ინგლ. action; გერმან.- Handeln).

ამ სამი ფენომენით იმართება ადამიანური სამყარო. შრომა უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლეს. კეთება ესაა ადამიანური ახალი გარემოს აგება, რომელიც

უპირისპირდება ბუნებრივ სამყაროს-ფიუსის. ადამიანის ქცევა, მოქმედება შესაძლებელი ხდება მხოლოდ მისი მსგავსი სხვა არსებების არსებობის პირობებში, შეიძლება ითქვას საზოგადოებაში.

Vita Activa შუა საუკუნეებში არისტოტელური ტრადიციიდან შექმნილი ლათინური ტერმინია, რომელსაც თავისი საინტერესო ისტორია.

ანა არენდტის პოზიცია განსხვავებულია თანამედროვე დასავლელი მოაზროვნეებისაგან. მისი აზრით, სოციუმზე საუბარი შესაძლებელია მას შემდეგ, რაც წარმოებამ საზოგადოებრივი ხასიათი მიიღო (დაახლ. XVI-XVII). როდესაც იწყება ადამიანების ჩართულობა ერთიან უწყვეტ პროცესში.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, კლასიკურ პოლისურ პერიოდში ათენელი ცხოვრობდა პოლიტიკურად და არა საზოგადოებრივად. სამი სფეროდან, მხოლოდ ქცევა გულისხმობს აუცილებლობით სხვა ადამიანებთან თანაცხოვრებას, რომლითაც მხოლოდ ადამიანია დაჯილდოვებული. ის არ ახასიათებს ცხოველს.

სენეკამ არისტოტელისეული ცნობილი დეფინიცია ძოონ პოლიტიკონ სოციალურ არსებად თარგმნა. აქედან იწყება სოციალურის და პოლიტიკურის გაიგივების ისტორია. თომა აქვინელიც იმეორებს ამ თვალსაზრისს, ადამიანი არის პოლიტიკური ანუ სოციალური თავისი ბუნებით (homo est naturaliter politicus, id est socialis).

ამ ინტერპრეტაციაში იკარგება პოლიტიკურის ძველბერძნული გაგება. ტერმინ „სოციალურს“ საერთოდ არ გააჩნია ძველბერძნული ეკვივალენტი. გარდა ამისა, იკარგება პოლიტიკურის თავდაპირველი გაგების არსი.

პოლიტიკურის ძველბერძნული გაგება ერთმანეთისაგან მიჯნავდა ადამიანის კოლექტიურ და პოლიტიკურ ცხოვრებას.

არისტოტელე ადამიანს, როდესაც განსაზღვრავს, როგორც ძოონ პოლიტიკონ, დამატებით მას მეტყველ არსებას უწოდებს. ენის და პოლიტიკის დაახლოება ჰანა არენდტისათვის ბუნებრივია, რადგან პოლიტიკა არ არსებობს განმოვანების, სიტყვის გარეშე. ბარბაროსებს და მონებს პოლისში „არ ჰქონდათ ხმა“, პოლისის ყველა საქმე გვარდება დარწმუნებით, სიტყვით და არა ბრძანებით. ბრძანება, იძულება გამოიყენებოდა არაპოლისში, არამედ ოჯახში, სადაც მამა არის ძალაუფლების მფლობელი.

პლატონისა და არისტოტელესთვის მმართველობის ორი ყველაზე ცნობილი ფორმა არსებობდა: პირველი- საჯარო სივრცეში თავისუფალი ადამიანების მოღვაწეობას, ანუ პოლისის მოიცავდა, ხოლო მეორე ოჯახური მეურნეობის გაძღოლას. „პოლისი, რომელიც ერთ კაცს ეკუთვნის პოლისი აღარ არის“ (ჰ. არენდტი). ბერძნების აზრით, საჯარო სივრცის მონოპოლიზება, რომელიც პოლისში მოღვაწეობას

გულისხმობდა იმ თავისუფლების წართმევას გულისხმობდა, რაც თითოეულ მოქალაქეს ეძლეოდა.

საზოგადოებრივი ურთიერთობის მრავალი ფორმიდან მხოლოდ პოლიტიკა ფლობს ხანგრძლივ ინსტიტუციონალურ გამოცდილებას ხელისუფლების სახით.

არისტოტელეს პოლიტიკურ ფილოსოფიაში ფუნდამენტურია ის გარემოება, რომ განსხვავება მმართველსა და მართულს შორის პოლიტიკის სფეროს გარეთაა, ხოლო საკუთრივ საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზების პოლიტიკური სფერო თანასწორი და თავისუფალი ადამიანების გაერთიანებაა. „პოლიტიკური სფეროს თავისუფლება იწყება მაშინ, როდესაც უბრალო არსებობის ელემენტარული საჭიროებები დაკმაყოფილდება“ (ჰ. არენდტი).

Demur Jalaghonia
***Vita Activa* and Political Phenomenon in a New Discourse**
(Hannah Arendt)

The definition of political concept in modern political philosophy is very important and seems to be one of the most complex phenomena. The Hannah Arendt's opinion on political phenomenon and power issues becomes more and more important.

Arendt presents an effective life as a research phenomenon. Thus, *Vita Activa* includes three structural elements: labour, work (English-Labor; German-Arbeit), doing, Production (English-Work, German-Herstellen) and behavior, action (English – action; German - Handeln). The human world is governed by these three phenomena. The labour provides human life. The making is a construction of human new environment, which confronts the natural world - *fiusi*. Human Behavior, the action is only possible in the presence of other creatures like him, can be said in society. *Vita Activa* is a Latin term transported from the Aristotelian tradition into the Middle Ages, which has its interesting history.

Ann Arand's position is different from the position of modern western thinkers. In her opinion, it is possible to talk about the society after production received a social character (16-17) when people get engaged in an uninterrupted process.

It should be underlined that in the time of the classical Polis Athens lived politically and not socially. Out of the three spheres, only behavior involves the necessity of coexisting with other people by which only the human person is rewarded. It is not available to the animal. Out of the

three spheres, only behavior involves the necessity of coexisting with other people by which only a human is awarded. It does not characterize animals.

Seneca translated the Aristotle's well-known definition *Zion Poloncano* as a social being. From here begins the history of social and political identities. Thomas Aquinas also repeats this view; the man is a political i.e. social being by his nature (*homo est naturaliter politicas, id est socialis*). Here in this interpretation the old Greek understanding of the term Political is lost. The term "social" does not have an old Greek equivalent. In addition, the essence of the initial understanding of the policy is lost. The ancient Greek understanding of politics separated from one's collective and political life. When Aristotle defines a human as a *Zoon Politicon* in addition calls him a creature with the ability of verbal communication. The approximation of language and politics for Hannah Arendt is natural, because politics doesn't exist without voice and speech. Barbaros and slaves in the Polis do not have a voice; all matters of the polises were arranged with confident, by word and not through order. Order and compulsion were used not in the polis but in the family where the Father is the Man of Power. There were two most famous forms of governance for Plato and Aristotle: the first one referred to the activity of free people in the public space, i.e. the Polis, and the second one included the family farming. "The polis, which belongs to a single person, is no longer a polis" (H. Arndt). In the opinion of the Greeks, the monopolization of public space meant carrying out activities in the polis, and taking away the freedom, which was given to every citizen.

From many forms of public relations only politics holds long lasting institutional experience in the form of government. In the Aristotelian political philosophy it is a fundamental condition that the difference between the governor and the governed one is outside of the sphere of politics, and the political sphere of organizing the public life itself is the union of the equal and free people.

"Freedom of political sphere begins when the elementary needs of simple existence will be satisfied" (H. Arndt).

მამუკა დოლიძე **უილიამ ფოლკნერი როგორც ქრისტიანული განწყობის მწერალი**

ფოლკნერის მრავალფეროვან შემოქმედებაში, სტატიის ავტორი ყურადღებას ამახვილებს ორ ნაწარმოებზე - „აბესალომ აბესალომ“ და „ხმაური და მძვინვარება“. პირველ რომანში, ტომას სატფენი ბიბლიურ დავით წინასწარმეტყველს მოგვაგონებს.

ის თითქოს არსაიდან ჩნდება თხრობის დრამატურგიაში. მის შესახებ პერსონაჟები ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ უშუალოდ ამბის განვითარებაში მთავარი გმირი მონაწილეობას არ იღებს.

ტომას სატფენი თითქოს ნაწარმოების გარეთ მყოფი სახეა, რომელიც პერსონაჟთა ცნობიერების ნაკადში სიტყვით მოუხელთებელი ავტორის როლს ასრულებს. მას რომანში შემოაქვს ერთგვარი ქაოსი, განუზღვრელობა, რაც ქმნის თხრობის პოლიფონიურ ჟღერადობას და განსაზღვრავს ნაწარმოების ღიაობას ბიბლიური არქეტიპის მიმართ. რომანი „ ხმაური და მძვინვარება“ სადაც ამბავი სხვადასხვა პერსონაჟთა თვალთახედვით არის გადმოცემული, ოთხთავის პრინციპით არის აგებული. თანამედროვე ადამიანის სულიერი კრიზისი, მისი ცნობიერების მთლიანობის რღვევა, ხსნის იმედი და მხსნელის მოლოდინი, ყოველივე ეს აშკარად გამოკვეთს ქრისტიანულ მოტივებს ამ ლიტერატურულ შედეგში. ფოლკნერი თავის პერსონაჟთა გამძაფრებული განცდებით და ღრმა ფსიქოლოგიური წიაღსვლებით ქრისტიანული განწყობის მოაზროვნეა. მის მწერლობაში, რელიგიურ ღირებულებათა ფონზე ნაჩვენებია XX საუკუნის ადამიანის დეგრადაცია, მისი სულიერი დაცემა; მაგრამ მწერალი გვიჩვენებს, რომ სწორედ ამ უკიდურეს სასოწარკვეთაში ჩნდება სასოება და უფლის გამოცხადების რწმენა. ავტორის ანალიზი საცნაურს ხდის, რომ ფოლკნერი, როგორც „ცნობიერების ნაკადის“ მწერალი, არათუ შინაარსობრივად, ფორმის თვალსაზრისითაც ეხმიანება ქრისტიანობას. თხრობის გადატანა წარსულიდან აწმყოში, სადაც თითქოს არსაიდან ჩნდებიან და ისევ ქრებიან პერსონაჟები, მის მრავალხმიან შინაგან მონოლოგს, მარადმფეთქავი სიცოცხლის აწმყოობას ანიჭებს. ყველაფერი რაც მოხდა, ისევ და ისევ ხდება, ხდება აქ და ახლა. ეს სახარებიდან გამომდინარე „მარადიული აწმყო“ გაგებაა, რომელიც ღვთის გამოცხადებას, მომხდარს ორიათასი წლის წინ, აქ და ახლა მიმდინარე დროის საზრისს ანიჭებს. დიდი ამერიკელი მწერლის წინასწარმეტყველური სიტყვა საოცრად ეხმიანება თანამედროვე ადამიანის ეგზისტენციალურ კრიზისს. ფოლკნერის შემოქმედება დღესაც განსაკუთრებით შთააგონებს მკითხველს დაძლიოს სულიერი გაუცხოება და მოყვასის სიყვარულით ეზიაროს უფლის სისხლსა და ხორცს „ ვინაიდან სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქა ვარ მათ შორის“ (მათეს სახარება 18, 20).

Mamuka Dolidze
William Faulkner as a Writer with Christian Sensibility

Two novels by William Faulkner - *Absalom Absalom* and *Sound and Fury* inspired the author of the presented article to interpret the writer's fiction from the position of The New

Testament. Faulkner’s creative style appears to be far from reducing on the dogmatic system of Christianity yet the events from the original narrative reveal his religious attitude. The author remarks that the Orthodox teaching of Christian theologian Gregory Palamas resonates with Faulkner’s literary experience. This experience has two aspects – general and individual. The cosmic *pathos* of the American writer refers to all generations, which have inherited the essential achievements of the 20th century culture, yet at the same time the writer turns this general *pathos* into the intimacy of the individual reader so that he/she gets the feeling that the narrator speaks to him/her alone, entering deeper and deeper into the internal sphere of his/her subjective experience. This integrity of the individual and general also reminds us two aspects of the Orthodox Christian Church. Jesus takes responsibility for the sins of the mankind; he speaks with people and cures many diseases, and at the same time he creates an opportunity for an individual believer to find intimate contact with God, through his own speech and private requests. The openness of Christ to the heart of the believer also correlates with the stream-of-consciousness fiction by William Faulkner. The polyphonic structure of his creative works is essentially open to the reader and its influence surmounts any distance of space and time. The researcher makes the conclusion that the investigation of hidden connotations of this literary text poses Faulkner as a supporter of Christian values. He transforms the theological ideas in literary metaphor and pushes the reader to perceive the text not through the logical clarity of the mind but through the heart of a certain believer in God.